# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
2 თებერვალი ოთხშაბათი 2011
№025 (13322) ფასი 60 თეთრი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯარი უფრო ზუსტად ისვრის



12

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## ეროვნულები ერთა თასისთვის

### შოტლანდიელმა ქართველები დარაზმა

FIRA AER European Nations Cup 2010-12



13



## სერენას ფეხს მოაჭრიან?

14

ქართული ფეხბურთი

● ხმაურიანი ტრანსფერის ქართული ექო

# არ ვიცი, არ ნიშნავს, არ იყო

## ლივერპული-ტორესი-ჩელსი: ნუ გაიკვირვებთ ჟორდანიასაც


მერაბ ჟორდანია (მარცხნივ)

საფეხბურთო სამყარო გაოგნებულია – ესპანეთის ნაკრებისა და "ლივერპულის" ფორვარდი **ფერნანდო ტორესი** ზედ სატრანსფერო ფანჯრის "მიხურვის" წინ ლონდონის "ჩელსის" ფეხბურთელი გახდა.

მართალია, ეს კლუბები კონკურენტები არიან, მაგრამ 21-ე საუკუნეში ფეხბურთელთა გადასვლაზე ისეთი დაუძინებელი მტრებიც კი მორიგდებიან ხოლმე, როგორებიც მადრიდის "რეალი" და "ბარსელონა" არიან. მაყურებლის აზრს ყველა ითვალისწინებს, მაგრამ ფულის ცდუნებას ბევრი ვერ უძლებს.

"ლივერპული" და "ჩელსი" კი ტრანსფერზე უპრობლემოდ შეთანხმდნენ, რადგან "არისტოკრატების" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩმა** კიდევ ერთხელ გაოცა მსოფლიო და გაგანია ეკონომიკური კრიზისის დროს ესპანელ ვარსკვლავში 50 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

პირად კონტრაქტზე ტორესს "ჩელსისთან" არც უვაჭრია, რადგან კვირაში 175 ათასი გირვანქა შესთავაზეს, პლუს სხვა შემოსავლები, რაც ორჯერ მეტი თანხაა, ვიდრე "ლივერპულში" იღებდა და კლუბს იოლადაც შეელია – ეს ხომ მისი საყვარელი მადრიდის "ატლეტიკო" არ იყო. ტორესი "არისტოკრატებმა" 2016 წლის ზაფხულამდე დაისაკუთრეს.

"მარკას" ინფორმაციით, მათი საყვარელი ფეხბურთელის მიმართ ლივერპულელი ფანების დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და კლუბის ოფისთან ესპანელის ცხრანომრიანი მაისურები დაწვეს.

ცხადია, ტორესი, "ლივერპული" და "ჩელსი" ქართული ფეხბურთის თემა არ არის და არც შევეხებოდით, რომ არა ერთი საინტერესო ამბავი. 28 ივლისს "ლელოში" გამოქვეყნდა სტატია სათაურით "აბრამოვიჩი – მერაბ, საქართველოსთან არ ვითანამშრომლოთ?"

გთავაზობთ ფრაგმენტს ამ სტატიიდან:

*"... მერაბ ჟორდანიასა და "ჩელსის" მეპატრონე რომან აბრამოვიჩის პარტნიორობა და მეგობრობა წლებია, გრძელდება. აბრამოვიჩი კი ყველასთან არ ურთიერთობს... რუსი ოლიგარქი ჟორდანიას ენდობა და რამდენიმე პროექტის განხორციელებას ერთად აპირებდნენ. მაგალითად, აბრამოვიჩმა ორი წლის წინ ბრაზილიაში კლუბის შესყიდვა დაავალა. ახლა ჟორდანიას მონაწილეობით ევროპაში კლუბის შესყიდვა გადაწყვიტა, რომლის პრეზიდენტიც ქართველი გახდება.*

*ჟორდანიას მონაწილეობით აბრამოვიჩმა ჰოლანდიური კლუბი მართლაც შეიძინა... თუმცა ამბობენ, აბრამოვიჩმა ჟორდანიას არა მხოლოდ ჰოლანდიური კლუბი, მთელი თავისი საფეხბურთო ინდუსტრია ჩააბარა და "ჩელსიში" პიტერ კენიონის, ოღონდ უჩინარი კენიონის როლი მიაკუთვნა: ქართველი დადგება ჩრდილში და საქმეს გააკეთებს. ჟორდანია უფრო ზომიერად აპირებს საკლუბო სახსრების განკარგვას, რადგან მიაჩნია, რომ ყოველწლიურად 100 მილიონი გირვანქა უფრო ეფექტურად უნდა იხარჯებოდეს.*

... მსოფლიოს წამყვანი გამოცემები მარჩიელობენ, ესპანელი ვარსკვლავი ფერნანდო ტორესი "ბარსელონაში" გადავა თუ "ჩელსიში". გვითხრეს, ტორესთან მოლაპარაკება ჟორდანიას იდეაა და მისი წამოწყებულიაო. მას დიდი იმედი აქვს, რომ ტორესს გადაიბირებს – ჟორდანია ასე წინასწარმა მოლაპარაკებებმა განაწყო. მთავარია, რომ თავად ფეხბურთელს სურს "ლივერპულიდან" წასვლა, რაც "ჩელსის" ხელს აძლევს...

აბრამოვიჩმა ჟორდანიას თავად ჰკითხა - მერაბ, საქართველოში საინტერესო საფეხბურთო სკოლა და გუნდი გეგულება? როდის გადაწყდება კლუბის საკითხი, ეს აქაურ ვითარებაზეა დამოკიდებული. ჟორდანია ფიქრობს და სურს კიდეც ქართული კლუბის პარტნიორობა".

წერილი "ლელოში" 2010 წლის 28 ივლისს გამოქვეყნდა, მაგრამ საქართველოში ხომ ყველამ ყველაფერი იცის და, ცხადია, ქილიკი არც მანამდე დაგვკლებია, რა ჟორდანია, რის "ვიტესიო" და არც მერე, რა მერაბი, რის "ჩელსი", ტორესის ტრანსფერს მაგას ვინ ანდობდაო. არადა, პირველწყაროდან ვიცი, მერაბი ესპანელს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე შეხვდა და გადასვლაზე თანხმობაც მიიღო, ოღონდ "ლივერპულთან" მოლაპარაკება გაეწელა.

საერთოდ, ამ ყველაფერმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა ჩვენი მენტალიტეტის საბჭოური დამღა – ქართველებს მხოლოდ რუსი დირექტორების "გამაზვა" შეეძლოთ და მეტი არაფერი. ტორესიც ადამიანია, "ლივერპულსაც" ადამიანები მართავენ და "ჩელსისაც", ადამიანებს კი ერთმანეთთან ურთიერთობა შეუძლიათ და რატომ არის დაუჯერებელი, ერთი ასეთი გარიგება ქართველის მონაწილეობითაც გაჩარხულიყო?

უნდობლობა მერაბ ჟორდანიასადმი დამოკიდებულებიდანაც გამომდინარეობს – არც ის სჯერათ, **მიშელ პლატინის** უეფას პრეზიდენტად არჩევაში მანაც თავისი წონიანი, აღმოსავლეთევროპული წილი რომ შეიტანა.

მეასეხარისხოვანია, ვის როგორი დამოკიდებულება აქვს ჟორდანიას მიმართ – დრომ გამოაჩინა, რომ სახელმწიფო და თავად ჟორდანიას გამოუცდელობა და შეცდომები იყო იმის მიზეზი, რაც მისი მმართველობის დროს თბილისის "დინამოს" და ფედერაციას თავს დაატყდათ. მაგრამ ისიც ძნელი წარმოსადგენია, ორგანიზაციამ ხარისხიანად და გამართულად იმუშაოს, მის ხელმძღვანელებს ლამის ყოველდღე სასამართლოში რომ იბარებენ, ფარულად აშანტაჟებენ და გასაქანს არ აძლევენ.

ფაქტი ისაა, რომ საქართველოში არიან "პერსონა ნონ გრატები", რომლებსაც კანონი არ უკრძალავს სამშობლოში საქმიანობას, მაგრამ კეთროვანივით ახლოს არავინ იკარებს. ეს ყველას კერძო საქმეა, მაგრამ ჩვენ ბევრი ისეთი ადამიანი ვიცით, რომელთაც ჟორდანიასავით არ ვიყენებთ – მაგალითად, ფიფას და უეფას მატჩების დირექტორი **დავით პეტრიაშვილი**. ან ვინმეს უცდია ქართულ ფეხბურთში "მილანის" ყოფილი სელექციონერის, ამჟამად კიევის "დინამოს" გენერალური დირექტორის **რევაზ ჭოხონელიძის** ჩართვა? ეს საქმე შეუძლებელი თუა, მხოლოდ მასთან დალაპარაკებით გამოჩნდება, მანამდე კი არ ვიცით, ჩამოვა თუ არა, მაგრამ ბედის მონახევრე ცდაც არ გვქონია.

ქართულ ფეხბურთში ისედაც ერთი ხელის თითებზეა ჩამოსათვლელი საერთაშორისო კავშირების მქონე პიროვნებები. გვჯერა თუ არა, მოგვწონს თუ არა, მერაბ ჟორდანიას უეფას აღმასკომში არჩევა ისევ საქართველოს წაადგებოდა და ნამდვილად არ აზარალებდა, მაგრამ საქართველოდან სარმა დაუდეს.

ჭკვიანი სულელის მაგალითზე სწავლობსო - კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** კლუბში მრავალი ცნობილი ვეტერანი დაასაქმა. ბევრი მათგანი სულაც არ არის ფრთიანი ანგელოზი, მაგრამ გამოცდილებით, კავშირებით, ცოდნითა და ავტორიტეტით ისევ კიევის "დინამოს" ემსახურებიან, თორემ სურკისმა ჩვენზე ნაკლებად არ იცის, ტრანსფერებით ვინ ითბობს ხელს. ეგაა, მათი ყოფნით კიეველები უფრო სარგებლობენ, ვიდრე ზარალდებიან. ან რას აგებს "ბაიერნი" **კარლ-ჰაინც რუმენიგეს**, "რეალი" კი **ხორხე ვალდანოს** დასაქმებით?

ჩვენთან ცნობილი სახეების ცნობილ კლუბებში მიწვევის აუცილებლობასაც ვერ ხვდებიან. არადა, ფეხბურთელს ან პოტენციურ სპონსორს **ალექსანდრე ჩივაძე** რომ დაელაპარაკება, მავან მარკეტოლოგს უფრო დაუჯერებენ თუ მას?

ფეხბურთი ბიზნესი გახდა და ქართულ ფეხბურთსა და კლუბებშიც ბევრმა უნდა გაიაზროს, რომ საერთაშორისო კავშირების მქონე და გავლენიანი ადამიანები ისევ ჩვენს ფეხბურთს წაადგებიან. და სანამ ჩვენ არ ვიყენებთ, ტორესი "ჩელსიში" გადადის და ჩვენ რა ხეირი?

● ჩვენებური ჩვენთან

# ფედერაცია გრიგალავას პასპორტის მიღებაში დაეხმარება



31 იანვარს ფეხბურთის ფედერაციაში ისეთი ამბავი მოხდა, უყურადღებოდ ვერ დავტოვებდით. შესაძლოა, ამ შეხვედრის შემდეგ საქართველოს ნაკრების კანდიდატთა სიას ძლიერი მოთამაშე შეემატოს: ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მცველის, **გია გრიგალავას** მამას, **ალექსანდრე გრიგალავას** შეხვდა.

ეს ორივეს სურვილი იყო, ინიციატივა კი გრიგალავას ეკუთვნოდა. ფეხბურთელის მამამ ფედერაციის თავკაცს 21 წლის ფეხბურთელის და საკუთარი სურვილი აცნობა – გიას საქართველოს მოქალაქეობის მიღება და ეროვნულ ნაკრებში თამაში სურს.

გია გრიგალავა 11 წლიდან რუსეთში იზრდებოდა, ამ ქვეყნის მოქალაქეა, რუსეთის ყველა ასაკობრივ და ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია, მაგრამ მას საქართველოს სახელით თამაშზე ხელი არ აუღია და, როგორც ბატონი ალექსანდრე ამბობს, ყოველთვის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე ფიქრობდა.

ლოგიკურად იბადება კითხვა, მაშინ რატომ ითამაშა 2009 წელს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში, როდესაც **კახა ცხადაძე** საქართველოს ახალგაზრდულში იწვევდა? სხვათა შორის, ეს კითხვა უჩნდებათ გულშემატკივრებსაც და ფედერაციის ხელმძღვანელებსაც. ამიტომ განმარტება გრიგალავას მამას ვთხოვეთ.

*"მაშინ გია დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ვერ იღებდა. ეკუთვნოდა მენეჯერს, რომელსაც მისი რუსეთის ნაკრებში გამოსვლა აძლევდა ხელს, რადგან რუსეთის ახალგაზრდულის წევრს ბევრად უფრო ძვირად გაყიდდა, ვიდრე საქართველოს ნაკრების მოთამაშეს და ამიტომ გიას გასაქანს არ აძლევდა. მის ხელში იყო და რომელ კლუბშიც მოისურვებდა, იქ უშვებდა.*

*სამწუხაროდ, ასეთი რამ იქ ხდება. აქ ითქვა, 17 და 19-წლამდელებშიც იწვევდნენო. ბავშვმა და მე არაფერი ვიცოდით, კლუბშიც არაფერს ეუბნებოდნენ და თავისი ნებით ხომ არ ჩამოვიდოდა? არადა, ამ მიწვევას ელოდა. რეალურად მხოლოდ ცხადაძე დაინტერესდა და უნდა ჩამოსულიყო კიდეც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე, მაგრამ უთხრეს, თუ გინდა, კარიერა დაასრულო, წადი, ოღონდ კლუბში აღარ გათამაშებენ, თუ კარიერა გინდა, დარჩიო და არჩევანი არ დაუტოვეს. სხვა გზა არ ჰქონდა და ახალგაზრდულში ითამაშა. არადა, რამდენჯერმე ტრავმა მოიმიზეზა და არ მიდიოდა. დეკემბერში ძველი კონტრაქტი დაუსრულდა და ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" ამიტომ გადავიდა. "ლელოში" წერდით, "ვოლგასთან" წინასწარ შეათანხმა, რომ საქართველოს ნაკრებში მიწვევის შემთხვევაში ხელს არ შეუშლიანო და ეს ასეც არის.*

*მესმის, რომ გარედან იდეალური საქციელად არ ჩანს, მაგრამ გარედან ყველაფერიც არ ჩანს და გია იმედოვნებდა, როგორც ბელარუსი მილევსკი ათამაშეს უკრაინის ნაკრებში, ასევე მიეცემოდა საქართველოში შანსი. არ მინდა, ყველაფრის დეტალურად თხრობა, მაგრამ ამის გამო ორჯერ ცნობილ რუსულ კლუბზე უარი უთხრა. მე, როგორც მამა, ვიძლევი პირობას, თუ საქართველოს ნაკრები დაინტერესდება, გია ჩვენს ეროვნულში ითამაშებს, მეტი არ ვიცი, რა გარანტია გავცე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თემურ ქეცბაიას საკუთარ თავს სთავაზობს, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტს ჩვენი აზრი ვაცნობეთ",* - ამბობს ალექსანდრე გრიგალავა.

ფედერაციაში კი "ლელოს" უთხრეს, რომ ზვიად სიჭინავა გრიგალავას საქართველოს პასპორტის აღებაში დაეხმარება, ოღონდ, ცხადია, ნაკრებში თამაშს არ ჰპირდებიან – ეს თემურ ქეცბაიას კომპეტენციაა.

● ლეგიონერები

# ანჟი და ქართველები

## მიდიან, მოდიან, მიდიან

მახაჩყალის "ანჟიდან" ქართველთა უმრავლესობა გასული წლის ბოლოს გაუშვეს და მხოლოდ მეკარე **ნუკრი რევიშვილი** დაიტოვეს. დეკემბერში კლუბი ცენტრალურ მცველ **ოთარ ხიზანეიშვილს**, ნახევარმცველ **ზურაბ არზიანსა** და თავდამსხმელ **გიორგი ილურიძეს** შეელია.

რუსული ინტერნეტგაზეთები ამტკიცებენ, რომ ხიზანეიშვილი გერმანიაში ბრუნდება, თუმცა კონკრეტულ გუნდს არ ასახელებენ. არზიანი კი ჰაიფას "მაქაბისთან" ცდილობს კონტრაქტის გაფორმებას.

ამასობაში "ანჟიში" ქართველებს მაინც იწვევენ. ერთი მათგანი მახაჩყალელების ყოფილი თავდამსხმელი, 18 წლის ილურიძეა. მას კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს, მაგრამ ახლა კვლავ მიიწვიეს. გიორგი "ანჟის" პირველ შეკრებაზე ყაზანის "რუბინისა" და ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" გადასვლის იმედად არ გაჰყვა, მაგრამ შემდეგ მენეჯერმა **მამუკა ჯულელმა** ისევ "ანჟიში" გაუშვა. ჯულელს ანთალიაში ორიოდე დღეში ელიან და კლუბთან მისი მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდება, გააფორმებს თუ არა ილურიძე კონტრაქტს.

გიორგის გარდა დაღესტნელებთან ანთალიაში ვარჯიშობენ "ვიტ ჯორჯიის" ნახევარმცველი **ირაკლი კლიმიაშვილი**, ჩვენთვის უცნობი თავდამსხმელი **თელიძე** და **გიორგი ჩელებაძე**. თელიძე რუსულ კლუბში საქართველოდან წავიდა, მაგრამ უმაღლეს ლიგაში ასეთი ფეხბურთელი არ თამაშობდა. სად ვარჯიშობდა და რომელ კლუბში ირიცხებოდა, ვერ გეტყვით.

ჩელებაძე კი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი წევრია - შემტევი ნახევარმცველი დეკემბერში ოდესის "ჩერნომორეციდან" წამოვიდა. "ანჟიმდე" გიორგი სომხეთში ისინჯებოდა.

მახაჩყალის კლუბში საქართველოს ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილი** რომ ითამაშებს, ეს ცნობილი ამბავია, დანარჩენებიდან კი რომელს დაიტოვებენ, ამ შეკრების შემდეგ გაირკვევა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

სამზადისი. დინამო

# ეგზოტიკური სინჯები

ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინ მორიგი სპარინგ-მატჩი ჩაატარა: **კახა კაჭარავას** გუნდის მეტოქე ხორვატული „ოსიეკი“ იყო. ვიდრე ამ მატჩის პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, ისიც ვთქვათ, რომ ანთალიურ შეკრებაზე „დინამო“ საკმაოდ ძლიერ მეტოქეებს ხვდება; ამასთან, თითქმის ყოველ მატჩში გუნდის მთავარ მწვრთნელ კახა კაჭარავას საშუალება ეძლევა „დინამოში“ სინჯებზე მყოფი პოტენციური ახალწვეულებიც გასინჯოს. რა თქმა უნდა, იმ მართლაც უამრავ გასინჯულთაგან ერთეულები თუ მოახერხებენ მთავარი მწვრთნელისათვის თავის მოწონებას და შესაბამისად „დინამოსთან“ კონტრაქტის გაფორმებას. აქვე, კიდევ ერთხელ გვინდა შეგახსენოთ, რომ ამ სატრანსფერო კამპანიის განმავლობაში „დინამოში“ სინჯებზე მყოფი 18 (!) უცხოელი ფეხბურთელიდან გუნდთან კონტრაქტი მხოლოდ ერთადერთმა, სერბმა მარცხენა მცველმა **მარკო მაროვიჩმა** გააფორმა; ზოგს, პირველივე საკონტროლო მატჩის შემდეგ დაემშვიდობნენ, ზოგს ორი შეხვედრის განმავლობაში აკვირდებოდნენ, ზოგსაც სულაც მხოლოდ ერთი ტაიმი დასჭირდა „საკუთარი კვალიფიკაციის“ დასამტკიცებლად და ასე შემდეგ...

თურქეთში გამგზავრებამდე „დინამომ“ ზედიზედ 5 საკონტროლო მატჩი მოიგო; აი, ანთალიაში კი ბევრად უფრო ძლიერ მეტოქეებს შეხვდა: ნალჩიკის „სპარტაკთან“ 0:1 წააგო, უკრაინულ „სევასტოპოლთან“ — 0:2 (ოღონდ, ამ შეხვედრაში „დინამომ“ ექსპერიმენტული შემადგენლობით იასპარეზა), ასევე უკრაინულ „ვოლინს“ 2:1 მოუგო, აი, გუშინ კი ხორვატულ „ოსიეკთან“ ფრედ, 2:2 ითამაშა. „ოსიეკი“ თავისი ქვეყნის ჩემპიონატში XI ადგილზე იმყოფება (თექვსმეტგუნდიან პირველობაში) და საერთოდაც, **ბრანკო კარაჩიჩის** განვრთნილი გუნდი ხორვატიაში მუდამ საშუალო სიძლიერის კლუბად მიიჩნევა.

... ისე როგორც „ვოლინთან“ მოგებულ მატჩში, კახა კაჭარავამ გუშინდელ შეხვედრაშიც ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობა ათამაშა; თუმცა, პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, გასინჯვაზე მყოფი უცხოელი ფეხბურთელების... სიმცირე იყო - „ოსიეკთან“ მატჩში არ უასპარეზიათ **სემირ ჰაჯიბულიჯს, ნებოიშა იოქსიმოვიჩს, მიროსლავ გვგიჩს, გორან ცვეტკოვიჩს** (ყველა - სერბეთი), **სერგეი კოლესნიკსა** (უკრაინა) და **ვლადიმირ კარალიჩს** (ბოსნია). სამაგიეროდ, ზედიზედ მესამე მატჩი ჩაატარა ჩეხმა ცენტრალურმა მცველმა **ირჟი ჰომოლამ**, ვინც გუშინ მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე შეცვლაზე შემოვიდა. სხვათა შორის, „ოსიეკის“ წინააღმდეგ მეორე ტაიმში გარკვეული დროის განმავლობაში „დინამოს“ დაცვის ხაზს უცხოელი ცენტრალური მცველები ამაგრებდნენ - პრაღის „სპარტასა“ და „იაბლონეცის“ ყოფილი ფეხბურთელი ჰომოლა და თბილისური გუნდის კიდევ ერთი პოტენციური ახალწვეული, 24 წლის **ჯონ გლელე**. 1 მ და 83 სმ სიმაღლის მცველი - გლელე წარმოშობით ბენინიდან არის და ამ ქვეყნის ნაკრებში 2 მატჩიც აქვს ჩატარებული. საკლუბო კარიერა კი საფრანგეთის დაბალ დივიზიონებში დაიწყო: ჯერ, „გენგამის“ სამოყვარულო გუნდში ასპარეზობდა, შემდეგ „ამიენის“ ასევე სამოყვარულო გუნდში. 2008 წლიდან კვიპროსზეა: ჯერ „აპეპის“ ღირსებას იცავდა, ბოლოს კი - ლიმასოლის „არისის“ (ორივე გუნდი კვიპროსის II დივიზიონში ასპარეზობს).

...გუშინდელ მატჩში ანგარიში დინამოელებმა გახსნეს: 41-ე წუთზე **გიორგი კახელიშვილის** პასით გოლი **შოთა კაშიამ** გაიტანა; მეორე ტაიმში ხორვატთა ჭაბუკ ნახევარმცველმა **დინო შპეხარმა** ანგარიში გაათანაბრა, თუმცა 76-ე წუთზე **ალექსანდრე კოშკაძის** ზუსტი გადაცემის შემდეგ **რობერტინომ** „დინამო“ დააწინაურა. სამწუხაროდ, სამიოდ წუთში **ლევან კაკუბავამ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და როგორც უკვე გითხარით, მატჩი საბოლოოდ 2:2 დამთავრდა.



რობერტინიო

ხორვატულ „ოსიეკთან“ დინამომ“ ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: **ლორია-ციმაკურიძე (46. კაკუბავა), გ. კვარაცხელია (46. თომაშვილი), გლელე (73. ოთარაშვილი), მაროვიჩი (46. ჰომოლა)-ედნილსონი (46. ფირცხალავა), კვეკვესკირი-შ. კაშია (62. თექთურმანიძე), კოშკაძე (79. ლექვთაძე), კახელიშვილი (46. რობერტინიო)-ტატანაშვილი (67. სიხარულიძე).**

თურქულ შეკრებაზე „დინამო“ ბოლო შეხვედრას ხვალ ჩაატარებს და მეტოქედ უკრაინული გუნდი, ლუგანსკის „ზარია“ ეყოლება.

**გია ტუხაშვილი**

სამზადისი. სიონი

# ნაუგებელი სპარინგები

„სიონმა“ გუშინ შავიზღვისპირეთული შეკრება დაასრულა და მეორე ეტაპისათვის მზადებას ახლა უკვე ბოლნისში გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ **გიორგი ყიფშიძის** გუნდი 20 იანვრიდან ურეკში ემზადებოდა და რამდენიმე სპარინგ-მატჩიც ჩაატარა: ფოთის „კოლხეთთან“ ფრედ (0:0) ითამაშა, „სამტრედიას“ 3:0 მოუგო, „გურიას“ - 6:1, ხოლო საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს 3:1 აჯობა. აი, გუშინ კი „სიონის“ მეტოქე სომხური „ულისი“ იყო - თავისი ქვეყნის ჩემპიონატში მესამე ადგილი რომ დაიკავა. სხვათა შორის, „ულისის“ ღირსებას ოთხი ქართველი ფეხბურთელი იცავს: **ლევან აკობია, თენგიზ უგრეხელიძე, გიორგი კრასოვსკი** და **შოთა ჯიქია**. ოთხივე ჩვენებური გუშინ „ულისის“ ძირითადში იყო და ურიგოდ არც ერთ მათგანს არ უასპარეზია. პირველი ტაიმი ნულოვანი ფრით დასრულდა, 59-ე წუთზე კი „სიონში“ დაბრუნებულმა **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** შეხვედრის პირველი გოლი გაიტანა. სხვათა შორის, 2010 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გოგობერიშვილი და აკობია... თანაგუნდელები იყვნენ, „ბაიაში“ სეზონი ერთად დაიწყეს, მაგრამ გუშინ უკვე ერთმანეთის პირისპირ მოუწიათ ასპარეზობამ. თუმცა, სჯობს, ისევ გუშინდელ მატჩს დავუბრუნდეთ: გაშვებული გოლის შემდეგ „ულისიმ“ 3 წუთში შეძლო ანგარიშის გათანაბრება; 71-ე წუთზე კი სომხური გუნდის ფეხბურთელებმა საკუთარ საჯარიმოში **ლევან სანიკიძის** წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვიეს და „სიონმა“ პენალტის დარტყმის უფლებაც მიიღო. თერთმეტრიანი ზუსტად თავად დაზარალებულმა შეასრულა და თავისი გუნდიც წინ გაიყვანა, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე „ულისიმ“ მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება. საბოლოოდ, ეს საინტერესო სპარინგ-მატჩი ფრედ (2:2) დასრულდა. ამ შეხვედრაში „სიონმა“ ასეთი შემადგენლობით (ფაქტობრივად, ოპტიმალურად მიახლოებულად რომ უნდა მივიჩნიოთ) იასპარეზა: **მერლანი-კობაური, ორბელაძე (46. კ. ჩხეტიანი), თარგამაძე, ქორიძე - გ. ოქროპირიძე, ლ. ნოზაძე - ნ. კვასხვაძე, გოგობერიშვილი, სანიკიძე - მ. ოქროპირიძე.** ბოლნისელთა გუნდში ტრავმების გამო არ უასპარეზიათ **ლაშა ვაშაკიძეს, ირაკლი ჩირიკაშვილსა** და **გივი დიდავას**, ხოლო **გიორგი ჩივაძეს** ასევე ტრავმის გამო ურეკის შეკრების გამოტოვება მოუხდა. „სიონი“ დატოვა **ალექსანდრე ინწკირველმაც**, ვინც სავარაუდოდ, კარიერას ისევ ფოთის „კოლხეთში“ გააგრძელებს.

ბოლნისური გუნდის ფეხბურთელები ერთი-ორი დღე დაისვენებენ და როგორც „სიონის“ პრესატაშემ **ჯემალ ჭიპაშვილმა** გვაცნობა, კლუბის კრებაც გაიმართება, სადაც რამდენიმე საკადრო საკითხიც გაირკვევა. ყოველ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, გუნდის დატოვება რომელიმე ფეხბურთელს მოუწიოს, ან პირიქით - ახალწვეული გამოჩნდეს. ისე, ჩვენი ინფორმაციით, „სიონი“ დიდ ინტერესს იჩენს უკრაინიდან სამშობლოში დაბრუნებული **გიორგი გაბედავას** მიმართ; არადა, „გაგრას“ ყოფილი ფორვარდი ბოლნისურ კლუბს უთუოდ რომ გააძლიერებს, ფაქტია - პირველ ეტაპზე „სიონის“ ყველაზე პრობლემური რგოლი ხომ თავდასხმის ხაზი იყო.

**გია ტუხაშვილი**

სტადიონები. განახლების სტადია

# მცხეთა, მტკვრისპირი, დასცქერის ჯვარი...

## ვიტ ჯორჯია ლამაზად დაბანაკდება

მცხეთის "არმაზის" სტადიონის რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას **ნოდარ ახალკაცი-უმცროსი** ხელმძღვანელობდა. მიზეზთა გამო სამუშაოები ძალიან გაჭიანურდა, მაგრამ ყველაფერი უკვე დასასრულისკენ მიდის და სულაც არ არის გამორიცხული, ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველივე საშინაო მატჩი "ვიტ ჯორჯიამ" მცხეთაში გამართოს.

შესრულებული სამუშაოები მცხეთაში საკუთარი თვალით ვიხილეთ და უნდა ვთქვათ, რომ ცოტა ხანში "არმაზი" უწინდელზე გაცილებით თანამედროვე და ფეხბურთელებისა და მაყურებლებისთვის კომფორტული იქნება.

სანამ უშუალოდ მცხეთაში ნანახზე გადავიდოდეთ, "არმაზის" რეკონსტრუქციის ისტორიას მოკლედ შეგახსენებთ. 2009 წელს უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შუამდგომლობით "ჰეთთრიქის" პროგრამაში ეროვნული ნაკრების ბაზისა და რუსთავის "ფოლადის" სტადიონთან ერთად "არმაზის" კეთილმოწყობაც შეიტანა და ამ საქმისთვის 750 ათასი ევრო გამოიყო, საიდანაც 400 ათასი მცხეთურ არენას უნდა მოხმარებოდა. რეკონსტრუქციაზე თანხა "ვიტ ჯორჯიასაც" უნდა გაეღო და კლუბმა სამუშაოები აქტიურად დაიწყო, სფფ-ს კი საქმის გაკეთება პრეზიდენტის შეცვლის გამო დაუგვიანდა.

**ზვიად სიჭინავამ** და მისმა გუნდმა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება აქტიურად დაიწყეს და დღეისთვის ფედერაციის წილი საქმის დასრულებას ბევრი არაფერი უკლია. ცნობისთვის, ფედერაციამ უეფას გრანტით მცხეთის სტადიონზე ხელოვნურსაფრიანი მოედნის დაგება იკისრა.



ბოლო თაობის ხელოვნური გაზონი უკვე დიდი ხნის დაგებულია, დარჩენილია მხოლოდ მისი სათამაშო კონდიციამდე მიყვანა. საამისოდ კი საფარზე კაუჩუკისა და ეგრეთ წოდებული ეგვიპტური ქვიშის შეტანაა საჭირო. კაუჩუკი მცხეთაში სამყოფი რაოდენობითაა მიტანილი, ქვიშის ჩამოტანა კი დაგვიანდა. თუმცა ეს მასალა უკვე საქართველოს ტერიტორიაზეა და საბაჟო კონტროლს ელის, რასაც რამდენიმე დღე დასჭირდება. დაახლოებით ერთი კვირა კი იმისთვისაა აუცილებელი, რომ გაზონზე შეტანილი კაუჩუკი და ქვიშა კარგად "დაჯდეს". 19 თებერვალს უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპის მეორე ტურში "ვიტ ჯორჯია" ზუგდიდის "ბაიას" მასპინძლობს და იმ დროისთვის მოედნის სრულად გამზადება სავსებით შესაძლებელია.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ სფფ-მ "არმაზის" მოედანი კომპანია "ტარკეტის" (ხელმძღვანელი **კობა ახალკაცი**) მეშვეობით დააგო. ამავე ფირმამ ხელოვნურსაფრიანი გაზონი ზუგდიდის "ბაიას" ბაზაზეც მოაწყო და რაკი იმ საფარმა გაამართლა, "ტარკეტთან" თანამშრომლობაც ამიტომ გადაწყდა.



სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწყობა ბოლომდე არ დასრულებულა, მაგრამ სამუშაოების ძირითადი ნაწილი უკვე შესრულებულია და, ერთი შეხედვით, დანარჩენიც მალე უნდა დამთავრდეს. მოედნის საფრის გარდა, სტადიონის კეთილმოწყობის ყველა სხვა სამუშაოს "ვიტ ჯორჯიამ" საკუთარი სახსრებით მიხედა.

ძველი ხის სკამები ინდივიდუალურებით შეიცვალა. ახალი სკამები "ვიტ ჯორჯიამ" თურქეთში შეიძინა, ტრიბუნები თეთრ-მწვანე საკლუბო ფერებითაა გაწყობილი. "არმაზის" ტევადობა დღეისთვის 2 ათას მაყურებელს შეადგენს. ტრიბუნის სრულ კეთილმოწყობამდე მხოლოდ ვიპლოჟის დამთავრებაღაა დარჩენილი. ვიპლოჟისთვის კლუბმა კომფორტული, 100 ევროს ღირებულების სავარძლები შეიძინა. პრესლოჟა კვლავინდებურად ვიპლოჟის წინ იქნება განთავსებული და გადახურვის ქვეშ მოექცევა. ტრიბუნაზე მხოლოდ სკამები არ შეცვლილა. ძველი ტრიბუნა, ფაქტობრივად, ბოლომდე დაანგრიეს და ბეტონი ხელახლა ჩაასხეს, რამაც მოედნის ხილვადობა უკეთესი გახადა. "ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობა პერსპექტივაში მეორე ტრიბუნის აშენებასაც გეგმავს.

მთლიანად გარემონტდა გასახდელები, მსაჯთა, დელეგატთა, საპრესკონფერენციო და სხვა ოთახები. იმავე შენობაში მთლიანად შეიცვალა კომუნიკაციები, დამონტაჟდა ახალი საკანალიზაციო სისტემა. სტადიონი ხელახლა შემოიღობა. შეიძლება, ეს წვრილმანად მოგვეჩვენოს, მაგრამ ამან "არმაზის" ვიზუალური მხარე უდავოდ გააუმჯობესა.

აქამდე "ვიტ ჯორჯია" "არმაზის" ტერიტორიაზე 3 ჰექტარ მიწას ფლობდა, ახლახან კი იქვე კიდევ 2 ჰექტარი შეიძინა, სადაც დამატებით მოედნებს მოაწყობს და ნელ-ნელა იქაურობა კლუბის ბაზად ჩამოყალიბდება. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ამ ეტაპზე კლუბის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

*"ვფიქრობთ, უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ. ჩვენი კლუბი ყოველთვის მიისწრაფოდა სფფ-სთან პარტნიორული ურთიერთობისკენ და მოხარულები ვართ, რომ ჩვენმა თანამშრომლობამ ასეთი კარგი შედეგი გამოიღო. მაღალი დონის მოედნების დეფიციტი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა და სასიხარულოა, რომ ამ პროექტის განხორციელება მხოლოდ "ვიტ ჯორჯიას" კი არა, მთლიანად ჩვენს საფეხბურთო მეურნეობას წაადგება"*, - გვითხრა "ვიტ ჯორჯიას" სპორტულმა დირექტორმა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა **დავით თავართქილაძემ**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტორის ფოტოები

ბიბლიოთეკა

სამზადისი. ოლიმპი

# ოლიმპმა იტალიურად მოიგო

## მაისურაძისა და შვაბის თურქული აქტივი

გუშინ რუსთავის „ოლიმპმა" თურქულ შეკრებაზე ერთდღიან ტურნირში ითამაშა, რომელშიც სამი გუნდი მონაწილეობდა: საქართველოს ჩემპიონი, ბულგარეთის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში მეთორმეტე ადგილზე მყოფ სოფიის "აკადემიკი" და შვეიცარიის ჩელენჯლიგის "ვილი".

მატჩის შემდეგ რუსთაველები სასტუმროდან პირდაპირ აეროპორტში გაემგზავრნენ და კლუბის პრესატაშე **შოთა შერმადინმა** ტურნირზე მხოლოდ მცირედი ინფორმაცია მოგვაწოდა.

*"სასიხარულოა, რომ სამთა ტურნირი მოვიგეთ. პირველ მატჩში ბულგარულ "აკადემიკს" 1:0 ვაჯობეთ. ერთადერთი გოლი რევაზ გეწაძემ მე-5 წუთზე გაიტანა. მეორე მატჩი შვეიცარიულ "ვილთან" გვქონდა, სათამაშო დრო 0:0 დასრულდა. ტურნირი იტალიური სისტემით გაიმართა, თითო მატჩი 45-წუთიანი იყო, ფრედ მატჩი ვერ დასრულდებოდა და პენალტების სერია დაინიშნა. თერთმეტმეტრიანები ჩვენებმა უკეთ შეასრულეს: გაიტანეს ლუკა რაზმაძემ, დავით ბოლქვაძემ, გიორგი ჭელიძემ, ირაკლი მოდებაძემ, ბახტაძემ და საბოლოოდ 5:4 გავიმარჯვეთ. ტურნირის ორგანიზატორებმა სიმბოლური პრიზი გადმოგვცეს"*, - გვითხრა შერმადინმა.

"ოლიმპი" საქართველოში დღეს, 2 თებერვალს გამთენიისას უნდა ჩამოფრენილიყო. საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე გუნდი მზადებას რუსთავში გააგრძელებს.

ამგვარად, **თორნიკე მაისურაძისა** და შვეიცარიელი ფიზმომზადების სპეციალისტის, **ოლდრიხ შვაბის** განვრთნილ-მომზადებულმა "ოლიმპმა" ანთალია ისე დატოვა, ერთხელაც არ წაუგია. უფრო სწორად, მხოლოდ ერთი მატჩი ვერ მოიგო, ყველა დანარჩენში კი გამარჯვებული დარჩა: თურქულ "ისტანბულთან" (4:0), შვეიცარიულ "სერვეტთან" (3:2) და "კიასოსთან" (1:0), "აკადემიკთან" და "ვილთან". არადა, იმასაც ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს ჩემპიონს სუსტი მეტოქეები ჰყავდა.

ბოლოს გადაწყვეტილი ამბავზეც მოგახსენებთ: ესტონეთის ჩემპიონი "ფლორა" რუსთაველთა წინადადებას დათანხმდა და ნახევარმცველი **ზაქარია ბეგლარიშვილი** საქართველოში ნახევარწლიანი იჯარით გამოუშვა.

**მერაბ მამულაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# ვეტერინარებმა ადმირა აჯრეს

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ვიტ ჯორჯიამ" აზერბაიჯანული "აფშერონის" 2:1 ძლევას გუშინ ავსტრიის მეორე ბუნდესლიგის ლიდერ "ადმირას" დამარცხება მიაყოლა – "ვეტერინარებმა" ამჯერად 3:1 გაიმარჯვეს.

**მერაბ კოჭლამშვილის** გუნდს ანგარიშის გახსნა მეორე წუთზევე შეეძლო – **დავით მაისაშვილმა** მეტოქის კარს მცირედით ააცილა. სამ წუთში "ადმირას" მეკარესთან პირისპირ **ბესიკ ჩიმაკაძე** გავიდა. კიპერმა მისი დარტყმა მოიგერია, დამატებაზე კი **გიორგი კორიფაძემ** იმარჯვა და "ვიტ ჯორჯია" დააწინაურა.

26-ე წუთზე ქართველებმა ანგარიში ორამდე გაზარდეს. ავსტრიელთა საჯარიმოს კუთხესთან დანიშნული ჯარიმა კორიფაძემ მოაწოდა, დასწრებაზე კი **გიგა ბეჭვაიამ** ივარგა – 2:0.

39-ე წუთზე ავსტრიელებმა ჯარიმით გაიტანეს. ბურთი ერთ-ერთ ვიტელს მოხვდა, მიმართულება იცვალა და ჩვენი გუნდის კარში აღმოჩნდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში თანაბარი თამაში გაჩაღდა, შემდეგ კი ისევ "ვიტ ჯორჯიას" უპირატესობა გამოიკვეთა. 86-ე წუთზე **გიორგი ჯანელიძემ** მეტოქის დაცვა ეფექტური პასით გააცურა, ბურთი **გიორგი გურეშიძეს** მიუვიდა, რომელმაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ვიტ ჯორჯია: **მიქაბერიძე (46. ძაძამია) – ხურცილავა, ადამაძე (46. გოგიაშვილი), კასრაძე, ლანიაშვილი (46. ჭანკვეტაძე) – ვასაძე (88. დვალაშვილი), მაისაშვილი (46. გიორგი გურეშიძე) – ბეჭვაია, ჯანელიძე, კორიფაძე (46. ზაქრაძე) – ჩიმაკაძე (46. როსტიაშვილი).**

მორიგ ორ საკონტროლო მატჩს "ვიტ ჯორჯია" ხვალ და ზეგ გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U17

# ბოლო სპარინგი ჩაიშალა, შეკრება აიშალა

ურეკულ შეკრებაზე მყოფ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ბოლო საკონტროლო მატჩი გუშინ უნდა ჩაეტარებინა ხარაგაულის "ჩხერიმელასთან", მაგრამ შეხვედრა დიდთოვლობის გამო ვერ გაიმართა. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი შეკრებას ასრულებს, ნაკრების ფეხბურთელები კი საკუთარ კლუბებს უბრუნდებიან.

22 და 24 თებერვალს საქართველოს ნაკრები ესპანეთში იქაურ 17-წლამდელებს ამხანაგურად შეხვდება. მომდევნო შეკრებას ჟორჟიკაშვილი და მისი ასისტენტები ესპანეთში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყებენ.

ურეკში ჩვენი 17-წლამდელები 24 ფეხბურთელის შემადგენლობით იყვნენ წასულები და ორჯერად ვარჯიშებთან ერთად, რამდენიმე ამხანაგური მატჩიც ჩაატარეს: ოზურგეთის "მერცხალი" 2:1 დაამარცხეს, ლანჩხუთის "გურიას" 1:0 სძლიეს, ფოთის "კოლხეთსა" და ბოლნისის "სიონთან" კი, შესაბამისად, 2:4 და 1:3 დამარცხდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბაია

# რვა უპასუხო გოლი გურულთა კარში

ზუგდიდის "ბაიამ" მორიგი საკონტროლო მატჩი გუშინ ჩაატარა. **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი ქვედა ლიგის ბინადარ ლანჩხუთის "გურიას" დაუპირისპირდა და იმის მიუხედავად, რომ აშკარა ფავორიტი იყო, მეტოქეს მაინც მოსალოდნელზე დიდი უპირატესობით სძლია – "ბაიამ" "გურია" 8:0 გაანადგურა.

ქომეთიანმა ამჯერადაც ორი შემადგენლობა ათამაშა, გამონაკლისი მხოლოდ ვეტერანი **როინ ონიანი** იყო, რომელმაც შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა. პირველი ტაიმი ზუგდიდელებმა 4:0 მოიგეს, **ქობალიამ** ჰეთთრიქი შეასრულა, ერთიც **ეხვაიამ** გაიტანა. მატჩის მეორე ნახევარში ლანჩხუთელთა კარი **ჩანგელიამ, შონიამ, მალიჩავამ** და **ონიანმა** დალაშქრეს.

ბაია პირველ ტაიმში: **სომხიშვილი – სვირავა, აქუბარდია, რ. ონიანი, გამრეკლიძე – რიგვავა, შ. ლომია, სიხარულია, წურწუმია – ეხვაია, ქობალია.**

მეორე ტაიმში: **მაქაცარია – გ. ქირია, აფაქიძე, მამულია, რ. ონიანი – გუჯეჯიანი, კუხალაშვილი, ნ. შონია, ვართაგავა – მალიჩავა, ჩანგელია.**

სინჯებზე მყოფმა ბრაზილიელმა **დანილომ** "ბაიას" მწვრთნელებს თავი ვერ მოაწონა და გუნდი უკვე დატოვა, **გამრეკლიძესა** და **კუხალაშვილზე** დაკვირვებას კი ზუგდიდელთა სამწვრთნელო შტაბი კვლავ განაგრძობს. ხვალ ან ზეგ "ბაია" წალენჯიხის "სქურს" ან ხობის "კოლხეთს" ეთამაშება, ბოლო სპარინგს კი 6 თებერვალს გორის "დილას" წინააღმდეგ გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



როინ ონიანი

გაგრა



# გაგრა ზღვისპირეთს ნიგერიელებით მოივლის

სეზონის მეორე ნახევრისთვის აქტიურად ემზადება საქართველოს თასის ნახევარფინალისტი "გაგრა". **ანატოლი პისკოვეცის** გუნდი ურეკშია, სადაც 8 თებერვლამდე დარჩება.

გუნდში რამდენიმე სიახლეა. "გაგრა" დატოვეს მცველმა **ლაშა ცხადაძემ** და ნახევარმცველმა **გურამ ნათენაძემ**. ახალწვეულიც ორია – ორივე ფოთის "კოლხეთის" ყოფილი წევრი, **დათა სიჭინავა** და **დავით ციცხვაია**.

ამ ორის "გაგრაში" ჩარიცხვა გადაწყვეტილი ამბავია, პისკოვეცი და მისი ასისტენტები კი კიდევ რამდენიმე პოტენციურ ახალწვეულს აკვირდებიან. ესენი არიან **გიორგი გრძელიძე, დავით ჯანაშია, გიორგი ჯოხაძე, გიორგი ქართველიშვილი** და სამი ნიგერიელი – **ჟაჟა, სადიქი** და **ჯერემი**. აფრიკელების თამაში პისკოვეცს ბენდელას თასზე მოეწონა და შეკრებაზეც ამიტომ წაიყვანა.

"გაგრა" ურეკში 8 თებერვლამდე დარჩება, ორი დღის შემდეგ კი მეორე შეკრებაზე უკვე ბათუმში გადაინაცვლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ხალხი და ფეხბურთი

# სამტრედია სიყვარულის ვალშია

## ჯიბეში ხელი ყველამ ჩაიყო, უბრალომ საბრალოს ლუკმა გაუყო

გუშინ სამტრედიელმა გულშემატკივრებმა საქველმოქმედო აქცია გამართეს, რომლის მიზანი გაჭირვებაში ჩავარდნილი "სამტრედიას" ფინანსური დახმარება იყო.

სამტრედიის კულტურის სახლში ხალხი შუადღისას შეიკრიბა, აქცია კი ერთ საათს გაგრძელდა. კლუბის თანადგომის სურვილი მრავალმა ადამიანმა გამოხატა, უმთავრესად, უბრალო ხალხმა – ბოლო მონაცემებით, 11 ათასი ლარი შეგროვდა.

თუმცა აქცია ამით არ დასრულებულა. შეძლებულმა გულშემატკივრებმა გუშინ გამოჩენა არ ისურვეს, მაგრამ ორგანიზატორებს შეუთვალეს, რომ თანხას პირადად გადასცემენ.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე

# ვინ გამოყავს მინასიანს

სომხეთის ეროვნული ნაკრების თავკაცმა **ვარდან მინასიანმა** ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც 9 თებერვალს საქართველოს წინააღმდეგ სათამაშოდ გამოიძახა. სადღეისო მდგომარეობით, ჩვენს მეზობლებს ერთადერთი დანაკლისი აქვთ ძირითადი მეკარის, ვეტერანი **რომან ბერეზოვსკის** სახით.

ლიმასოლში მინასიანი ამ მოთამაშეებს წაიყვანს:

მეკარეები: **გევორქ გასპაროვი (მიკა), სტეფან კაზარიანი (ბანანცი);**

მცველები: **სარქის ოვსეპიანი, არტურ იუსპასიანი, არტაკ ედიგარიანი (სამივე - პიუნიკი), რობერტ არზუმანიანი (იაგელონია, პოლონეთი), ოგანეს ამბარცუმიანი, არარატ არაქელიანი (ორივე - ბანანცი), აგვან მკრტჩიანი, გრაირ მკოიანი (ორივე - მიკა), ლევონ აირაპეტიანი (ლეხია, პოლონეთი);**

ნახევარმცველები: **არტურ ედიგარიანი (პას, ირანი), ედგარ მალაქიანი, არტაკ ალექსანიანი, დავიდ მანოიანი (სამივე – პიუნიკი), ჰენრიხ მხითარიანი (შახტარი, უკრაინა);**

თავდამსხმელები: **გევორქ კაზარიანი, ედგარ მანუჩარიანი, მარკოს პიზელი (სამივე – პიუნიკი), იურა მოვსისიანი (კრასნოდარი, რუსეთი).**

**ლევან ჯანეზაშვილი**



ვარდან მინასიანი

ფუტსალი

# იბერია პატარა ბრაზილიაა

27 იანვარი. ქუთაისი. სპორტის სასახლე

| ჯუნგლები–აჭარა | 13:6 |
|---|---|

გოლები: **გოგოხია (5), გიორგიაძე (4), ჩოგოვაძე (2), უგლავა, კვალიაშვილი – ნადარაია (3), დავითაძე (2), ჯინჭარაძე**

გაფრთხილება: **ბალანჩივაძე – საკანდელიძე**

გაძევება: **ჩოგოვაძე – საკანდელიძე**

28 იანვარი. თბილისი. ასკ-ს დარბაზი.

| იბერია–თსუ | 8:4 |
|---|---|

გოლები: **რონი (4), ბეტინიო (3), ძაბირაძე – დარჩია, წიწკალაძე, თოფურია, ცნობილაძე**

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე დასანანი მარცხის შემდეგ, საქართველოს ნაკრები სამშობლოში დაბრუნდა და ეროვნული ჩემპიონატიც განახლდა.

ქუთაისის "ჯუნგლებმა" ერთხელაც დაამტკიცა საპრიზო სამეულში დამკვიდრების ამბიცია. იმერლებმა ამჯერად ბათუმელებს სძლიეს და მესამე ადგილი დაიბრუნეს. გადამწყვეტი ბრძოლები ქუთაისელებს თსუ-სთან ექნებათ – მესამე ადგილის მოცილეებ თბილისელი სტუდენტები ეყოლებათ. "ჯუნგლებს" მცირე უპირატესობა აქვთ, რადგან ორივე დარჩენილი შეხვედრა ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდება.

"აჭარასთან" შეხვედრაში განსაკუთრებით შედეგიანი ტაიმების ბოლო წუთები იყო. მე-20 და მე-40 წუთებზე 4 გოლი გავიდა. ამ მატჩში ბათუმელთა მეკარე **გოჩა საკანდელიძემ** ერთგვარი ანტირეკორდი დაამყარა. ის ერთადერთი მოთამაშეა (თანაც მეკარე), რომელიც უკვე მეორედ გააძევეს.

თბილისში კი "იბერიასა" და თსუ-ს შორის ტრადიციული უშელავათო დაპირისპირება ვერ გაიმართა – თავიდანვე აშკარა იყო, რომ იბერიელებს მეტოქის დამარცხება არ გაუჭირდებოდათ და ასეც მოხდა.

"იბერია" სათამაშოდ მთავარი მწვრთნელის, უკრაინელი **ოლეგ სოლოდოვნიკის** გარეშე გავიდა, რომელიც ბრაზილიაში სამწვრთნელო სემინარზე იმყოფება.

გარდა ამისა, "იბერიამ" კიდევ ერთი ბრაზილიელი მოთამაშე, **ჟორჟე ალექსი** დაიმატა და კვლავ დაადასტურა, რომ ევროპის საუკეთესო კლუბების მარაქაში ყოფნის ამბიცია გააჩნია. ახალწვეული ჰყავდათ "სტუდენტებსაც" - სერბეთიდან დაბრუნებული **დავით წიწკალაძე**.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 7 | 7 | 0 | 0 | 75:18 | 21 |
| 2. ალგო | 7 | 6 | 0 | 1 | 43:12 | 18 |
| 3. ჯუნგლები | 8 | 4 | 0 | 4 | 57:53 | 12 |
| 4. თსუ | 7 | 4 | 0 | 3 | 32:30 | 12 |
| 5. თელავი | 6 | 0 | 0 | 6 | 14:52 | 0 |
| 6. აჭარა | 7 | 0 | 0 | 7 | 30:86 | 0 |

ბომბარდირები: **რონი (იბერია) - 22, გოგოხია (ჯუნგლები) 16, ბეტინიო (იბერია) - 13, ნადარაია (აჭარა) - 13**

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ტრანსფერის ექო

# ტორესმა დიდი ასპარეზი იგრძნო

**ფერნანდო ტორესის** ხმაურიან ტრანსფერს რომ არ დავუბრუნდეთ, წარმოუდგენელი იქნება: „ჩელსიმ" ბრიტანეთის რეკორდი დაამყარა - ესპანელი ფორვარდი „ლივერპულისგან" 50 მილიონ ფუნტად იყიდა. გარდა ამისა, ინგლისის ჩემპიონმა „ბენფიკადან" ბრაზილიელი **დავიდ ლუიზიც** გადაიყვანა და მასში ფულს პლუს 22 წლის სერბი მცველი **ნემანია მატიჩი** „გადაიხადა", რამაც ჯამში 75 მილიონი ფუნტი შეადგინა. ეს თანხა ევროებში 88 მილიონამდეა, ხოლო ამერიკულ დოლარებში 120 მილიონს აღემატება. რუსულ საიტებზე „ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩის** მიერ ერთ დღეში გადახდილმა ამხელა ფულმა ორაზროვანი სათაურები შვა. გამოჩნდა ცნობები, რომელთაც, ალბათ, განზრახ აწერია, რომ ტორესი და ლუიზი („ჩელსიმ" კი არა) აბრამოვიჩმა იყიდა. ამის ქვეტექსტი ის გახლავთ, რომ ეს ფული რუსეთიდან არის გატანილი და უკეთესი იქნებოდა ქვეყანაშივე თუ დაიხარჯებოდა, მაგრამ, მოდი ჩვენ რუსეთის თემა აქ შევწყვიტოთ და დავუბრუნდეთ იმას, რაზეც „მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერანმა მცველმა **რიო ფერდინანდმა** „ტვიტერში" ასე დაწერა: „ინგლისური ბაზარი გაგიჟდა".

აბრამოვიჩის ფული „ლივერპულმა" მუთაქაში კი არ ჩადო, პირდაპირ საქმეში გაუშვა: „ნიუკასლისგან" 35 მილიონად **ენდი ქეროლი** შეიძინა, „აიაქსთან" კი **ლუის სუარესის** გადაფორმების საქმე მოამთავრა - ურუგვაელი, რომელსაც „ენფილდ როუდზე" ხუთი წელიწადი და ექვსი თვე მოუწევს ბურთაობა, სულ 22,8 მილიონი ფუნტი დაჯდა.

„ჩელსიში" გადასვლით კმაყოფილმა ტორესმა თქვა: „ბოლო სამი-ოთხი დღე ძალიან მძიმე გამოვიდა. ახლა უკვე „ჩელსის" ფეხბურთელი ვარ და ეს ძალიან მახარებს. დარწმუნებული გახლავართ „ჩელსი" ჩემს კარიერაში დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. მინდა უმაღლეს დონეზე ვითამაშო. „ჩელსი" ძალიან დიდი კლუბია. ვიცი, აქ ჩემგან ყველა რაღაც განსაკუთრებულს ელოდება, მაგრამ მე ამისთვის მზად ვარ. ერთი სული მაქვს, როდის ჩავერთვები საქმეში. უკვე ძალიან მოტივირებული ვარ.

„ჩელსი" ზუსტად ის კლუბია, როგორშიც მინდოდა თამაში. კერძოდ, ეს არის ევროპის ერთ-ერთი უდიდესი გუნდი, რომელიც მუდმივად ყველა ჯილდოსთვის იბრძვის. ამაზე მეტი რაღა უნდა ინატროს ფეხბურთელმა? მე სწორედ ახლა, ჩემი კარიერის დღევანდელ ეტაპზე შემიძლია უმაღლეს დონეზე თამაში და შანსი რომ მომეცა, ბედნიერი ვარ. ჩემი ოცნება ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. მწამს, „ლურჯების" შემადგენლობაში ამისათვის ბრძოლა შეიძლება. ვფიქრობ, ჩემი ახალი თანაგუნდელებიც ზუსტად ამაზე ოცნებობენ და ერთად მიზანს მივაღწევთ".

ტორესის დასავლეთ ლონდონში გადაბარგება იმასაც ნიშნავს, რომ მას **დიდიე დროგბასა** და **ნიკოლა ანელკას** მხარდამხარ მოუწევს თამაში. რასაკვირველია, ერთი მხრივ ეს დიდ კონკურენციაში მოხვედრაა, მაგრამ თავად ტორესი ცნობილ თავდამსხმელებთან ერთ გუნდში ყოფნას სხვა კუთხით უყურებს - ამბობს, მათი პარტნიორობა დიდი სიამოვნებააო. მეტიც, „ელ ნინიომ" დროგბას მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდი უწოდა.

„მე „ჩელსის" თავდამსხმელების დიდი ფანი ვარ. რა დამავიწყებს, ყმაწვილი რომ ვიყავი, ანელკა „არსენალში" თამაშობდა და მე აღფრთოვანებული შევყურებდი ეკრანს. ეს სწორედ ის ფეხბურთი იყო, როგორიც მე მომწონს. რაც შეეხება დროგბას, რაღა უნდა ლაპარაკი, რომ ის მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია. ამ ორი ფეხბურთელის მხარდამხარ თამაში ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ისინი უმაღლესი დონის სტანდარტებს ამკვიდრებენ".

კიდევ, ტორესი „ლივერპულის" დროინდელ თანაგუნდელსა და მეგობარს **იოსი ბენაიუნს** შეუერთდება.

„ბოლო ორი-სამი დღის განმავლობაში ის ჩემთან ერთად განიცდიდა ყველაფერს. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ისევ ერთ გუნდში ვიქნებით. იმედი მაქვს, ზურგის ტკივილიც მალე დაუამდება და მოედანზე დაბრუნდება. ის დიდებული ადამიანია. უნდა იცოდეთ, როგორ ენატრება „ლივერპულში" ყველას".



ნანდო პრეზენტაციაზე


როგორ ვერ გადავიდა
ჩარლი ვერსად

# ორწუთიანი დრამა

სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღის ამბავთა შორის „ბლექპულის" შოტლანდიელი ნახევარმცველის, **ჩარლი ადამის** შემთხვევა გახლავთ საინტერესო. 25 წლის ფეხბურთელი „ლივერპულში" ვერ გადავიდა! როგორია, „ლივერპულში" გადასვლის შანსი გქონდეს და ხელიდან გაუშვა?

ზღვისპირელთა კაპიტანს ძალიან უნდოდა „ენფილდ როუდზე" თამაში. ამბობენ, ის თავს **კენი დალგლიშის** განახლებული გუნდის წევრად ხედავდა და „კოპის მეფეს" მთელი ორშაბათის განმავლობაში არეკინა კიდეც „ბლექპულის" შეფებთან, მაგრამ მათ პასუხს საშველი არა და არ დაადგაო. მოკლედ, „ბლექპულის" მწვრთნელმა **იან ჰოლოუეიმ** დალგლიშის ზარებს არ უპასუხა, მაგრამ ადამისთვის ეს მხოლოდ ერთი დასტური იყო იმისა, რომ ორშაბათი ნავსიანი დღეა. მეორე, თურმე, წინ ელოდა: შოტლანდიელი ვერც „ტოტენჰემ ჰოთსპურში" გადავიდა. „დეზებთან" მას ორმა (!) წუთმა შეუშალა ხელი.

დავაზუსტოთ: ჩარლი ადამი „ტოტენჰემ ჰოთსპურში" იმიტომ ვერ გადავიდა, რომ „ბლექპულის" შეფებმა საჭირო დოკუმენტებს ხელი თორმეტის ორ წუთზე მოაწერეს, სატრანსფერო ფანჯარა კი თერთმეტზე იხურებოდა. ლონდონელები ზღვისპირელებს ადამში 6,5 მილიონ ფუნტს უხდიდნენ. ეს ამბავი „სფურზის" მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმაც** დაადასტურა:

„ყველაფერი სწორად გავაკეთე, რომ იტყვიან, ბოგირს შესაფერის მომენტში დავქაჩე, მაგრამ ვერ მოვასწარი. არადა, ყველაფერი საათივით იყო აწყობილი - ბიჭს ჩვენთან გადმოსვლა უნდოდა, „ბლექპული" კი მის გაყიდვაზე ყაბულს იყო. ჩვენ მათთან 6,5 მილიონი ფუნტის ფარგლებში შევთანხმდით, მაგრამ იქაურ თავმჯდომარეს ორი მეწილის შეკრება და მათი ხელმოწერები სჭირდებოდა. მან ეს მოახერხა, მაგრამ სამწუხაროდ, ორი წუთით გადააცილა. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ადამს ზაფხულზე მაინც ვიყიდით. ასეთი პერსპექტივა ნამდვილად გამოჩნდა".

ზემოთ „ლივერპული" ვახსენეთ: მერსისაიდელებმა ადრე ორჯერ სცადეს „ბლექპულთან" ადამის შესახებ ლაპარაკი. ისინი ზღვისპირელებს სწორედ იმ თანხას სთავაზობდნენ, რაზეც მათ ორშაბათს „ტოტენჰემთან" საერთო ენა გამონახეს - 6,5 მილიონ ფუნტზე მოგახსენებთ, მაგრამ ჰოლოუეიმ და კომპანიამ დაიჩემეს 10 მილიონიდან ფეხს არ მოვიცვლითო და გარიგება ვერ შედგა.

ჩარლი ადამი, რომლის აგენტიც „ევერტონის" მწვრთნელის **დევიდ მოიესის** ძმა **ჩარლი მოიესი** გახლავთ (მოიესებიც შოტლანდიელები არიან), მთელი დღე „ბლუმფილდ როუდზე" იჯდა და იქაურობა მხოლოდ სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ორსაათ-ნახევრით ადრე დატოვა. ოფისიდან გამოსული ხმების თანახმად, ადამის წამოსვლას წინ მასსა და მოიესს შორის ხმამაღალი ლაპარაკი უსწრებდა.

მაშ ასე, იან ჰოლოუეიმ შოტლანდიელი ნახევარმცველი შეინარჩუნა და ამის გარდა კიდევ ოთხი საქმე გააკეთა: სანკტ პეტერბურგის „ზენიტიდან" **სერგეი კორნილენკო**, „რეინჯერსისგან" **ჯეიმს ბიტი**, „სანდერლენდიდან" **ენდი რიდი**, ხოლო „საუთჰემპტონიდან" **ჯეისონ პენჩიონი** იქირავა.

# ვინც სულელი და უპასუხისმგებლოა

ინგლისური სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღის ყველაზე ხმაურიან ამბავს მისი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, „ლივერპულის" თავკაცი **კენი დალგლიში** გამოეხმაურა. „კოპის მეფე კენიმ" პირდაპირ თქვა, ყველა, ვისაც თავი ამ კლუბზე დიდი ჰგონია, სულელი და უპასუხისმგებლოაო - ნეტავ, ტორესი თუ იგულისხმა?

ესპანელმა თავდამსხმელმა პარასკევს „ჩელსიში" გადასვლის მოთხოვნით მერსისაიდელ ფანობას („ევერტონის" ბოროტად მოქირქილე ქომაგთა ნაწილის გარდა) გაოცებისგან პირი დააღებინა, ხოლო ორშაბათს, როდესაც ტრანსფერმა ხორცი შეისხა, ფეხბურთელი, რომელიც მთელი ოთხი წლის განმავლობაში გმირად მიაჩნდათ, ხელის ერთი მოსმით შეაჯავრა. რატომღაც „ენფილდის" საზოგადოებას ეგონა, რომ უცხოეთიდან ჩამოსული კაცი, რომელმაც მათი გუნდის სახელით 102 შეხვედრაში 65 გოლი გაიტანა, მაგრამ სხვათა უნიათობის გამო ვერც ერთი ტიტული ვერ მოიგო, კვირაში 65 ათასი ფუნტით მეტ გასამრჯელოსა და ტიტულების მოგების პერსპექტივაზე უარს იტყოდა.

დალგლიშმა სიტუაციის სალად დანახვა სცადა: „ასეთი რაღაცები ხდება, თუმცა დრო გადის და ხალხი ყველაფერს ივიწყებს. ფეხბურთელები მოდიან და მიდიან. ამ ბოლო წლებში „ლივერპულში" უფრო მეტი მოვიდა, ვიდრე წავიდა, მაგრამ ახლა სურათი იცვლება. მოკლედ, ხალხი მიდის კიდეც. ყველასა და ყველაფერზე მთავარი კი, რასაკვირველია, კლუბია. „ლივერპული" გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერი ადამიანი. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ თამაშობდა მისი მაისურით წარსულში და ვინ ითამაშებს მომავალში - კლუბი კლუბად რჩება. მე ეს არასდროს მავიწყდება, ხოლო ყველა, ვისაც სხვანაირად ჰგონია, სულელი და უპასუხისმგებლოა".

ასეთი განცხადება დალგლიშისგან სხვანაირად ჟღერს, რადგან ეს ის კაცია, ვინც თავის დროზე, გუნდიდან **კევინ კიგანის** წასვლის შემდეგ ლიდერობა იტვირთა და „ლივერპული" ახალ გამარჯვებათა გზაზე დააყენა. მერსისაიდელებმა ის 1977 წელს იყიდეს „სელტიკისგან" და როგორც შემდეგ გაირკვა, „ლივერპულის" ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი შეუძენიათ. დალგლიშმა ტორესის წასვლის გამო აღელვებული ფანების დასაწყნარებლად სწორედ თავისი მაგალითი გაიხსენა:

„მე კარიერა „სელტიკში" დავიწყე და აქ მერე გადმოვედი. ვინ იცის, კევინი „ლივერპულიდან" რომ არ წასულიყო, „ენფილდზე" ვერც მოვხვედრილიყავი. კიგანმა გუნდი რომ დატოვა და მის ნაცვლად მე გამოვჩნდი, ბევრს სამყაროს დასასრული ეგონა. ანდა, გაიხსენეთ 1987 წელი, როდესაც იან რაში „იუვენტუსში" გადავიდა. ისიც გეხსომებათ, რომ რაში იტალიას ვერ შეეწყო, ერთ წელიწადში ისევ აქ დაბრუნდა და 1996 წლამდე დარჩა. მოკლედ, ფეხბურთელები მიდიან, მათ ნაცვლად მოდიან სხვები და ეს კლუბისთვის ძალიან კარგია. ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხი კი ის არის, ვისაც „ლივერპულში" სურს დარჩენა.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენი კლუბის მეპატრონეები ამ სატრანსფერო ფანჯრის დროს დაგვეხმარნენ. ეს ფანებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი თვალნათლივ დაინახავენ, რომ გუნდი ადგილზე არ დგას, ის ვითარდება. მათი დახმარებით ჩვენ შევიძინეთ ლუის სუარესი და ენდი ქეროლი, რომლებიც დღეს ჩვენ სწორედ იმ თვისებებს შეგვძენენ, რომლებიც გვჭირდება".



კენის ერთგულები უყვარს

ამბები

## მისი უგიგზესობა

როდესაც სერ **ალექს ფერგიუსონი** „მანჩესტერ იუნაიტედის" ფანების გამოკითხვის შედეგებს გაეცნო, არაფერი გაჰკვირვებია. არადა, ლეგენდარული კლუბის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ხალხმა აირჩია არა სერ **ბობი ჩარლტონი**, **ჯორჯ ბესტი** ან **ერიკ კანტონა**, არამედ **რაიან გიგზი**. ფერგიუსონმა თქვა:

„გიგზის გამარჯვება სრულებითაც არ გამკვირვებია. ასეთი გამოკითხვების დროს ხალხზე კარიერის ხანგრძლივობა მოქმედებს, რაიანი კი „ოლდ ტრეფორდზე" ძალიან დიდხანს თამაშობს. სხვები მასთან ახლოს ვერ მოვლენ. გიგზმა ახლახან „მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურით მეექვსასე შეხვედრა ჩაატარა. ეს უნიკალური შედეგია, თუმცა მარტო სტატისტიკაც არ არის გადამწყვეტი. შეხედეთ მისი თამაშის ხარისხს. დღესაც, 37 წლის ასაკში, ის საუცხოო ფორმაშია".

თავად გიგზმა განაცხადა, რომ ამ ცნობამ გააოგნა: „როდესაც მითხრეს, რომ გავიმარჯვე, არ ვიჯერებდი. „მანჩესტერ იუნაიტედში" ხომ ბევრ დიდ ფეხბურთელს უთამაშია".

ათეული კი ასეთია: გიგზი, **ერიკ კანტონა**, **ჯორჯ ბესტი**, სერ **ბობი ჩარლტონი**, **კრიშტიანო რონალდო**, **პოლ სქოულზი**, **დევიდ ბექჰემი**, **როი კინი**, **პიტერ შმეიხელი** და **უეინ რუნი**.

## მოიესის საყვედური

„ევერტონის" თავკაცმა **დევიდ მოიესმა** თქვა, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მცდელობა, გადაებირებინა მისი გუნდის ვეტერანი **ფილ ნევილი**, როგორც „ევერტონის", ასევე საკუთრივ ფეხბურთელის შეურაცხყოფა იყო. საქმე ის გახლავთ, რომ „დეზები" ლივერპულელთა კაპიტანს სამი კვირის განმავლობაში უვლიდნენ გარს, მაგრამ კონკრეტული წინადადებით გასულ შაბათამდე არ მიუმართავთ. და შაბათს იცით, რამდენი შესთავაზეს? ჯერ 250 ათასი მერე კი 500 ათასი ფუნტი.

არ გეჩვენებათ და არც ჩვენ დაგვიშვია შეცდომა. „ტოტენჰემმა" „ევერტონს" ფილ ნევილში სწორედ ეს თანხა შესთავაზა, რამაც მოიესს ლამის ყბა ჩამოაგდებინა. ლივერპულის „ლურჯი" გუნდის შოტლანდიელმა მწვრთნელმა თქვა: „ეს ნამდვილი შეურაცხყოფა იყო. ჩვენი გუნდის კაპიტნის ასე შეფასება, როგორც „ევერტონის", ასევე საკუთრივ ფილის უპატივცემულობა გახლდათ".

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### სერია A. XXIII ტურის წინ



სტადიო რენცო ბარბერაზე დაცხება

# იუვეს კიდევ ერთი გამოცდა

## ინტერი აუტსაიდერს სტუმრობს

**გუშინ**

**მილანი-ლაციო 0:0**

**მილანი (4-4-2):** აბიატი - ოდო, იეპესი, ბონერა (46. ლეგროტალიე (84. პაპასტატოპულოსი)), ანტონინი - ფლამინი, ტიაგო სილვა, ემანუელსონი, რობინიო - იბრაჰიმოვიჩი, პატო (63. კასანო).

**ლაციო (4-4-2):** მუსლერა - ლიხტშტაინერი, დიასი, ბიავა, რადუ - გონსალესი (74. ბრეშიანო), ლედესმა, ერნანესი, ბროკი - სკული (81. მაური), კოზაკი.

**გოლები:** 0:0

**გაფრთხილება:** ოდო - კოზაკი, ლედესმა

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 20-7 (2-1); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 45 000

**დღეს**

**რომა-ბრეშა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** კონე (ბრეშა).

**ტრავმა:** პიზარო, ბრიგი, ადრიანო, რიისე - დალამანო.

**ჩეზენა-კატანია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ლაურო, კოლუჩი (ჩეზენა).

**ტრავმა:** ბიაჯანტი, ლიამა, ისკო, ალვარესი, ბელუში (კატანია).

**კიევო-ნაპოლი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ლავეცი, მასკარა (ნაპოლი).

**ტრავმა:** ლუჩანო, მარკოლინი - გრავა, ვიტალე.

**ფიორენტინა-ჯენოა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** დაინელი (ჯენოა).

**ტრავმა:** ვარგასი, ნატალი, იოვეტიჩი - ანტონელი, პელანიუსი.

**პალერმო-იუვენტუსი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** კამოციერი, მუნოზი - ბონუჩი.

**ტრავმა:** პერნანდესი, პინილია, გოიანი - რინაუდო, დე ჩელიე, კვალიარელა, ტონი, ტრაორე, პეპე, მოტა, იაკვინტა.

**პარმა-ლეჩე 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.

**ტრავმა:** პიზანო - ჯულიატო, ოფერე, დი მიკელე.

**სამპდორია-კალიარი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.

**ტრავმა:** სემიოლი, გასტალდელო, ლუკინი, პოცი (სამპდორია).

**უდინეზე-ბოლონია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** სანჩესი - ხიმენესი.

**ტრავმა:** ბასტა, ფერონეტი, ანჯელა - რამირესი.

**ხვალ**

**ბარი-ინტერი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.

**ტრავმა:** ს. მაზიელო, ბელმონტე, ბარეტო - სნეიდერი, სტანკოვიჩი, კორდობა, მარიგა, კამბიასო, ლუსიო, სამუელი.

XXIII ტურის პირველი შეხვედრა გუშინ გვიან ღამით გაიმართა, „მილანმა" საკუთარ მოედანზე „ლაციოს" უმასპინძლა და ამ შეხვედრის შესახებ ხვალინდელ ნომერში ვრცლად მოგახსენებთ. შუა-კვირაში დაგეგმილი ტური სამ დღეზე გაიწერა, ერთი შეხვედრა ხვალ გაიმართება და მასზე ქვემოთ ვიტყვით, იქამდე კი დღეს დაგეგმილ პაექრობებს გადავავლოთ თვალი.

კრიზისში მყოფი „იუვენტუსი" სიცილიაში ჩადის, სადაც „პალერმოსთან" მოუწევს ჭიდილი. ტრადიციულად, „იუვე" ფავორიტია ასეთ გუნდებთან დაპირისპირებისას, მაგრამ ამ შემთხვევაში პროგნოზების გაკეთებისას სიფრთხილე გვმართებს. ტურინული გრანდი საშინელ ფეხბურთს თამაშობს, პრაქტიკულად ყველაფერს აგებს და დიდია შანსი, სიცილიიდანაც უქულოდ დაბრუნდეს. მით უმეტეს, „პალერმოსთან" გასვლაზე თამაში არც ერთი გუნდისთვის არ არის იოლი საქმე. „იუვე" სიახლეებით შეხვდა XXIII ტურს, **კარვალიო ამაურიმ** „პარმას" მიაშურა, მის მიერ გამოთავისუფლებული ადგილი კი **ალესანდრო მატრიმ** შეავსო „კალიარიდან". „გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, „პალერმოსთან" შეხვედრაში მატრი სათადარიგოთა სკამზე იქნება, ძირითადში კი კვლავაც **ალესანდრო დელ პიეროსა** და **ხორხე მარტინესის** შემტევ ტანდემს ვიხილავთ. არადა, წინა ტურში „უდინეზესთან" განცდილი მარცხის შემდეგ **ლუიჯი დელ ნერიმ** ორივე თავდამსხმელი გააკრიტიკა და პირდაპირ განაცხადა, რომ გუნდში გამტანი ფორვარდი უბრალოდ არ ჰყავს. სავარაუდოდ, მატრი მეორე ნახევარში ჩაერთვება თამაშში და ვნახოთ, როგორი დებიუტი ექნება ახალ გუნდში. დელ ნერი ტრადიციულ 4-4-2 ტაქტიკას ამზადებს და ნახევარდაცვაში სავარაუდოდ შემდეგ ოთხეულს ვიხილავთ: **ფელიპე მელო, კლაუდიო მარკიზიო, მილოშ კრასიჩი, ალბერტო აკვილანი.** პრინციპში, შუა ხაზი ოპტიმალურია, ერთი ეგ არის, რომ **სიმონე პეპე** დაშავდა „პალერმოსთან" მატჩში და თანაგუნდელებს ვერ დაეხმარება.

გასულ ტურში, „პალერმო" „ინტერს" ესტუმრა და ახლოსაც იყო გამარჯვებასთან. სიცილიელები ორი ბურთით დაწინაურდნენ, თუმცა შემდეგ სამი გაუშვეს და სულაც უქულოდ დარჩნენ. **დელიო როსის** გუნდმა შეტევაში თამაშით გამოიჩინა თავი და უნდა ვივარაუდოთ, რომ „იუვეს" მცველებს დიდი ჯაფა დაადგებათ. სრულ მზადყოფნაშია **ფაბრიციო მიკოლი,** რომელსაც უკნიდან **ხავიერ პასტორე** მოამარაგებს გადაცემებით.

„ნაპოლის" „კიევოსთან" უწევს გასვლითი პაექრობა და წესით, ძალიან საინტერესო ჯახი უნდა გამოვიდეს. ვერონელებმა წინა ტურში „ბრეშა" გაანადგურეს მისსავე მოედანზე და საკმაოდ კარგ ფორმაში არიან. ალარაფერს ვამბობთ „ნაპოლიზე", რომელიც მეორე ადგილზეა სატურნირო ცხრილში და თამაშს თამაშზე იგებს. **ვალტერ მაძარის** დანაკლისი აქვს, **ეზეკილ ლავეცი** დისკვალიფიცირებულია და შესაბამისად, ვერონაში გუნდთან ერთად არ გაემგზავრა. ნეაპოლელთა მთავარი მწვრთნელი სავარაუდოდ ტაქტიკას შეცვლის და 3-4-2-1-ის ნაცვლად, 4-3-1-2-ს გამოიყენებს. ცვლილება სწორედ ლავეცის დისკვალიფიკაციით გახლავთ განპირობებული, რადგან მის შემცვლელად მაძარის სუფთა ფორვარდი, **ხერმან დენისი** ჰყავს შერჩეული. არგენტინელი **ედინსონ კავანის** შეუწყვილდება შეტევის წინა ხაზზე, გამთამაშებლის პოზიციაზე კი **მარეკ ჰამშიკი** გაირჯება.

აქვე ვთქვათ, რომ „რომას" „ბრეშასთან' უწევს საშინაო პაექრობა. **კლაუდიო რანიერი** ახალი ცოცხის ეფექტს უფრთხის, რადგან როგორც უკვე გაუწყეთ, „ბრეშას" **ჯუზეპე იაკინის** სახით სწორედ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - მოვუსმინოთ რანიერის: *„სერია A-ში იოლი თამაში არ არსებობს და თავს ნუ მოვიტყუებთ. თანაც, „ბრეშას" ახალი მწვრთნელი ჰყავს, ასეთ დროს კი გუნდი გაცილებით უფრო სახიფათოა. მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს დიდი მოტივაცია ექნებათ, რომ მწვრთნელს თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინონ. ბრძოლაში, მონდომებასა და თავდადებაში არ უნდა დავუთმოთ მეტოქეს და ასეთ შემთხვევაში აუცილებლად გავიმარჯვებთ".*

ბოლო დროს, ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება **ჟერემი მენეზი,** არადა, სეზონის პირველ ნახევარში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. „ბრეშას" **ფრანჩესკო ტოტი** და **მარკო ბორიელო** შეუტევენ, **მირკო ვუჩინიჩი** კი რეზერვში დარჩება - ყოველ შემთხვევაში, „გაძეტა დელო სპორტი" ასეთ პროგნოზს აკეთებს. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება...

საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს ხვალ გასამართი პაექრობა, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ „ბარი" და „ინტერი" წარდგებიან. მილანური გრანდი ჩემპიონატის აუტსაიდერს სტუმრობს და რა თქმა უნდა, მხოლოდ სამი ქულის მოპოვება აქვს დაგეგმილი. თუმცა, „ინტერს" როგორც წესი უჭირს „ბარისთან" და ვნახოთ, იქნებ ტრადიცია არც ამჯერად დაირღვეს. „გაძეტას" მტკიცებით, **ჯამპაოლო პაცინის** ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ, მის მხარდამხარ კი **სამუელ ეტოო** იმოქმედებს. პრინციპში, ამას არც უნდა ვინმეს მტკიცება, პაცინიმ გაიბრწყინა წინა შეხვედრაში და სრულიად ბუნებრივია, რომ **ლეონარდო** ძირითადისთვის ამზადებს. **ვესლი სნეიდერიც** დაშავებულია და **დეიან სტანკოვიჩიც,** ამიტომ, გამთამაშებლის პოზიციაზე **გორან პანდევს** ვიხილავთ. მაკედონიელს იშვიათად უწევს დირიჟორის ფუნქციების შესრულება და ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. პრესის განსაკუთრებული ყურადღებით პაცინი სარგებლობს და ბოლოს, სწორედ მას მოვუსმინოთ:

*„ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის და თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მიზანი ლიდერთან ჩამორჩენის აღმოფხვრა და შემდეგ გადასწრებაა, ამიტომ, შეცდომების დაშვების უფლება აღარ გვაქვს. თუ მეტოქეს სათანადოდ არ შევაფასებთ, შეიძლება მკაცრად დავისაჯოთ - ამიტომ, მაქსიმალური მობილიზება გვმართებს, რათა დაუგეგმავი ქულები არ დავკარგოთ. ჯერ არ ვარ დარწმუნებული, რომ ძირითად შემადგენლობაში ვიქნები. ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია და სულ რომ არ მათამაშოს, ამას გაგებით მოვეკიდები. მთავარი გუნდური ინტერესებია და მწვრთნელის გადაწყვეტილებას ყველა უნდა დავემორჩილოთ".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 23 | 14 | 6 | 3 | 39-18 | 48 |
| 2. ნაპოლი | 22 | 13 | 4 | 5 | 36-20 | 43 |
| 3. ლაციო | 23 | 12 | 5 | 6 | 29-21 | 41 |
| 4. ინტერი | 21 | 11 | 5 | 5 | 36-24 | 38 |
| 5. რომა | 21 | 11 | 5 | 5 | 31-24 | 38 |
| 6. უდინეზე | 22 | 11 | 3 | 8 | 36-29 | 36 |
| 7. იუვენტუსი | 22 | 9 | 8 | 5 | 36-27 | 35 |
| 8. პალერმო | 22 | 10 | 4 | 8 | 36-28 | 34 |
| 9. კალიარი | 22 | 8 | 5 | 9 | 26-23 | 29 |
| 10. კიევო | 22 | 6 | 9 | 7 | 23-22 | 27 |
| 11. სამპდორია | 21 | 6 | 9 | 6 | 20-22 | 27 |
| 12. ჯენოა | 21 | 7 | 6 | 8 | 18-20 | 27 |
| 13. ფიორენტინა | 21 | 6 | 7 | 8 | 21-23 | 25 |
| 14. ბოლონია | 21 | 7 | 7 | 7 | 23-29 | 25 |
| 15. პარმა | 22 | 6 | 7 | 9 | 22-28 | 25 |
| 16. კატანია | 22 | 5 | 7 | 10 | 18-29 | 22 |
| 17. ლეჩე | 22 | 5 | 6 | 11 | 21-39 | 21 |
| 18. ჩეზენა | 22 | 5 | 5 | 12 | 16-28 | 20 |
| 19. ბრეშა | 22 | 5 | 3 | 14 | 17-30 | 18 |
| 20. ბარი | 22 | 4 | 5 | 13 | 14-34 | 14 |

**ლაშა წიკლაური**

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტური

# რუ-ნაბიჯ

## არსენალმა და ჩელსიმ შემოაბრუნეს

წუხელ „ნისლიან ალბიონზე" ლიდერთა კვარტეტის სამმა წევრმა ითამაშა და სამივემ მოიგო, თუმცა სამივეს - „მანჩესტერ იუნაიტედს", „არსენალსა" და „ჩელსის" თავიდან გაუჭირდა.

ერთპიროვნულმა ლიდერმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" შეინარჩუნა 5-ქულიანი უპირატესობა „არსენალთან", **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა „ასტონ ვილა" 3:1 დაამარცხა. პირველი ტაიმის თავსა და ბოლოში **უეინ რუნიმ** გაიტანა, რომელიც აქამდე საშინელ ფორმაში იყო, მაგრამ მწვრთნელი მაინც ენდობოდა. 60 წამიც არ იყო გასული, როცა უეინმა პირველი გოლი შეაგდო - **ვან დერ სარმა** ბურთი თამაშში შეიყვანა, ბირმინგემელთა დაცვა დაიბნა და რუნიმ **ბრედ ფრიდელის** კარი დალაშქრა - აგვისტოს მერე ფორვარდმა „ოლდ ტრეფორდზე" პირველი გოლი გაიტანა. რუნის მეორე გოლი **ნანის** ჩაწოდებას მოჰყვა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „არსენალმა" მეორე ტაიმში შემოაბრუნა „ევერტონთან" მატჩის ჩარხი - მანამდე კი ლივერპულელები **საას** ოფსაიდიდან გატანილი ბურთის წყალობით იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა - ჯერ შეცვლაზე შესულმა **ანდრეი არშავინმა სესკ ფაბრეგასის** პასით გაიტანა, შემდეგ კი **ლორან კოშელნიმ** თავით ლონდონელებს ასე საჭირო სამი ქულა მოუტანა.

**ფერნანდო ტორესი** „ჩელსის" განაცხადში ჯერ არ ყოფილა, „ლურჯები" კი „სანდერლენდს" ეწვივნენ. მასპინძლები ერთი საათის თავზე ძლივს გატეხეს, როცა 2:2-ზე **ჯონ ტერიმ** დამატებაზე იყოჩაღა, შემდეგ **ანელკამ** ბოლო წუთზე „ჩელსის" უპირატესობა გაამყარა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**არსენალი-ევერტონი 2:1**

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - სანია, ჯურუ, კოშელნი, კლიში - სონგი (46. დიაბი), უილშირი (69. ბენდტნერი)- უოლკოტი, ფაბრეგასი, როსიცკი (62. არშავინი) - ვან პერსი.

**ევერტონი (4-5-1):** ჰოვარდი - ფ. ნევილი (79. ჯაგეილკა), ჰეიტინგა, დისტინი, ბეინესი - კოულმენი (78. ანიჩებე), არტეტა, როდუელი, ფელაინი, ბილიალეტდინოვი (65. ოსმანი) - საა.

**გოლები:** 0:1 საა (24), 1:1 არშავინი (70), 2:1 კოშელნი (75)

**გაფრთხილება:** უილშირი, როსიცკი, ვან პერსი - დისტინი, როდუელი, არტეტა, ოსმანი

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 18-5 (6-2); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 60 014

**სანდერლენდი-ჩელსი 2:4**

**სანდერლენდი (4-5-1):** გორდონი - ონუოჰა (88. კუკი), ბრამბლი, ა. ფერდინანდი, ბერდსლი - ალ მუჰამადი, ჰენდერსონი, რიჩარდსონი, მალბრანკი (82. კოლბეკი), სესენიონი - ასამოა გიანი.

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი - ბოსინგვა (91. ფერეირა), ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული - ესიენი, ობი მიკელი (77. რამირესი), ლამპარდი - ანელკა, კალუ (82. მალუდა), დროგბა.

**გოლები:** 1:0 ბერდსლი (4), 1:1 ლამპარდი (15-პენ), 1:2 კალუ (23), 2:2 რიჩარდსონი (26), 2:3 ტერი (60), 2:4 ანელკა (90)

**გაფრთხილება:** რიჩარდსონი - დროგბა. ივანოვიჩი

**კუთხური:** 0-6; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 7-28 (4-14); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 37 855

**მანჩესტერ იუნ.-ასტონ ვილა 3:1**

**მანჩესტერი (4-4-2):** ვან დერ სარი - ო'ში, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ნანი, ქერიკი, ფლეტჩერი (34. ანდერსონი), გიგზი - რუნი, ბერბატოვი.

**ასტონ ვილა (4-5-1):** ფრიდელი - უოლკერი, კოლინზი, დანი, კლარკი - ოლბრაიტონი (70. ჰესკი), მაკუნი, ე. იანგი, პეტროვი (75. აგბონლაჰორი), დაუნინგი (80. დაუნინგი) - ბენტი.

**გოლები:** 1:0 რუნი (1), 2:0 რუნი (45), 2:1 ბენტი (58), 3:1 ვიდიჩი (63)

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 8-7; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 22-12 (10-4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 75 256

**ვესტ ბრომვიჩი-უიგანი 2:2**

**ვესტ ბრომვიჩი (4-3-3):** მიჰილი - ხარა (77. რიდი), შარნერი, ოლსონი, ჩეხი - ბრანტი, მულუმბუ, [illegible] - ველა (58. ტჩოი), კოქსი (66. ფორჩუნი), ოდემვინგიე.

**უიგანი (4-3-3):** ალ ჰაბსი - ბოისი, გ. კოლდველი, გოჰური, ფიგეროა (71. ს. კოლდველი) - მაკარტი (62. ტომასი), უოტსონი, დიამი - ნ'ზოგბია, როდალეგა, დი სანტო (76. მოუზესი).

**გოლები:** 1:0 ოდემვინგიე (5), 1:1 ნ'ზოგბია (20), 1:2 უოტსონი (43), 2:2 ფორჩუნი (79)

**გაფრთხილება:** ოდემვინგიე, ხარა, მულუმბუ - უოტსონი, ტომასი, როდალეგა

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 18-12 (5-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 25 358

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 24 | 15 | 9 | 0 | 54-22 | 54 |
| 2. არსენალი | 24 | 15 | 4 | 5 | 50-23 | 49 |
| 3. სიტი | 24 | 13 | 6 | 5 | 37-20 | 45 |
| 4. ჩელსი | 24 | 13 | 5 | 6 | 46-21 | 44 |
| 5. ტოტენჰემი | 23 | 10 | 8 | 5 | 32-26 | 38 |
| 6. სანდერლენდი | 25 | 9 | 10 | 6 | 30-28 | 37 |
| 7. ლივერპული | 24 | 9 | 5 | 10 | 31-31 | 32 |
| 8. ბლეკბერნი | 24 | 9 | 4 | 11 | 31-37 | 31 |
| 9. ნიუკასლი | 23 | 8 | 6 | 9 | 36-33 | 30 |
| 10. სტოკი | 23 | 9 | 3 | 11 | 28-28 | 30 |
| 11. ბოლტონი | 24 | 7 | 9 | 8 | 34-35 | 30 |
| 12. ბლექპული | 23 | 8 | 4 | 11 | 34-41 | 28 |
| 13. ასტონ ვილა | 25 | 7 | 7 | 11 | 28-43 | 28 |
| 14. ევერტონი | 24 | 5 | 12 | 7 | 28-31 | 27 |
| 15. ფულჰემი | 24 | 5 | 11 | 8 | 25-26 | 26 |
| 16. ვესტ ბრომ. | 24 | 7 | 5 | 12 | 31-45 | 26 |
| 17. ბირმინგემი | 22 | 4 | 11 | 7 | 21-31 | 23 |
| 18. უიგანი | 25 | 4 | 11 | 10 | 22-41 | 23 |
| 19. ვულვზი | 23 | 6 | 3 | 14 | 24-41 | 21 |
| 20. ვესტ ჰემი | 24 | 4 | 9 | 11 | 24-43 | 21 |

**ბომბარდირები:** 19 - ბერბატოვი (მანჩესტერი); 14 - ტევესი (სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი/ლივერპული); 10 - დროგბა (ჩელსი), ნოლანი (ნიუკასლი), ოდემვინგიე (ვესტ ბრომვიჩი).



უეინ რუნი დუბლით „დაბრუნდა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. იანვრის ტრანსფერები

# ფელიქს, რად გინდა ქარიმი?

## გერმანული კლუბების არჩევანი: რაოდენობა ხარისხის ნაცვლად

ისევე, როგორც მთელ ევროპაში, იანვრის ბოლო დღეს საფეხბურთო გერმანიაშიც გაიკრეს ჯიბეზე ხელი. გასულ უქმეებზე და ორშაბათს ბუნდესლიგაშიც რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი განხორციელდა. პირველი, რაც უნდა ვთქვათ, ისაა, რომ იანვრის ტრანსფერების შედეგაც ყველაზე დიდ „მინუსში" მიუნხენის „ბაიერნი" გავიდა. ბავარიელებმა მხოლოდ საყრდენი ნახევარმცველი **ლუის გუსტავო** შეიძინეს და მასში 15 მილიონი ევრო გადაიხადეს. გაშვებული ფეხბურთელებიდან კი მიუნხენურ კლუბს ფული მხოლოდ **მარტინ დემიკელისმა** მოუტანა - არგენტინელი მცველი „მალაგაში" 3 მილიონად გაიყიდა. შესაბამისად, „ბაიერნის" იანვრის ბალანსი მინუს 12 მილიონია. თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზაფხულში ბავარიულ გრანდს არავინ უყიდია, სამაგიეროდ **სოსა** (3 მილიონად) და **ნიდერმაიერი** (3.5 მილიონი) გაყიდა. შესაბამისად, მთელი მიმდინარე სეზონის მიხედვით თუ დავთვლით, „ბაიერნის" სატრანსფერო მინუსი მხოლოდ 5.5 მილიონს შეადგენს. შედარებისთვის, ზუსტად ერთი წლის წინ ეს მაჩვენებელი დაახლოებით ათჯერ მეტი (-50 მილიონი) იყო.

ზოგადად ყველაზე ბევრი ფული „ვოლფსბურგმა" მიიღო და გაიღო. **ედინ ჯეკოს** სარეკორდო ტრანსფერმა (ბოსნიელი „მანჩესტერ სიტიმ" 35 მილიონ ევროდ შეიძინა) „მგლებს" ბევრი ფული მოუტანა. ამასთან, ვოლფსბურგელებმა იანვარში ამ თანხის გარკვეული ნაწილის რეინვესტირება მოახდინეს: **პატრიკ ჰელმესი, თუნჯაი სანლი, მბოკანი, ოროსკო** და **კუ** „ვოლფებს" 15.95 მილიონი ევრო დაუჯდათ. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ვოლფსბურგმა" ზაფხულში **დიეგო** 15.5 მილიონად (იუვენტუსიდან) იყიდა, **სიმონ კიაერში** კი („პალერმოდან" შეიძინა) 12 მილიონი ევრო გადაიხადა.

„მგლების" ახალწვეულთაგან სამი თავდამსხმელია. ჯეკოს გაყიდვას თუნჯაის, მბოკანისა და ჰელმესის ყიდვა მოჰყვა. პირველი, რაც უნდა ითქვას ისაა, რომ ამ სამეულიდან არც ერთი არ არის ჯეკოს დონის თავდამსხმელი. ამჯერად „მგლებმა" აქცენტი არა ხარისხზე, არამედ რაოდენობაზე გააკეთეს იმ იმედით, რომ რომელიმე მათგანი იმედებს აუცილებლად გაამართლებს. ზაფხულში კი, გერმანიის ექს-ჩემპიონში, რომელსაც სადღეისოდ ძალიან უჭირს, კაიზერსლაუტერნელი გოლეადორი **სრდიან ლაკიჩიც** გადავა.

მბოკანი „მონაკოდან" მხოლოდ არენდითაა აყვანილი და თუ „ვოლფსბურგს" კარგად შეეწყო, ზაფხულში სრულფასოვანი „მგელი" გახდება. ჰელმესი ბუნდესლიგაში გამოცდილი ფორვარდია, რომელიც გერმანიის ნაკრების გაფართოებულ სიაშიც მოიაზრება, მაგრამ ჯერ არ არის ჩამოყალიბებული გოლეადორი და ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი. რაც შეეხება თუნჯაის - თურქი შემტევი გამოცდილი ფეხბურთელია, რომელსაც წინა ხაზზე ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ვოლფსბურგის" მთავარ მწვრთნელ **სტივ მაკლარენს** ერთი ცენტრფორვარდით (4-2-3-1) თამაში უყვარს, თუნჯაი მას სავარაუდოდ უფრო ფლანგისთვის სჭირდება. ცენტრში კი ედინ ჯეკო ან ჰელმესმა უნდა შეცვალოს, ან მბოკანიმ, თუ არა და, გუნდშია ბუნდესლიგის ორი წლის წინანდელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირი **გრაფიტეც**. ერთი სიტყვით, მაკლარენმა და მენეჯერმა **დიტერ ჰიონესმა** „ვოლფსბურგი", სადაც **ფელიქს მაგათს** საათივით აწყობილი სისტემა ჰქონდა, „ექსპერიმენტების საჯინიბოდ" გადააქციეს.

### შალკეს ფანებმა ხმა აიმაღლეს, მაგათი აჭრილიაო

პარასკევს „რურის დიდი დერბია" და ბუნდესლიგის ერთ-ერთი უმთავრესი მშვენების წინ, „შალკეში" მონასტერი ისეა არეული, როგორც არასდროს! გელზენკირხენული კლუბის გულშემატკივრებმა მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს იმ ტრანსფერების გამო, რომლებიც „დესპოტმა ფელიქსმა" სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე განახორციელა.

მაგათს კრიტიკა პირველ რიგში უმუშევარი, უკლუბოდ მყოფი ბერძენი თავდამსხმელის, 32 წლის **ანგელოს ხარისტეასის** გუნდში აყვანის გამო დაატყდა. ფანები არანაკლებ განრისხებულები არიან 32 წლის ირანელი ნახევარმცველის, **ალი ქარიმის** ყიდვის გამო. მათ მიაჩნიათ, რომ ვერც ხარისტეასი და ვერც ქარიმი გუნდს ჯეროვნად ვერ გააძლიერებენ.

*„ფელიქს მაგათი „შალკეს" ისტორიას პატივს აღარ სცემს, პატივისცემა და სიამაყე კი ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი ტიტული. მაგათის კონცეფცია უკონცეფციობაა, ფელიქსი თავზე ხელაღებულ ადამიანს გვაგონებს, რომელმაც ეს-ესაა, ყველას მოკვლა გადაწყვიტა, ვინც მის გარშემო ტრიალებს,"* - ასეთია „შალკეს" ერთ-ერთი ფანკლუბის, „ერნსტ კუცორა სუპორტერსის" ოფიციალური განცხადება.

ფელიქსი „შალკეს" მთავარი მწვრთნელი 2009 წლის ზაფხულში გახდა და მას მერე დაახლოებით 40 (!) ფეხბურთელი გადაიბირა, ხოლო დაახლოებით 30 (!) კი გაუშვა. გელზენკირხენელი ფანები უკვე ხუმრობენ კიდეც, რა ქნას ხარისტეასმა, უმუშევარ კაცს „შალკეში" დაუძახეს და უარს ხომ არ იტყოდა, ზუსტად ვიცი, რომ მისი აყვანა „ჩელსის", „რეალს" და „მანჩესტერ სიტისაც" უნდოდათ, მაგრამ სიტიმ ხარისტეასს ბოლოს **ფერნანდო ტორესი** ამჯობინაო...

გერმანელი ექსპერტებისთვის გამოცანად დარჩა, რატომ არ გააძლიერა გუნდი ჯეროვნად ბრემენის „ვერდერმა" - ბრემენული კლუბი ხომ გასავარდნი ზონის მისადგომებთან ყვინთაობს და თანაც, „მუსიკოსებმა" იანვარში ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელი **უგო ალმეიდა** გაყიდეს, სანაცვლოდ კი მართალია სამი ფეხბურთელი შეიძინეს (შემტევები **ავდიჩი** და **სტევანოვიჩი**, ასევე მცველი **სამუელი**), მაგრამ აქედან არც ერთი არ არის მაღალი კლასის მოთამაშე.

ახლა კი ერთად გადავხედოთ ბუნდესლიგაში იანვრის სატრანსფერო პერიოდში განხორციელებულ ყველა ტრანსფერს:



ფელიქს მაგათი ალი ქარიმს მიუნხენის ბაიერნში წვრთნიდა

**ბორუსია (დ)**

**მივიდნენ:** არავინ
**წავიდა:** ტამაშ ჰაინალი (შტუტგარტი, არენდა)

**მაინცი**

**მივიდა:** იუნუს მალი (ბორუსია მ, ზაფხულიდან)
**წავიდნენ:** ფელიქს ბორხა (პუებლო), არუნა ბაბანგიდა (კონტრაქტი გაუწყვიტეს)

**ლევერკუზენი**

**მივიდნენ:** კევინ კამპლი (ფიურტი), ქარიმ ბელარაბი (ბრაუნშვაიგი, ზაფხულიდან)
**წავიდნენ:** ბურაკ კაპლანი (ფიურტი, არენდა), პატრიკ ჰელმესი (ვოლფსბურგი)

**ჰანოვერი**

**მივიდნენ:** არავინ
**წავიდა:** მაიკ ჰანკე (ბორუსია მ)

**ბაიერნი**

**მივიდა:** ლუის გუსტავო (ჰოფენჰაიმი)
**წავიდნენ:** მარტინ დემიკელისი (მალაგა), დავიდ ალაბა (ჰოფენჰაიმი, არენდა), მარკ ვან ბომელი (მილანი), ედსონ ბრააფჰაიდი (ჰოფენჰაიმი)

**ფრაიბურგი**

**მივიდნენ:** ბეგ ფერატი (ბაზელი, ზაფხულიდან), ერიკ იენდრიშეკი (შალკე)
**წავიდა:** ივიცა ბანოვიჩი (დუისბურგი)

**აინტრახტი**

**მივიდნენ:** არავინ
**წავიდნენ:** ჩენკ თოსუნი (გაზიანთეფი), მარკუს შტაინჰიოფერი (ბაზელი), უმით ქორქმაზი (ბოხუმი)

**ჰოფენჰაიმი**

**მივიდნენ:** რობერტო ფირმინიო (ტომბენსე), დავიდ ალაბა (ბაიერნი, არენდა), რაიან ბაბელი (ლივერპული), ედსონ ბრააფჰაიდი (ბაიერნი)
**წავიდნენ:** პრინს ტაგო (პარტიზანი, არენდა), კრისტიან აიხნერი (კიოლნი), ლუის გუსტავო (ბაიერნი), დემბა ბა (ვესტ ჰემი), მარკო ტერაცინო (კარლსრუე, არენდა), პასკალ გროსი (კარლსრუე, არენდა)

**ჰამბურგი**

**მივიდნენ:** არავინ
**წავიდნენ:** არავინ

**შალკე**

**მივიდნენ:** დანილო აველარი (კარპატი, არენდა), ანტონი ანანი (რუსენბორგი), ანგელოს ხარისტეასი (უკლუბოდ იყო), ალი ქარიმი (სტილ აზინ თეირანი)
**წავიდნენ:** ივან რაკიტიჩი (სევილია), ჯერმეინ ჯონსი (ბლექბერნი, არენდა), ერიკ იენდრიშეკი (ფრაიბურგი), პრედრაგ სტევანოვიჩი (ვერდერი), ბესარტ იბრაიმი (სევასტოპოლი)

**ნიურნბერგი**

**მივიდნენ:** ნასიმ ბენ ხალიფა (ვოლფსბურგი, არენდა), ტიმო ოხსი (უკლუბოდ იყო)
**წავიდნენ:** ისააკ ბოაკი (უკლუბოდაა), დარიო ვიდოშიჩი (არმინია, არენდა)

**კაიზერსლაუტერნი**

**მივიდნენ:** ადამ ჰლუშეკი (სლავია), ლუკას დოს სანტოს როშა და სილვა (ლევერკუზენი, არენდა)
**წავიდნენ:** არავინ (სრდიან ლაკიჩი ვოლფსბურგში ზაფხულში გადავა)

**ვოლფსბურგი**

**მივიდნენ:** კუ ია ხეოლი (ჯეჯუ იუნაიტედი), იოანდრი ოროსკო (სულია), მბოკანი (მონაკო, არენდა), სრდიან ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი, ზაფხულიდან), თუნჯაი სანლი (სტოკ სიტი), პატრიკ ჰელმესი (ლევერკუზენი), იან პოლაკი (ანდერლეხტი).
**წავიდნენ:** ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი), ნასიმ ბენ ხალიფა (ნიურნბერგი, არენდა), კაიუბი (ინგოლშტადტი, არენდა), ანდრეა ბარძალი (იუვენტუსი)

**ვერდერი**

**მივიდნენ:** დენი ავდიჩი (ელფსბორგი), პრედრაგ სტევანოვიჩი (შალკე), სამუელი (სან პაულო)
**წავიდა:** უგო ალმეიდა (ბეშიქთაში)

**ზანქტ პაული**

**მივიდნენ:** არავინ
**წავიდა:** დავიდსონ დრობო-ამპემი (ესბიერგი, არენდა)

**კიოლნი**

**მივიდნენ:** ტომოაკი მაკინო (ჰიროშიმა), მიხაელ რენზინგი (უკლუბოდ იყო), კრისტიან აიხნერი (ჰოფენჰაიმი), სლავომირ პეჟკო (ლეხი), ვინფრიდ სანუ (ურავა რედ დაიმონდსი, განათხოვრებული იყო)
**წავიდნენ:** ფარიდ მონდრაგონი (ფილადელფია), დანიელ ბროზინსკი (ვეენი), ჟოზე პიერ ვუნგიდიკა (ოფენბახი, არენდა), მანასე იშიაკუ (სენტ ტრუიდენი, არენდა)

**შტუტგარტი**

**მივიდა:** შინჯი ოკაზაკი (შიმიცუ)
**წავიდა:** მაურო ხერმან კამორანეზი (კონტრაქტი გაუწყვიტეს, უკლუბოდ დარჩა)

**ბორუსია (მ)**

**მივიდნენ:** მაიკ ჰანკე (ჰანოვერი), მარტინ შტრანცლი (მოსკოვის სპარტაკი), ჰავარდ ნორდტვეიტი (არსენალი), მიხაელ ფინკი (ბეშიქთაში, არენდა)
**წავიდნენ:** იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი (აუგსბურგი), რაულ ბობადილია (არისი, არენდა), მარსელ მეეუვისი (ფეიენოორდი, არენდა), მაიკლ ბრედლი (ასტონ ვილა, არენდა)

ჰამბურგი

# რუუდი და 5-მილიონიანი პრობლემა

**რუუდ ვან ნისტელროის** საქმეები ცუდად მისდის. ჯერ იყო და, „ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა მადრიდის „რეალში" არ გაუშვეს (არადა, სამეფო გუნდს 34 წლის ჰოლანდიელი ძალიან უნდოდა), მერე კი „აინტრახტთან" და „ნიურნბერგთან" ძალიან ცუდად ითამაშა. ამასობაში, რუუდის მთავარი კონკურენტი **მლადენ პეტრიჩი** გამოჯანმრთელდა და გუნდის მთავარი მწვრთნელის, **არმინ ფეეს** თქმით, ძალიან კარგ ფორმაშია. ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „ჰამბურგს" „ზანკტ პაულისთან" დერბი უწევს და დიდი შანსია, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან შეხვედრაში ვან ნისტელროიმ არ ითამაშოს...

„რეალი" HSV-ს რუუდის სანაცვლოდ 2 მილიონს სთავაზობდა და თანაც, მადრიდელები თანახმა იყვნენ, ჰამბურგში ამხანაგური მატჩი გაემართათ, რაც ჩრდილოგერმანულ კლუბს დაახლოებით ერთ მილიონს მოუტანდა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ვან ნისტელროის გაშვებით „ჰამბურგი" ჰოლანდიელის ხელფასს (2 მილიონი სეზონის ბოლომდე) დაზოგავდა. მოკლედ, კლუბის შეფებმა უარი თქვეს 5 მილიონზე და გუნდში ჰყავთ ფეხბურთელი, რომელიც ძალიან უკმაყოფილოა. რუუდს წინა ტურში აშკარად ეტყობოდა უკმაყოფილება - ძალიან უგულოდ თამაშობდა. შესაძლოა, „ჰამბურგის" შეფები უკვე ნანობენ, რომ ვან ნისტელროი „რეალს" არ მიჰყიდეს...



რუუდ ვან ნისტელროის რეალში გადასვლა უნდოდა

ჩაშლილი ტრანსფერის ექო

# ფულის მონა ფარფანი

ორშაბათს ნაშუადღევს ყველაფერი მზად იყო იმისთვის, რომ „შალკეს" 26 წლის პერუელი შემტევი **ჯეფერსონ ფარფანი** „ვოლფსბურგში" გადასულიყო, მაგრამ ტრანსფერი, ფაქტობრივად, თვითონ ფეხბურთელმა ჩაშალა. მიზეზი კი ის არის, რომ ფარფანი ფულის მონაა.

„ვოლფსბურგის" შეფი **დიტერ ჰიონესი** შალკელ კოლეგა **ფელიქს მაგათთან** ყველაფერზე შეთანხმებული იყო - ვოლფსბურგელები გელზენკირხენელებს 15 მილიონ ევროს უხდიდნენ. მაგათს პერუელი ფეხბურთელის გუნდში გაჩერება აღარ უნდოდა, ვოლფსბურგელები კი ფარფანის გადაბირებაზე ოცნებობდნენ. რაც მთავარია, დიტერ ჰიონესი ფარფანს ხელფასზეც შეუთანხმდა: წელიწადში 5.3 მილიონი ევრო, რაც, დაგვეთანხმებით, ფარფანისთვის საკმაოდ მაღალი ჯამაგირია. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს ყველაფერი პერუელს არ ეყო - მან „შალკესგან" კომპენსაციის სახით (კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებდა) კიდევ ერთი მილიონი მოითხოვა. „შალკე" მზად იყო, ფარფანისთვის სამი მილიონი მიეცა, მაგრამ პერუელს ოთხი მილიონი სურდა. მაგათმა ამაზე უარი უთხრა და ვოლფსბურგელებს შესთავაზა, ეს ერთი მილიონი ტრანსფერის ფასს წაუმატეთო, რაზეც უკვე ჰიონესმა თქვა უარი.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგის" შოკში სწორედ ფარფანის ლორმუცელობის გამო ჩავარდნენ, თორემ მათთვის ამ ერთი მილიონის დათმობაც არ იქნებოდა პრობლემა, რადგან ჯეფერსონის ყიდვა მართლა ძალიან უნდოდათ. შედეგად, ყველა მხარე უკმაყოფილო დარჩა...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



ჯეფერსონ ფარფანმა ვოლფსბურგში სასურველი ტრანსფერი თვითონ ჩაშალა

ლა ლიგა. ტურის რჩეულნი



ალვარო ნეგრედო ტურის საუკეთესო ფეხბურთელია

# როცა ვარსკვლავებს კაშკაშში აჯობეს

ესპანეთის ჩემპიონატის 21-ე ტურის შემდეგ Goal.com-მა შეადგინა სიმბოლური ნაკრები. 4-3-3 - ასეთია ტურის რჩეულთა სიმბოლური ტაქტიკური განლაგება. ტური ოდნავ უცნაური გამოდგა, რადგან ვარსკვლავებმა ნაკლებად, მაგრამ მათ ჩრდილში მყოფებმა უფრო გაიბრწყინეს.

## მეკარე

**რიკარდო** (ოსასუნა): იცით, რამდენი წლისაა „ოსასუნას" მეკარე რიკარდო ლოპეს ფელიპე? 39-ის და მალე 40-ისაც გახდება! გოლკიპერს, რომელსაც ერთ დროს „მანჩესტერ იუნაიტედში" უთამაშია, რეაქცია არც ახლა დაეწუნება. თუ არ გჯერათ, პრიმერას მთავარმეგოლე **კრიშტიანო რონალდოს** დაეკითხეთ! **მოურინიოს** გუნდმა პამპლონაში პირველად წააგო საშუალო ესპანურ გუნდთან (აქამდე მხოლოდ „ბარსასთან" დამარცხდა). ის, რომ „ოსასუნამ" კარი მშრალად შეინახა, რიკარდოს დამსახურებაცაა. პირველ ტაიმში მან **ქარიმ ბენზემას** დარტყმული მოიგერია, ეპიზოდი საგოლე იყო. ერთხელ რონალდოს ახლო მანძილიდან დარტყმული მოიგერია. მოკლედ, რიკარდომ უშეცდომოდ ითამაშა.

## მცველები

**ანდონი ირაოლა** (ბილბაო): ბილბაოელებმა „ვისენტე კალდერონზე" გაიმარჯვეს, ეს კი უკვე ნახევარი გმირობაა. 28 წლის მარჯვენა მცველმა ორი ზუსტი ჩაწოდებით, ორი საგოლე პასი მიითვალა, ორჯერვე მისი გადაცემების ადრესატი **გაისკა ტოკერო** იყო.

**გონსალო როდრიგესი** (ვილიარეალი): ამ სეზონში „კორნელია ელ პრატი" ერთ-ერთი ყველაზე არასტუმართმოყვარე სტადიონია, თუმცა „ვილიარეალმა" არა მარტო მოიგო, არამედ, გოლი არ გაუშვია, რასაც „ელ სუბმარინოს" ხელმძღვანელობა 26 წლის არგენტინელ მცველ გონსალო როდრიგესს უნდა უმადლოდეს. მან გამოჯანმრთელებულ **კარლოს მარჩენასთან** ერთად დაცვის ცენტრში საიმედო დუეტი შექმნა.

**სერხიო** (ოსასუნა): კიდევ ერთ ვეტერანს გამოვარჩევთ **ხოსე ანტონიო კამაჩოს** გუნდიდან. 33 წლის ტანმაღალი ასტურიელი მცველი კვირას გადაულახავი კედელი იყო „რეალის" ცენტრფორვარდებისათვის. „ლოს როხილიოსის" მცველი ჯერ იოლად გაუმკლავდა ქარიმ ბენზემას, მერე - „რეალის" დებიუტანტ **ემანუელ ადებაიორსაც.**

**ხუანფრანი** (ლევანტე): მოკლედ, ვეტერანების ტურია - „ლევანტეს" 34 წლის მარცხენა მცველმა ხუან ფრანსისკო გარსიამ „ხეტაფესთან" თავი ყოველმხრივ გამოიჩინა. ხუანფრანის კარიერა „ლევანტეში" დაიწყო, შემდეგ ნახევარი ევროპა მოიარა („ვალენსია", „ბეშიქთაში", „აიაქსი", აეკ) და ამ სეზონში ისევ მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა. ეს ის ხუანფრანია, რომელიც 5-10 წლის წინათ ესპანეთის ნაკრებშიც თამაშობდა. „ხეტაფესთან" მატჩში თავის ფლანგის ბატონ-პატრონი იყო.

## ნახევარმცველები

**ნიკოლას ბერტოლო** (სარაგოსა): 25 წლის არგენტინელი „პალერმოს" ეკუთვნის, მაგრამ იქ **ანტონიო ნოჩერინოსთან** კონკურენციაში დაიჩაგრა და „სარაგოსაში" იჯარით აღმოჩნდა. ის პირველად თამაშობდა არაგონელთა სასტარტო შემადგენლობაში და იმდენად კარგად ითამაშა, რომ სიმბოლურშიც მოხვდა. „მალაგას" კარში ბერტოლომ ძალზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. „სარაგოსა" აგებდა, როცა არგენტინელმა თავით ტყვიასავით გაისროლა ბურთი მასპინძელთა კარში.

**ჩავი** (ბარსელონა): ამდენი ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელის შემდეგ, სიმბოლურში პირველ ვარსკვლავსაც მივადექით. ჩავის და მის თანაგუნდელებს „ერკულესმა" დაწყობილი დაცვით გვარიანი გამოცდა მოუწყო, მაგრამ სწორედ ჩავიმ გაჭრა ეს დაცვა და **პედროს** პირველი და უმნიშვნელოვანესი გოლი გაატანინა.

**დიეგო კასტრო** (სპორტინგი): ხიხონელთა მარცხენა გარემარბი ნელ-ნელა გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა. პალმაში „მალიორკას" 4:0 განადგურებაში მისი წვლილი დიდია - 28 წლის ფეხბურთელის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია. ახლა **მანუელ პრესიადოს** გუნდი გასავარდნ ზონას 4 ქულით უსწრებს.

## თავდამსხმელები

**პედრო** (ბარსელონა): 23 წლის პედრო როდრიგესის შეჩერება პრიმერაში არ გამოსდით, ზედიზედ 6 ტურია, რაც თავდამსხმელს გოლი გააქვს. „ერკულესთან" მატჩში პირველი გოლი მის ანგარიშზეა. მან **ხუან კალატაიუდს** მაშინ გაუტანა, როცა მის თანაგუნდელებს მოედანზე თითქმის არაფერი გამოსდიოდათ.

**ალვარო ნეგრედო** (სევილია): „ლოს ნერვიონენსესი" „რიასორზე" „დამარხეს" და ჩამოწერეს, „სევილია" 0:2-ს აგებდა, როცა „რეალის" ყოფილი ფორვარდი ამოქმედდა. პირველად ნეგრედომ არცთუ ლამაზი გოლი გაიტანა, მაგრამ მეორე დიდებული იყო - ბრწყინვალედ გაიჩერა ბურთი მკერდზე და შემდეგ ის შორეულ კუთხეში გაგზავნა. ტურის საუკეთესო ფეხბურთელია.

**გაისკა ტოკერო** (ბილბაო): ტოკეროს სეზონი ჩაუვარდა, „ატლეტიკოსთან" მატჩამდე მას გოლი არ ჰქონდა გატანილი, მაგრამ „ვისენტე კალდერონზე" ბასკი ფორვარდი „აფეთქდა" - დუბლი შეასრულა **დავიდ დე ხეას** კარში.

სხვები, ვისი აღნიშვნაც გვსურდა: **დიეგო ლოპესი** (ვილიარეალი), **ლასად ნუინუი** (დეპორტივო), **ლაურე** (დეპორტივო), **ხავიერ კამუნიასი** (ოსასუნა), **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **ფელიპე კაისედო** (ლევანტე).

**საუკეთესო ფეხბურთელები ლა ლიგაში. დონ ბალონის შეფასებით**

| ფეხბურთელი | გუნდი | მ. | ქულა | საშუალოდ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეო მესი | ბარსელონა | 18 | 141 | 7,83 |
| 2. ანდრეს ინიესტა | ბარსელონა | 21 | 155 | 7,38 |
| 3. ჯუზეპე როსი | ვილიარეალი | 20 | 147 | 7,35 |
| 4. ბორხა ვალერო | ვილიარეალი | 19 | 138 | 7,26 |
| 5. სანტი კასორლა | ვილიარეალი | 20 | 143 | 7,15 |
| 6. დიეგო ალვესი | ალმერია | 21 | 149 | 7,10 |
| 7. კრიშტიანო რონალდო | რეალი | 21 | 148 | 7,05 |
| 8. ნილმარი | ვილიარეალი | 16 | 111 | 6,94 |
| 9. დავიდ ვილია | ბარსელონა | 20 | 136 | 6,80 |
| 10. ნელსონ ვალდესი | ერკულესი | 16 | 108 | 6,75 |
| 11. ჩავი | ბარსელონა | 18 | 121 | 6,72 |
| 12. პედრო | ბარსელონა | 21 | 141 | 6,71 |
| 13. მესუთ იოზილი | რეალი | 21 | 140 | 6,67 |
| 14. დიეგო ლოპესი | ვილიარეალი | 21 | 140 | 6,67 |
| 15. ჩაბი პრიეტო | სოსიედადი | 21 | 140 | 6,67 |
| 16. ხავი მარტინესი | ბილბაო | 20 | 133 | 6,65 |
| 17. დუდუ ავატე | მალიორკა | 20 | 133 | 6,65 |
| 18. კარლოს კამენი | ესპანიოლი | 17 | 113 | 6,65 |
| 19. კარლეს პუიოლი | ბარსელონა | 16 | 106 | 6,63 |
| 20. ბრუნო სორიანო | ვილიარეალი | 21 | 139 | 6,62 |

რეალი

# იყო თუ არა ულტიმატუმი

„დონ ბალონი" ავრცელებს ინფორმაციას, რომლის თანახმად **ფლორენტინო პერესმა ჟოზე მოურინიოს** ჩემპიონთა ლიგის ან ლა ლიგის მოგება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში პორტუგალიელი პოსტს დაკარგავს. ბუნებრივია, ამ ულტიმატუმს არც არავინ ადასტურებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთ საუბარს ადგილი რომ არ ჰქონოდა, ცხადია, რომ „რეალში" უტიტულოდ დარჩენას არავის აპატიებენ, მათ შორის არც - „განსაკუთრებულს". მაშ, რა დააშავა **მანუელ პელეგრინიმ**, რომლის „რეალმა" ქულების ოდენობით კლუბის რეკორდი დაამხო და ჩემპიონობის შანსს ბოლო ტურამდე ინარჩუნებდა?

გუშინ ჟოზე მთლიანად გუნდის სათასო ბატალიისთვის მომზადებით იყო დაკავებული და „ოსასუნასთან" მარცხზე ფიქრის დრო არ ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ დღეს „რეალი" „სამეფო თასის" საპასუხო ნახევარფინალში „სევილიას" მასპინძლობს, პირველი შეხვედრა „სამეფო კლუბს" 1:0 აქვს მოგებული.

აი, რა თქვა ამ მატჩისთვის მიძღვნილ პრესკონფერენციაზე მოურინიომ: *„წლებია, რაც „რეალს" კოპას ფინალში არ უთამაშია. ახლა კი ჩვენ სულ ერთი მატჩი გვაშორებს ფინალს. ბიჭებს ძალიან უნდათ ფინალში თამაში, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, პირველი მატჩის შედეგი ფინალში გასვლის გარანტიას არ გვიტოვებს. იმედია, „სანტიაგო ბერნაბეუ" ჩვეულად გვიგულშემატკივრებს. ახლა ძალიან გვჭირდება მათი მხარდაჭერა. ერთ თვეში 9 მატჩი ვითამაშეთ, ამას კი ჩვეულნი არ ვართ, „რეალი" წინა წლებში მალევე ეთიშებოდა კოპას. „რეალი" დაცვაში კარგად თამაშობს, როცა პეპე ჯანზეა, არ მიყვარს ვინმეს გამოყოფა, მაგრამ პეპეს ყოფნა ძირეულად ცვლის ჩვენი თამაშის სტილს დაცვაში".*

სხვათა შორის, მოურინიოს **პეპე** შემთხვევით არ უხსენებია, პორტუგალიელი მცველი გამოჯანმრთელდა და ვარჯიშშიც სრულფასოვნად მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ჟოზემ მაინც არ გარისკა და 19-კაციან სიაში (3 გოლკიპერი) არ შეიყვანა. მოურინიომ სამი ისეთი ფეხბურთელი არ შეიყვანა სამატჩო განაცხადში, რომელთაც ტრავმები არ აწუხებთ, ესენია: **პედრო ლეონი** (რომლის აყვანა თითქოს „მანჩესტერ სიტის" სურდა), **სერხიო კანალესი** და **ფერნანდო გაგო.**

სხვათა შორის, „რეალიდან" მხოლოდ **მაჰამადუ დიარა** და **დავიდ მატეოსი** არ წასულან - სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კლუბმა იჯარით გაუშვა „რეალ კასტილიას" ფეხბურთელები **ხავი, რაულ რუისი** და **ხოსე სამორა.** ისინი შვედურ „ჰალმსტადში" ითამაშებენ. სამაგიეროდ, „რეალის" სარეზერვო გუნდმა „მალაგადან" **ივან გონსალესი** დაიმატა. 22 წლის ივან გონსალესი „მალაგაში" მისულმა მანუელ პელეგრინიმ აითვალწუნა და ახალი კლუბის მოძებნა ურჩია.



ჟოზე მოურინიო

ტრანსფერები

# ლა ლიგის ყველა ტრანსფერი

სევილიას ახალწვეულები, მედელი და რაკიტიჩი



### ალმერია

**მივიდნენ:** ოლტრა (მწვრთნელი), ხუანიტო (მალაგა), ლუნა (სევილია, არენდა), ფეგული (ვალენსია, არენდა).

**წავიდნენ:** ლილიო (მწვრთნელი), რიგო (უესკა), ვალერი (ლანუსი, არენდა დასრულდა), ნიეტო (ხერესი, იჯარა).

### ატლეტიკო

**მივიდნენ:** ელიასი (კორინთიანსი), ხუანფრანი (ოსასუნა).

**წავიდნენ:** სიმაო (ბეშიქთაში), კამაჩო (მალაგა), სერხიო ასენხო (მალაგა, არენდა), ხუანიტო (ვალიადოლიდი), კეკო (ხირონა, არენდა).

### ბარსელონა

**მივიდა:** აფელაი (პსვ).

### ბილბაო

**მივიდნენ:** დიას დე კერიო (კორდობა, არენდა დასრულდა), ურკო ვერა (ლემონა).

**წავიდნენ:** იონ ველესი (ნუმანსია, იჯარა), ადრიენ გონი (ხირონა).

### დეპორტივო

**მივიდნენ:** ხოსე სანდი (ალ-აინი, არენდა), ხავიტო (არისი), სისკო (ნიუკასლი).

**წავიდნენ:** პისკუ (უიგანი), ურეტა (პენიაროლი, არენდა დასრულდა), რინდაროი (მიოლდე, არენდა დასრულდა), ბერგანტინიოსი (ხიმნასტიკი, არენდა).

### ერკულესი

(არავინ)

### ესპანიოლი

**მივიდნენ:** დატოლო (ნაპოლი), ალვარო ვასკესი, ხორდი ამატი (ორივე სარეზერვო გუნდიდან).

**წავიდნენ:** კორომინასი (ოსასუნა, არენდა), ვიქტორ რუისი (ნაპოლი), დიდაკი (მილანი).

### ვალენსია

**მივიდნენ:** ჟონასი (გრემიო), ნ. გონსალესი (ლევანტე, არენდა დასრულდა), რამი (ლილი).

**წავიდნენ:** რამი (ლილი, არენდა), მ. ფერნანდეში (ბეშიქთაში, არენდა), სუნი (ნუმანსია, არენდა), ფეგული (ალმერია, არენდა).

### ვილიარეალი

**მივიდა:** სისინიო (რომა, არენდა).

**წავიდნენ:** მონტერო (ლევანტე, არენდა), ალტიდორი (ბურსა, არენდა).

### ლევანტე

**მივიდნენ:** ველინგტონ სილვა (არსენალი, არენდა), ჯეფერსონ მონტერო (ვილიარეალი, არენდა).

**წავიდნენ:** ნაჩო გონსალესი (ვალენსია, არენდა დასრულდა).

### მალაგა

**მივიდნენ:** პელეგრინი (მწვრთნელი), მარესკა (უკლუბო), დემიკელისი (ბაიერნი, არენდა), კამაჩო (ატლეტიკო), სერხიო ასენხო (ატლეტიკო, არენდა), ბაპტიშტა (რომა), დიეგო ბუენანოტე (რივერი)

**წავიდნენ:** ფერეირა (მწვრთნელი), ბა, ბენაშური (კონტრაქტები გაწყდა), ხუანიტო (ალმერია), ედუ რამოსი (ლეგანესი, არენდა), ივან გონსალესი (რეალ კასტილია), ედინიო (მარიტიმუ), ალბერტ ლუკე, გალატო (კლუბი დატოვეს), დიეგო ბუენანოტე (რივერი, არენდა).

### მალიორკა

**მივიდა:** იენაგა (ოსაკა).

**წავიდნენ:** ტუნი (ხიმნასტიკი, არენდა), კავენაგი (პორტუ ალეგრე), ა. კეიტა (ს. არაბეთი).

### ოსასუნა

**მივიდნენ:** სეხუდო (ლას პალმასი), კორომინასი (ესპანიოლი, არენდა).

**წავიდა:** ხუანფრანი (ატლეტიკო).

### რასინგი

**მივიდა:** ჯოვანი დოს სანტოსი (ტოტენჰემი).

**წავიდნენ:** პონსე (ო'ჰიგინსი, არენდა დასრულდა), ედუ ბედია (სალამანკა, არენდა).

### რეალი

**მივიდა:** ადებაიორი (სიტი, არენდა).

**წავიდნენ:** მ. დიარა (მონაკო), მატეოსი (აეკ, არენდა).

### რეალ სოსიედადი

**მივიდა:** დემიდოვი (როსენბორგი).

**წავიდა:** ვიგერა (ხიმნასტიკი, არენდა).

### სარაგოსა

**მივიდნენ:** აგირე (მწვრთნელი), ნ'დავი (სენტ ეტიენი, არენდა), პაულო და სილვა (სანდერლენდი).

**წავიდნენ:** გაი (მწვრთნელი), სონგო'ო (ალბასეტე), ბაბიჩი (კონტრაქტი გაწყდა), პენანტი (სტოკი).

### სევილია

**მივიდნენ:** გარი მედელი (უნივერსიდადი), რაკიტიჩი (შალკე).

**წავიდნენ:** კონკო (ჯენოა), ლუნა (ალმერია, არენდა), ხოსე კარლოსი (კარტახენა, არენდა).

### სპორტინგი

**მივიდა:** ანდრე კაშტრო (პორტუ, არენდა).

**წავიდნენ:** კ. პორტილიო (არისი), მატაბუენა (ვალიადოლიდი).

### ხეტაფე

(არავინ)

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

**ტოპ-5 ტრანსფერი ესპანეთში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ელიას მენდესი | კორინთიანსი | ატლეტიკო | 7 მლნ. |
| 2. ადილ რამი | ლილი | ვალენსია | 6 |
| 3. ხუანფრანი | ოსასუნა | ატლეტიკო | 4 |
| 4. დიეგო ბუენანოტე | რივერი | მალაგა | 4 |
| 5. გარი მედელი | უნივერსიდადი | სევილია | 3 |
| 5. იბრაჰიმ აფელაი | პსვ | ბარსელონა | 3 |

**ტოპ-3 ტრანსფერი ესპანეთიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ვიქტორ რუისი | ესპანიოლი | ნაპოლი | 6 მლნ. |
| 2. აბდულაი კონკო | სევილია | ჯენოა | 6 |
| 3. დიდაკ ვილა | ესპანიოლი | მილანი | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი და ფული



# ფინანსური ფეარ პლეი

## ესეც თქვენი სუფთა თამაში

უეფას ოფიციალური განცხადებით, ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალს სატრანსფერო ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს და დარწმუნებულნი არიან, რომ კლუბები გაგებით მოეკიდებიან ფინანსური ფეარ პლეის იდეას. ამასთან განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული წესებით კლუბებს, რა თქმა უნდა, არ ეკრძალებათ და არც არანაირი შეზღუდვა არ უწესდებათ სატრანსფერო ბაზარზე სამოქმედოდ, თუმცა სეზონის ბოლოს სავალდებულოს ხდის საბუღალტრო ანგარიშებში სრული ბალანსის დაცვას.

დღევანდელ სიტუაციაში თვალში საცემია ერთი გარემოება: გრანდიოზული ტრანსფერები საფეხბურთო სამყაროში ფინანსური სიტუაციის სტაბილიზაციას ხელს უშლის. უეფას გადაწყვეტილი აქვს, საფეხბურთო კლუბებს 2012 და 2013 წლების ბოლომდე მყარი ფინანსური მდგომარეობის მიღწევა მოსთხოვოს. კლუბების მენეჯერები ბუნებრივია აცნობიერებენ, რომ მალე ყოველი ტრანსფერისა და შრომის ანაზღაურების შესახებ უეფას სპეციალური კომისიისთვის ანგარიშის ჩაბარება მოუწევთ. **მიშელ პლატინის** უწყება კი წესებიდან გამონაკლისის დაშვებას არ აპირებს. *„ფინანსური ფეარ პლეის პრინციპის შემოღება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება ფეხბურთისთვის”*, - სჯერათ უეფას ჩინოსნებს.

მიუხედავად მაღალჩინოსანთა ოპტიმიზმისა, იდეით აღფრთოვანებული სულაც არ გამოიყურება "მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი**. *"ყველას ერთი და იგივე აკერია პირზე - ფინანსური ფეარ პლეი, ფინანსური ფეარ პლეი... კი, მაგრამ რას ნიშნავს ეს? ამდენს ვლაპარაკობთ და საქმე საქმეზე როცა მიდგება თითქოს ჰაერიდან ნაშოვნი ფული იხარჯება ევროპულ ფეხბურთში. შეხედეთ, "ჩელსიმ" მარტო ბოლო დღეებში 80 მილიონი ევრო დახარჯა. რომელ სუფთა თამაშზეა ლაპარაკი?"*, - გაღიზიანებულია "როსონერის" ხელმძღვანელი.

ტელეტრანსლაციები

# ევროპული ფეხბურთი ჩრდილო ამერიკაში

## უეფაში ფეხბურთის მომავალზე ზრუნავენ

უეფას ოფიციალური განცხადებით, ევრო 2012-ისა და ევრო 2016-ის სატელევიზიო ტრანსლაციების უფლება აშშ-ის ტერიტორიაზე ESPN-მა, ხოლო კანადაში კი TSN-მა შეიძინა.

ამერიკაში ESPN რეპორტაჟებს ორ ენაზე გეგმავს, ინგლისურად და ესპანურად. გარდა პირდაპირი რეპორტაჟებისა, ორენოვანი იქნება მატჩების მიმოხილვებიც. ამერიკელებს არც კანადელები ჩამორჩნენ. მოგეხსენებათ, კანადა ორენოვან ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება (ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული), TSN ითვალისწინებს რა რეალობას, თავის მაყურებელს TSN-ისა და TSN2-ის ეთერით ფეხბურთებს ინგლისურად შესთავაზებს, RDS-ისა და RIS-ის მაყურებელი კი რეპორტაჟებს ფრანგულად იხილავს. ხელშეკრულებაში შედის ასევე ახალგაზრდული ევრო 2013-ისა და ამავე წელს გასამართი ქალთა ევროპირველობის მატჩების ჩვენების უფლებაც.

ორივე მაუწყებელი ფეხს უწყობს თანამედროვე ეპოქის ტექნიკურ პროგრესს და აპირებს საკუთარ მაყურებელს ფეხბურთებისთვის თვალის დევნება ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების დახმარებითაც შესთავაზოს. „უეფა ივენთსის” მარკეტინგის დირექტორმა **გი-ლორან ეპშტაინმა** აღნიშნულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა: *"უეფაში ვითვალისწინებთ ESPN-სა და TSN-თან წარმატებულ თანამშრომლობას, რომელიც ჯერ კიდევ ევრო 2008-დან მოდის. ვაცხადებთ, მოხარულები ვართ, რომ აღნიშნულ კომპანიებთან ხელშეკრულებები გახანგრძლივდა. კარგია, რომ მათთან შეთანხმება მომდევნო ორ ჩემპიონატს ეხება. ჩრდილოეთ ამერიკაში ევროპული ფეხბურთის მიმართ ინტერესი არნახული ტემპით იზრდება. დარწმუნებულნი ვართ, ეს ტელეკომპანიები მათი პოპულარობისა და ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით ევროპის ჩემპიონატის ტრანსლაციებს სათანადო დონეზე უზრუნველყოფენ. რაკი ხელშეკრულება წინაზე ხანგრძლივი ვადით დაიდო, ეს ნიშნავს, რომ ევროპული ფეხბურთი უკვე მთელ მსოფლიოში ხდება პოპულარული. უეფა დარწმუნებულია, რომ ESPN და TSN კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მიმართავენ საფეხბურთო სამყაროს კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად"*, - განაცხადა ეპშტაინმა.

მკითხველისთვის, ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო, თუკი „უეფა ივენთსის” შესახებ ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ: აღნიშნული ფირმა ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ მის ხელთ არსებული კომერციული უფლებების მართვისა და სხვა სახის ღონისძიებათა უკეთ ორგანიზების მიზნით შექმნა. გარდა ამისა, სწორედ „უეფა ივენთსია” პასუხისმგებელი **მიშელ პლატინის** უწყების კომერციულ პარტნიორებთან ურთიერთობის საკითხებში.

ამბები

# პრემიერლიგამ სარეკორდოდ ბევრი დახარჯა

31 იანვარს სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა. ინგლისში ბოლო დღე მოვლენებით დატვირთული გამოდგა, რაზეც ჩვენი გაზეთი უკვე წერდა. BBC-ის ცნობით, პრემიერლიგამ ზამთრის ტრანსფერებში გაღებული ფულით აბსოლუტური რეკორდი დაამყარა – თანხამ 214,5 მილიონი გირვანქა შეადგინა. მოკლედ შეგახსენებთ ყველაზე მსხვილ ტრანსფერებს: **ფერნანდო ტორესი** 50 მილიონი (ლივერპული-ჩელსი), **ენდი ქეროლი** 35 (ნიუკასლი-ლივერპული), **ლუის სუარესი** 22,8 (აიაქსი-ლივერპული), **დავიდ ლუიზი** 21 (ბენფიკა-ჩელსი).

# ტოტენჰემის ლაზარეთში

"ტოტენჰემის" 25 წლის ფრანგმა ცენტრალურმა მცველმა **იუნეს კაბულმა** ცოტა ხნის წინ ტრავმა რომ მიიღო, ამას უკვე ვიუწყებოდით. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფეხბურთელს მენისკის ოპერაცია უკვე ჩაუტარდა და როგორც ექიმები აცხადებენ, რეაბილიტაციის პროცესი ერთ თვეში დასრულდება. აღნიშნულ ინფორმაციას "ეკიპი" ავრცელებს.

აქვე "ტოტენჰემის" მეორე ცენტრალურ მცველზეც მოგახსენებთ: გუნდის კაპიტანმა **ლედლი კინგმა** საზარდულზე მორიგი სერიოზული ტრავმა მიიღო და მას დღეს ოპერაციას გაუკეთებენ. ფეხბურთელის გამოჯანმრთელების სავარაუდო ვადებზე არაფერს იუწყებიან.

# დეკუ ფეხბურთში რჩება

"პორტუს", "ბარსელონასა" და "ჩელსის" ყოფილი ვარსკვლავი **დეკუ სოუზა**, ვინც "არისტოკრატთა" რიგებიდან 2010 წლის ზაფხულზე "ფლუმინენსეში" გადაბარგდა, უარყო ბოლო დღეებში პრესით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ის ფეხბურთიდან წასვლას გეგმავს. *"უახლოეს მომავალში, ახლო პერიოდში თავი არ დამიზოგავს,* - განუცხადა 33 წლის ვარსკვლავმა Rio Futblog-ს. - *ჩემი მიზანი იყო კოპა ლიბერტადორესზე მეთამაშა, ტურნირში, სადაც არასოდეს მიასპარეზია. ტრავმამ ამის საშუალება არ მომცა. მიუხედავად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებისა, არასოდეს მიფიქრია, თუნდაც ერთი წამით, ფეხბურთის თამაშისთვის თავი დამენებებინა. საკუთარ თავში მოტივაციასა და სათანადო დონეზე საასპარეზოდ საკმარის ძალებს ჯერ კიდევ ვგრძნობ. ასე რომ..."*

აქვე გეტყვით, რომ ახალ კლუბში გადასვლის შემდეგ დეკუმ 18 თამაშში 1 გოლის გატანა მოახერხა.

# კაჭკაჭების უკმაყოფილება

"ნიუკასლის" თავკაცი **ალან პერდიუ** აცხადებს, რომ მიუხედავად სოლიდური შეთავაზებისა, კლუბში არავის სურდა **ენდი ქეროლის** გაშვება და მხოლოდ გარემოებათა გამო გახდნენ იძულებულნი, ამას დათანხმებოდნენ. პერდიუ აცხადებს, რომ ფეხბურთელმა ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტი მოითხოვა, მიუხედავად იმისა, რომ "ნიუკასლმა" თავის ბომბარდირთან გასული წლის ოქტომბერში გააფორმა ახალი ხუთწლიანი შეთანხმება. მას შემდეგ, რაც ფეხბურთელმა ხელმძღვანელობისგან უარი მიიღო, ქეროლმა ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა.

"კაჭკაჭების" ბანაკში მომხდარი მოვლენები, რასაკვირველია, ყურადღების მიღმა არ დარჩენია კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელ **ალან შირერს**. *"მე, როგორც "ნიუკასლის" გულშემატკივარი, გაოგნებული ვარ. ენდი ძალიან ნიჭიერია. ვფიქრობ, ხელმძღვანელობამ არასწორი ნაბიჯი გადადგა. მერე რა, რომ მასში უზარმაზარი თანხა მიიღო? გაყიდო მთავარი ბომბარდირი და მის შემცვლელად არავინ გვეულებოდეს, ჭკუასთან ახლოს მდგომის საქციელს არ ჰგავს. ქეროლთან ერთად ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლა შეგვეძლო, ახლა, მთავარია, არ გავვარდეთ"*.

სერია A

# ყველა ტრანსფერი




### ბარი

**მივიდნენ**: გილკი (პალერმო), ოკაკა (რომა), ბონვისუტო (ასკოლი), რუდოლფი (ჯენოა), ბენტივოლიო (კიევო), ჰუზეკლეპი (ბრანი), კოდრეა (სიენა), კოპანეკი (სპარტაკი, ტრნავა).

**წავიდნენ**: პულცეტი (კიევო), კრინი (გროსეტო) , კაპუტო (სიენა), დალესანდრო (ლივორნო)

### ბოლონია

**მივიდნენ**: ბიზოლი (კალიარი), მონტელონგო (მილანი)

**წავიდნენ**: არავინ

### ბრეშა

**მივიდნენ**: მილიევიჩი (პაოკ), ლანცაფამე (იუვენტუსი), კ.ძანეტი (ფიორენტინა), ჟონატასი (ალკმაარი), აკარდი (სამპდორია)

**წავიდნენ**: ბუდელი (ტორინო), დე მაიო (ფროზინონე), ფეცესინი (ასკოლი), ტადეი (ტრიესტინა), მარტინესი (სამპდორია)

### კალიარი

**მივიდნენ**: გროსო (ჯემინი), მისიროლი (რეჯინა), ჩეპელინი (პენიაროლი)

**წავიდნენ**: ბიზოლი (ბოლონია), ბიაზი (ფროზინონე), ადეხო (რეჯინა), მატრი (იუვენტუსი)

### კატანია

**მივიდნენ**: ლოდი (ფროზინონე), სკელოტო (ჩეზენა), ბერხესიო (სენტ ეტიენი)

**წავიდნენ**: ბარიენტოსი (ესტუდიანტესი), დელვეკიო (ატალანტა), ანტენუჩი (ტორინო), მასკარა (ნაპოლი)

### ჩეზენა

**მივიდნენ**: დელაფიორე (პარმა), სამარკო (სამპდორია), კალდერონი (ატლეტიკო, რომი), ჩუზარო (ბელარია დ), სიმონჩინი (ბელარია ჯ), როზინა (ზენიტი), ფელიპე (ფიორენტინა), სანტონი (ინტერი).

**წავიდნენ**: კავალიერი (ფლუმინენსე), იგალო (გრანადა), ტეოდორანი (ბელარია ჯ), ტურკეტა (ბელარია მ), ნაგატომო (ინტერი), სკელოტო (კატანია).

### კიევო

**მივიდნენ**: ურიბე (ონსე კალდასი), პულცეტი (ბარი), დიმიტრიევიჩი (რადი),

**წავიდნენ**: გასპარეტო (კრემონეზე), ფარიასი (ფოჯა), დე პაულა (პადოვა), ბენტივოლიო (ბარი).

### ფიორენტინა

**მივიდნენ**: ნეტო (ატლეტიკო პარანენსე), ბეჰრამი (ვესტ ჰემი), სალიფუ (ვიჩენცა)

**წავიდნენ**: პაპა ვაიგო (გროსეტო), სავიო (ჩერნომორეცი), ძანეტი (ბრეშა), ფელიპე (ჩეზენა).

### ჯენოა

**მივიდნენ**: პალოსკი (პარმა), ანტონელი (პარმა), კუჩკა (სპარტა, პრაღა), იელენიჩი (კოპერი), გომეში (ბელენენსეში), ბოზელი (უიგანი), ფლორო ფლორესი (უდინეზე), ჰალენიუსი (ჰამარბი), კონკო (სევილია), როდრიგესი (პენიაროლი)

**წავიდნენ**: რანოკია (ინტერი), ტომოვიჩი (ლეჩე), მოდესტო (პარმა), პალადინო (პარმა), ტონი (იუვენტუსი), რუდოლფი (ბარი), სკული (ლაციო),ხარჯა (ინტერი)

### ინტერი

**მივიდნენ**: რანოკია (ჯენოა), ბარდი (ლივორნო), მანინი (სიენა), შპენდლჰოფენი (ზანკტ პიოლტენი), პაცინი (სამპდორია), კნასმიულერი (ბაიერნი), ხარჯა (ჯენოა), ნაგატომო (ჩეზენა)

**წავიდნენ**: მანსინი (ატლეტიკო მინეირო), ბიაბიანი (სამპდორია), მუნტარი (სანდერლენდი), რივასი (დნიპრო), სანტონი (ჩეზენა)

### იუვენტუსი

**მივიდნენ**: ტონი (ჯენოა), მაგნუსონი (ფრამი), ბარძალი (ვოფსბურგი), მატრი (კალიარი),

**წავიდნენ**: ლანცაფამე (ბრეშა), იმობილე (გროსეტო), ლეგროტალიე (მილანი), ამაური (პარმა)

### ლაციო

**მივიდნენ**: სკული (ჯენოა)

**წავიდნენ**: პერპეტუნი (ფოჯა), კავანდა (ტორინო)

### ლეჩე

**მივიდნენ**: ტომოვიჩი (ჯენოა)

**წავიდნენ**: დიამუტენი (პესკარა), ბერგონო (მატორუ)

### მილანი

**მივიდნენ**: კასანო (სამპდორია), ემანუელსონი (აიაქსი), ვან ბომელი (ბაიერნი), დიდაკ ვილა (ესპანიოლი), ლეგროტალიე (იუვენტუსი)

**წავიდნენ**: რონალდინიო (ფლამენგო), ონიევუ (ტვენტე)

### ნაპოლი

**მივიდნენ**: ფერნანდესი (ტიგრე), რუისი (ესპანიოლი), მასკარა (კატანია)

**წავიდნენ**: რულო (მოდენა), ბუჩი (პესკარა)

### პალერმო

**მივიდნენ**: ანდელკოვიჩი (მარიბორი), კურტიჩი (გორიცა), მილანოვიჩი (ლოკომოტივი, მოსკოვი), ლარბინი (უაკიპიტო), პაოლუჩი (სიენა)

**წავიდნენ**: გლიკი (ბარი), ჩარამიტარო (მოდენა), მაკარონე (სამპდორია), ჟოაო პედრო (ვიტორია გიმარაეში)

### პარმა

**მივიდნენ**: მოდესტო (ჯენოა), პალადინო (ჯენოა), კალვო (არისი), ამაური (იუვენტუსი)

**წავიდნენ**: პალოსკი (ჯენოა), ანტონელი (ჯენოა დ), დელაფიორე, დანილო პერეირა (არისი)

### რომა

**მივიდნენ**: არავინ

**წავიდნენ**: ჟულიო ბაპტიშტა (მალაგა), ოკაკა (ბარი), სისინიო (ვილიარეალი), ანტუნესი (ლივორნო),

### სამპდორია

**მივიდნენ**: მაკედა (მანჩ იუნაიტედი), იკარდი (ბარსელონა მ), მანტელა (პესკარა), ლაჩკო (დებრეცენი), მაკარონე (პალერმო), ბიაბიანი (ინტერი), მარტინესი (ბრეშა)

**წავიდნენ**: კასანო (მილანი), სამარკო (ჩეზენა), როსინი (სასუოლო), ფიორილო (სპეცა), მარილუნგო (ატალანტა), ლორუსო (ასკოლი), მუსტაკიო (ვიჩენცა), პაცინი (ინტერი), კაჩატორე (სიენა), აკარდი (ბრეშა)

### უდინეზე

**მივიდნენ**: ეკსტრანდი (ჰელსინგბორგი)

**წავიდნენ**: ფლორო ფლორესი (ჯენოა), ბერგეტი (სტრომგოდსეტი), ფორესტიერი (ემპოლი), ჯეფერსონი (სალერნიტანა) ფაბინიო (ემპოლი) მოროზინი (ვიჩენცა)

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## ქართული სპორტი

ძიუდო. პარიზის ტურნირი

# პარიზული არასრული გუნდი




5-6 თებერვალს პარიზში ძიუდოისტთა „დიდი მუზარადის" სეზონის პირველი ტურნირი გაიმართება, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ვაჟთა ნაკრები გამოვა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **სოსო ლიპარტელიანმა** გუშინ იქ წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა: **ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი** (60), **თენგიზ პაპოშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ლევან ნიკლაური, ლაშა ზურაბიანი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ლომერ ყორყოლიანი** (100), **ადამ ოქრუაშვილი** (+100).

როგორც ვხედავთ, ლიპარტელიანი პარიზში არასრული გუნდით მიდის - 66-ში საერთოდ არ გვეყოლება მონაწილე. ამჯერად მწვრთნელმა შანსი იმათაც მისცა, რომლებმაც საქართველოს ჩემპიონატიც გამოტოვეს და არც თბილისის ტურნირზე უჭიდავიათ - პაპინაშვილმა, ნიკლაურმა, ტატალაშვილმა, ლიპარტელიანმა და ყორყოლიანმა საქართველოზე კი იჭიდავეს, მაგრამ თბილისის ტურნირი გამოტოვეს. ზურაბიანი ახალი სახეა ნაკრებში, დანარჩენებს კი მწვრთნელი მორიგ შანსს აძლევს. პაპოშვილის პარიზში წაყვანა ლიპარტელიანმა თბილისის ტურნირის დამთავრებისთანავე გადაწყვიტა, სადაც ის, რბილად რომ ვთქვათ, მსაჯთა საეჭვო გადაწყვეტილებით დაიჩაგრა.

**ირაკლი თავაძე**

სამთო-თხილამურობა

# სწრაფდაშვებაში მოკრძალებულად

შვეიცარიის კურორტ კრან მონტანაში გრძელდება მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა სამთო მოთხილამურეთა შორის. გიგანტური სლალომისა და სლალომის შემდეგ სწრაფდაშვების ჯერი დადგა. ამ დისციპლინაში ჩვენებურები ტრადიციულად არ არიან ძლიერები, რადგან იშვიათად უწევთ ვარჯიში სწრაფდაშვების ტრასებზე (რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული). მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე ოთხი ჩვენებურიდან სწრაფდაშვებაში გამოსვლა მხოლოდ ორმა გადაწყვიტა. **დიმიტრი გედევანიშვილმა** 78-ე შედეგი აჩვენა, ხოლო **ჯაბა გელაშვილმა** - 104-ე (ბოლო). დღეს მოთხილამურეები კიდევ ერთხელ გავლენ სწრაფდაშვების სტარტზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გადავფურცლოთ ისტორია

# თეირანი 1973

1966 წელს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) სამბოს სპორტის საერთაშორისო სახეობად აღიარების გადაწყვეტილება მიიღო.

1973 წელია. 9-13 ნოემბერს თეირანში სამბოში მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ჩატარდა. დღეს ყურადღებას ერთი ისტორიული ფაქტის გამო ვამახვილებთ ამ ჩემპიონატზე. სამბოში ტურნირის დაწყებამდე თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა მოითავეს მსოფლიო პირველობა. საბჭოთა გუნდის კაპიტანი **ლევან თედიაშვილი** მეორედ სწორედ მაშინ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

სამბოში საბჭოთა ნაკრების მძიმეწონოსანი გუნდს ტურნირის წინ გამოაკლდა. ნაკრების ხელმძღვანელებმა ლევანს სთხოვეს, სამბოშიც მოესინჯა ძალა. დათანხმდა და ქართველმა ფალავანმა ფურორი მოახდინა - მსოფლიოს ჩემპიონის კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა. ეს იყო პირველი შემთხვევა ჭიდაობის ისტორიაში, როცა ზედიზედ მსოფლიოს ორი ჩემპიონატი მოიგო ფალავანმა ჭიდაობის განსხვავებულ სახეობაში.

სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, სწორედ სამბოში ლევანის იმ ისტორიული გამარჯვების შემდეგაა გადაღებული 1973 წლის 9 ნოემბერს. საპატიო კვარცხლბეკზე მდგარ ქართველ ფალავანს ხელში უჭირავს **ნადეჟდა** და **ანზორ დვალიშვილების** გოგონა. მაშინ ანზორ დვალიშვილი ასუანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე იყო მივლინებული ირანში.

**ტექსტი და ფოტო მოგვაწოდა გარუნ აპოპოვმა**



ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

თავისუფალი ჭიდაობა. ინტერვიუ დავით ბიჩინაშვილთან

# ქართველი გერმანელთა ყურადღების ცენტრში



თავისუფალი სტილით მოჭიდავე დავით ბიჩინაშვილი (84) იმ წარმატებულ ქართველ სპორტსმენთა შორისაა, რომლებმაც უცხოეთში გაითქვეს სახელი. საქართველოდან წასვლის შემდეგ ის წლების განმავლობაში უკრაინაში ჭიდაობდა, ევროპის პირველობებზე ვერცხლის ორი და ბრინჯაოს ერთი მედალი მოიპოვა, 2003 წლიდან კი გერმანიაში გადავიდა. იქ კიდევ ერთი ევროპული ბრინჯაო ხვდა და ბუნდესლიგაშიც გამოიჩინა თავი. ჩვენებური ქალაქ აალენის ამავე სახელწოდების კლუბში გამოდიოდა, სადაც ასევე წლების განმავლობაში ჭიდაობს კიდევ ერთი ნატურალიზებული ქართველი, საბერძნეთში ევროპის ჩემპიონად გადასული ემზარ ბედინეიშვილი. იქ პერიოდულად სხვა ქართველებიც ჭიდაობენ, ბიჩინაშვილი კი უკვე ტოვებს კლუბს. მას კვირა საღამოს ვესაუბრეთ, სადღეისოდ კი ოფიციალურადაა ახალი კლუბის წევრი. აალენელებს მისი გაშვება არ სურდათ და ბევრსაც ეცადნენ საამისოდ, მაგრამ ამაოდ... ამ ყველაფერს ბიჩინაშვილი უკეთ მოგიყვებათ ინტერვიუში, ჩვენ კი დავამატებთ, რომ ის ყოველთვის რჩებოდა ქართველთა დიდ მეგობრად. ძალზე ახლო მეგობრობა აკავშირებს რევაზ მინდორაშვილთან იმის მიუხედავად, რომ სწორედ ისაა მისი ერთ-ერთი ყველაზე უხერხული და სერიოზული მეტოქე. მან მინდორაშვილი შემოდგომაზე სამკურნალოდაც წაიყვანა გერმანიაში.

**- დათო, კლუბის შეცვლის მიზეზი რა არის?**

- უკვე მეხუთე წელიწადია, ქალაქ აალენის ამავე სახელწოდების კლუბში გამოვდივარ, მაგრამ ხვალიდან მაინც ახალ კლუბში გადავალ. ეს გადაწყვეტილია და კონტრაქტსაც მოვაწერ ხელს. კლუბის შეცვლის ბევრი მიზეზია, აქაურებმა დანაპირები ვერ შემისრულეს და წასვლაც ამან გადამაწყვეტინა. აალენში საცხოვრებლად ორი წლის წინათ გადმოვედი და მაშინ ბევრ რამეს დამპირდნენ, მაგრამ ვერ შემისრულეს. ეს ეხება სამსახურსაც. წლების განმავლობაში ველოდი პირობების შესრულებას და სხვაგან წასვლაზე არც მიფიქრია. თან აქაურობასაც შევეჩვიე და კლუბშიც მაფასებდნენ - ჩემ გარეშე გადაწყვეტილებებსაც არ იღებდნენ და ხელმძღვანელობა ყველაფერს ჩემთან ათანხმებდა. სხვა კლუბები კი მეკონტაქტებოდნენ და მთავაზობდნენ გადასვლას, მაგრამ არც განმიხილავს მათი პირობები. რაც შემეძლო, აქაურებს ყველანაირად ვეხმარებოდი, მაგრამ ამ ორი წელიწადში, რაც აქ გადმოვსახლდი, ბევრი პრობლემა დაგროვდა. ახლა რომ ვაანალიზებ, საცხოვრებლად აქ ჩამოსვლა შეცდომა იყო და ამიტომაც დავიწყე ახალი კლუბის ძებნა. მაინცელები თვითონ დამიკავშირდნენ და ყველაფერზე დამთანხმდნენ, რა პირობებიც შევთავაზე.

**- კლუბიდან თავისუფლად გიშვებენ?**

- არა, არ უნდათ ჩემი გაშვება. ამას ერთი ამბები მოჰყვა - შენ რომ წახვიდე, მთელი გუნდი დაგვეშლება და დარჩიო, მაგრამ ჩემი დატოვება თუ უნდოდათ, მთელი ხუთი წელიწადი დრო ჰქონდათ და მაშინ ეფიქრათ. ქალაქის მერია თუ მხარის ადმინისტრაცია ჩართულია ამ ამბავში და ცდილობენ ჩემს დატოვებას. აი, დღესაც კვირაა, მაგრამ მთელი სამი საათი მერთან ვიყავი შეხვედრაზე. მარწმუნებდა, დარჩიო, მაგრამ მე ვუთხარი, სიტყვა მივეცი-მეთქი. ჯერ ხელი ხომ არ მოგიწერია და უარი უთხარიო, მაგრამ ვუპასუხე, ხელმოწერამდე ჯერ ჩემი სიტყვაა, რომელსაც არ გავტეხ-მეთქი.

**- წასვლის სანაცვლოდ ფულად კომპენსაციას ხომ არ ითხოვენ?**

- არა და მაგას ვერც გამიბედავენ - ამ კლუბისთვის იმდენი გამიკეთებია, მაგას ვერ მოითხოვენ.

**- „მაინცი" რა დონის კლუბია, არის „აალენის" შესადარი?**

- ოთხი წელიწადია, რაც ბუნდესლიგაში გამოდიან, „აალენი" ბევრად ტიტულოვანი კლუბია, თუმცა გაისად რა დონის კლუბი ეყოლებათ, ეგ არ ვიცი. მაინცელებმა წლეულს ძლიერი ფალავნები დაიმატეს და საგაისოდ მათი პროგრამა-მინიმუმი ბუნდესლიგის ნახევარფინალში გასვლაა.

**- ვინ იყიდეს, ქართველებიც ხომ არიან მათ შორის?**

- ახალწვეულთა ვინაობა ზუსტად არ ვიცი, რადგან კონკრეტულად არც მე მითხრეს. მე რაც ვიცი, ერთი იბრაგიმ საიდოვია, რომელიც რუსეთიდანაა გადასული და უკვე გერმანიის მოქალაქეა. რუსეთიდან კიდევ ჰყავთ ერთი-ორი მოჭიდავე, მაგრამ გვარები არ ვიცი. არც ქართველთა გადასვლაზე მსმენია რამე, თუმცა ბერძენ-რომაელთა შორის შარშან კი ჰყავდათ ერთი ჩვენებური.

**- „აალენი" ბუნდესლიგაში წლეულს როგორ გამოვიდა?**

- ნახევარფინალში შემთხვევით წავაგეთ „ვაინგარტენთან", რომელიც მერე ჩემპიონი გახდა. აქ მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლა არ იმართება.

**- ადრე „აალენში" საბერძნეთში გადასული ემზარ ბედინეიშვილიც ჭიდაობდა. ის წლეულსაც გყავდათ, ან სხვა ქართველები თუ იყვნენ?**

- კი, ბედინეიშვილი წლეულსაც ჭიდაობდა, დანარჩენებიდან შარშან ამირან ელბაქიძე იყო 55-ში, ახლა კი დავით ქერაშვილიც გამოდიოდა 84-ში.

**- თქვენი გამოსვლით თუ ხართ კმაყოფილი?**

- კი, 15 შეხვედრა ჩავატარე და ყველა მოვიგე. თანაც, ორ წონაში გამოვდიოდი - 84-ში და 96-ში, მაგრამ ყველგან მოვიგე. საერთოდ, ამ ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი შეხვედრა წავაგე. ამიტომ იყვნენ ესენიც კმაყოფილები და ამიტომაც სურთ ჩემი დატოვება, მაგრამ...

**- ორ წონაში რატომ გაჭიდავებდნენ?**

- ბუნდესლიგაში მხოლოდ ერთი უცხოელის დაყენება შეიძლება. ბედინეიშვილი ლეგიონერად არ მიიჩნევა, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნის წარმომადგენელი. ამიტომ ეს კვოტა რომ არ დარღვეულიყო, საჭიროებისას მას 84-ში აყენებდნენ, მე კი 96-ში გამოვდიოდი.

**- ნაკრებში როგორაა თქვენი საქმეები?**

- ადრეც გითხარით, რომ ნაკრებში მოსახვედრად მუდამ ბრძოლა მიწევდა. სიმართლე გითხრათ, ჩემი ასაკიდან გამომდინარე, პრობლემების შექმნას ახალი მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრ ლეიპოლდიც შეეცადა, მაგრამ დარწმუნდა, რომ ამ წონაში ჩემზე ძლიერი არავინ ჰყავთ. ახლა ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადებით - ახლახან დავბრუნდით შეკრებიდან, 14 თებერვალს კი კუბაში მივდივართ ტურნირზე და მერე შეკრებაზეც დავრჩებით. მე მგონი, ევროპის ჩემპიონატს ვიჭიდავებ. ყოველ შემთხვევაში, წონაში პირველი ნომერი ვარ. მწვრთნელმა ადრე ისე კი გააკეთა, რომ ევროპაზე მეორე ნომრები აჭიდავა, მაგრამ ახლა კონტინენტის პირველობა გერმანიაში ტარდება და კარგი შედეგისთვის ექსპერიმენტებს ალარ მიმართავს.

**- საქართველოში დაბრუნებაზე თუ ფიქრობთ?**

- ვფიქრობ, მაგრამ ოლიმპიადამდე ეს არ მოხერხდება. ოლიმპიადის შემდეგ სპორტიდან წავალ - სპორტს ისედაც.დიდხანს შემოვრჩი და აქამდეც მინდოდა წასვლა. ახლა მოქმედი სპორტსმენის რანგში რომც მოვინდომო დაბრუნება, არაფერი გამოვა, რადგან ფილამ ახალი კანონი მიიღო. ამიერიდან მოქალაქეობის შეცვლა მხოლოდ ერთხელ შეიძლება, მე კი უკვე სამჯერ შევიცვალე - თავიდან საქართველოს სახელით ვჭიდაობდი, მერე უკრაინაში გადავედი, იქიდან კი გერმანიაში ჩამოვედი. ალბათ, სპორტიდან წასვლის მერე საცხოვრებლად საქართველოში დავბრუნდები.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● წყალბურთი

# გამოცოცხლება საგაზაფხულოდ

გუშინ საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ალექსანდრე ბითაძემ** გვაცნობა, რომ ფინამ (საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაცია) ორ ნატურალიზებულ ხორვატ წყალბურთელს - თბილისის „ლიგამუსის" 205 სანტიმეტრის სიმაღლის მეკარე **ივან სტრუიჩსა** და ევროლიგის ნახევარფინალისტ იტალიის „ბრეშას" 204 სანტიმეტრის სიმაღლის ცენტრალურ თავდამსხმელ **მარინო ფრანიჩევიჩს** საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაშის უფლება დართო. ევროპის ჩემპიონატის მეორე წრის ეს მატჩი 30 მარტს თბილისში „ოლიმპიკის" აუზში გაიმართება.

საბერძნეთის წყალბურთელთა ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ათენის ოლიმპიადის მეოთხეადგილოსანი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. ეს ქვეყანა დღეს წყალბურთის ელიტაში შედის, ამიტომ ელადელთა წინააღმდეგობის დასაძლევად სერიოზული მომზადებაა საჭირო. საქართველოს ნაკრებიც 20 იანვრიდან ჩაქვში „ოაზისის" კომპლექსში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება. 4 თებერვლიდან თბილისში განაგრძობს ვარჯიშებს, 23 თებერვლიდან 3 მარტამდე კი სტამბოლში თურქებთან ერთად ეცდება ოსტატობის ამაღლებას. როგორც ალექსანდრე ბითაძემ გვითხრა, საქართველოს წყალბურთის მესვეურებს მოლაპარაკება აქვთ სხვადასხვა ქვეყნის კოლეგებთან და არ არის გამორიცხული, 30 მარტამდე თბილისში საქართველოს, საფრანგეთის, მაკედონიისა და, შესაძლოა, თურქეთის მონაწილეობით ამხანაგური საერთაშორისო ტურნირიც გაიმართოს. ევროპის ჩემპიონატის მატჩების წინ ამ გუნდებისთვის ეს შეჯიბრება ერთგვარი მოთელვა იქნება. 30 მარტს ფრანგებს მოსკოვში, მაკედონიელებს კი მინსკში უწევთ თამაში.

- მარტის დასაწყისში საქართველოს ჩემპიონატი აიღებს სტარტს, - ამბობს ბატონი ალექსანდრე. - მასში 5 გუნდი ჩაებმება. სასიამოვნოა, რომ მოასპარეზეთა შორის ბათუმელებსაც ვიხილავთ. როგორც ხედავთ, ეროვნული პირველობის გეოგრაფია იზრდება. აჭარაში სერიოზულად ზრუნავენ სპორტის ამ სახეობის აღორძინება-განვითარებაზე და კარგი იქნება, თუ ეს სხვა რეგიონებისთვის მაგალითი გახდება. წინა წლებისგან განსხვავებით, საქართველოს ჩემპიონატი რამდენიმე ტურად გაიმართება, რაც შემთხვევითობას გამორიცხავს და სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს...


ალექსანდრე ბითაძე

ოთხ-ოთხი ტური გათამაშდება 1995-1996 და 1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობებშიც. სავარაუდოდ, მედლებისთვის 10-10 გუნდი იასპარეზებს, შარშანდელი რვა და ექვსის ნაცვლად. საპრიზო ადგილებისთვის ქუთაისელი და ბათუმელი წყალბურთელებიც იბრძოლებენ. 4-6 თებერვალს „ოლიმპიკში" 15-16-წლიანები ითამაშებენ, 11-13 თებერვალს კი აუზი უმცროსებს - 1997-1998 წლებში დაბადებულებს დაეთმობათ. არ არის გამორიცხული, თითო ტურს რეგიონებმაც უმასპინძლონ.

შარშან ზაფხულს საქართველოს კადეტთა ნაკრები სერბეთში იმყოფებოდა საწვრთნელ შეკრებაზე და მასპინძლებთან ოთხი ტესტმატჩიც გამართა. ყველა შეხვედრა წააგო. სამაგიეროდ, გვიან შემოდგომით სტუმრობისას ქართველმა მოზარდებმა სამი შეხვედრა მოუგეს სერბ თანატოლებს. სწორედ ამან უბიძგა სერბეთის წყალბურთის მესვეურებს, თავიანთი ქვეყნის კადეტთა (1995-1996 წლებში დაბადებულნი) პირველობაში 24-ე გუნდად საქართველოს ნაკრები დაეშვათ. ეს იქაური წყალბურთის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა იქნება. ჩვენი ბიჭები იოვან პოპოვიჩის ხელმძღვანელობით ნოვი სადში ამ თვის 14 რიცხვში გაემგზავრებიან და 16-20 თებერვალს ერთ-ერთ ჯგუფში წრიული სისტემით 5 მატჩს გამართავენ. 4-6 მარტს კი თბილისში მოგველის საინტერესო ტურნირი: „ოლიმპიკი" ლენ-ის (ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია) კალენდრით გათვალისწინებულ 15-16 წლის წყალბურთელთა ასპარეზობას - სახელოვანი სპორტსმენის, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნის, ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების გამარჯვებულისა და მსოფლიო უნივერსიადის, ასევე, საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორის ნოდარ გვახარიას პირველ საერთაშორისო მემორიალს უმასპინძლებს. ერთმანეთს საქართველოს, ბელარუსის, უკრაინისა და ეგვიპტის (თუ იქ სიტუაცია დალაგდა) სპორტსმენები დაუპირისპირდებიან.

ასე რომ, თებერვალ-მარტში ქართულ წყალბურთში დიდი გამოცოცხლება იქნება და ქომაგებს საინტერესო პაექრობები ელით.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



● ჭადრაკი

# ქალებში მელია მეწინავეობს




გიბრალტარის საჭადრაკო ფესტივალზე 7 ტურის შემდეგ 6 ქულით უკრაინელი **ვასილი ივანჩუკი** მეწინავეობდა. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით 6 დიდოსტატი ჩამორჩებოდა, მათ შორის გახლდათ ბათუმელი **სალომე მელია,** რომელიც გუშინ მე-8 ტურში შავი ფიგურებით გერმანელ **დანიელ ფრიდმანს** შეხვდა. შუა თამაშში ჩვენებურმა მატერიალურ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ ალემანმა მუდმივი ქიშით 35-ე სვლაზე მარცხს თავი დააღწია.

ლიდერთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა)-**მიხაელ როისი** (ისრაელი) 1:0, **ნარაიანან გიტა გოპალი** (ინდოეთი)-**ნაიჯელ შორტი** (ინგლისი) 0:1, **ვიქტორ მიხაილევსკი** (ისრაელი)-**ალექსანდრ ონიშჩუკი** (აშშ). შვიდი ტურის შემდეგ, ონიშჩუკის გარდა, 5-5 ქულა კიდევ 20 მოჭადრაკეს ჰქონდა, ნახევარი ქულით ნაკლები — **გიორგი ყაჭეიშვილსა** და **ნანა ძაგნიძეს.** ისინი გუშინ, შესაბამისად, **გაბრიელ ბატაგლინსა** (საფრანგეთი) და **ალექსეი სლავინს** (რუსეთი) დაუპირისპირდნენ. ყაჭეიშვილმა გათამაშების ცხრილში ქულა ჩაიწერა, ძაგნიძე კი ნახევარ ქულას დასჯერდა.

რვა ტურის შემდეგ 7 ქულით ისევ ივანჩუკი მეწინავეობს. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ შორტსა და მიხაილევსკის. მელიამ, ფრიდმანმა, **ფაბიანო კარუანამ** (იტალია), **ვიქტორ ბოლოგანმა** (მოლდოვა) და **პენტალა ჰარიკრიშნამ** 6-6 ქულა მოაგროვეს.

**ვაჟა დანელია**

● კრივი

# ევროპას სოფია უმასპინძლებს

ევროპის კრივის კონფედერაციის (EUBC) აღმასკომის გადაწყვეტილებით, ამიერიდან მოკრივეთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები ერთსა და იმავე წელს გაიმართება, რომლებიც აქამდე მონაცვლეობით ტარდებოდა. ეს ცნობილი გახდა გუშინ სტამბოლში გამართულ EUBC-ს სხდომაზე. წლეულს მაისში ევროპის ჩემპიონატს ბულგარეთის დედაქალაქი სოფია უმასპინძლებს. ეს გადაწყვეტილება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ნაკრებისთვის, რომელმაც საერთო ფიზიკური მომზადება ბაკურიანში გაიარა და ახლა სწორედ რომ სოფიაში მიემგზავრება ბულგარელებთან ერთობლივი საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად. იქვე ჩვენი მოკრივეები 15-20 თებერვალს საერთაშორისო ტურნირშიც ჩაებმებიან.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რამაზ ფალიანი** შეგირდების მონდომებითა და მნიშვნელოვნი პაექრობებისთვის ნაყოფიერი მუშაობით კმაყოფილია. გუნდში მოსახვედრად ჯანსაღი კონკურენციაა, ადგილი, ფაქტობრივად, არავის აქვს დაბევებული, მით უმეტეს, რომ კრივის საერთაშორისო ასოციაციამ (AIBA) მსუბუქ წონებში ცვლილებები შეიტანა - უწინდელი 48, 51, 54 და 57-ის ნაცვლად ორთაბრძოლები 49, 52 და 56 კილოში ჩატარდება. საგულისხმოა ისიც, რომ წლეულს ბაქოში ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ჯანმრთელობის ფასი რა[illegible]

# ჭარბი წონა

**ჭარბი წონა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სხეულის წონა ორგანიზმის მრავალ მაჩვენებელზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით მოზარდებში უნდა მიექცეს ყურადღება წონის რეგულირებას. ასაკის მიხედვით მოზარდების წონა სპეციალისტებმა ასე განსაზღვრეს.**

| ბიჭები | გოგონები |
|---|---|
| 7 წ. – 21,6 – 27,9 კგ | 7 წ. – 21,5 – 27,5 კგ |
| 8 წ. – 24,1 – 31,3 კგ | 8 წ. – 24,2 – 30,8 კგ |
| 9 წ. – 26,1 – 34,9 კგ | 9 წ. – 26,6 – 35,6 კგ |
| 10 წ. – 30,0 – 38,4 კგ | 10 წ. – 30,2 – 38,7 კგ |
| 11 წ. – 32,1 – 40,9 კგ | 11 წ. – 31,7 – 42,5 კგ |
| 12 წ. – 36,7 – 49,1 კგ | 12 წ. – 38,4 – 50,0 კგ |
| 13 წ. – 39,3 – 53,0 კგ | 13 წ. – 43,3 – 54,4 კგ |
| 14 წ. – 45,4 – 56,8 კგ | 14 წ. – 46,5 – 55,55 კგ |
| 15 წ. – 50,4 – 62,7 კგ | 15 წ. – 50,3 – 58,5 კგ |



ციფრები საორიენტაციოა და 1-1,5 კგ-ში სხვაობა, არ ითვლება ნორმიდან გადახრად. 7-8 და 12-14 წლისანებში, სხეულის ინტენსიური ზრდის პროცესში, საშუალო მონაცემებში სხვაობა შეიძლება ნორმისგან უფრო მეტად განსხვავდებოდეს.

სპეციალისტები თვლიან, რომ ჯანმრთელ ბავშვებში წონის 15-20 პროცენტით სიჭარბე საშუალო მონაცემთან შედარებით ითვლება I ხარისხის სიმსუქნედ; 25-50 პროცენტით — II ხარისხის სიმსუქნედ, ხოლო III ხარისხის სიმსუქნეა, როცა წონა ნორმაზე 50-100 პროცენტით მეტია.

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში აუცილებელია ექიმის კონსულტაცია. სიმსუქნის გამომწვევი ძირითადი მიზეზია გადაჭარბებული კვება და არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა. აუცილებელია კვების რეჟიმის დაცვა. საკვებში კი უნდა იყოს საკმარისი ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები, მიკროელემენტები. ზედმეტობა არღვევს ნივთიერებათა ცვლის პროცესს, იწვევს სიმსუქნეს და მთელ რიგ სერიოზულ დაავადებებს. ჭარბი წონისას უნდა შეიზღუდოს ტკბილეული, ცომეული, ცხოველური ცხიმი. სასარგებლოა ახალი ხილი და ბოსტნეული.

აუცილებელია მოზარდმა დღეში არანაკლებ ერთი საათისა, ივარჯიშოს ფიზიკურად. კვირაში ორჯერ მაინც ფიზლაზრდის გაკვეთილები აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია. დამატებით ბავშვი უნდა მისდევდეს სპორტის რომელიმე სახეობას, განსაკუთრებით კარგია ცურვა, ტანვარჯიში, ველოსპორტი, სპორტული თამაშები და ა.შ.

სპორტი არა მხოლოდ უზრუნველყოფს ენერგიის ხარჯვას, არამედ ეხმარება ორგანიზმს ზედმეტი ცხიმის, ნახშირწყლების, ცილების „წვაში",ააქტიურებს ქსოვილების და კუნთური სისტემის ფუნქციას. ნორმალური წონის პირობებში სპორტში მეცადინეობისას აუცილებელია გაძლიერებული და სრულფასოვანი კვება.

მომზადებულია „ლელოს" საკონსულტაციო ჯგუფის მიერ





ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### საქართველოს თასი. ფინალი

# პირველი არმიული

## თავდაცვა და დაცვა

1 თებერვალი. თბილისი, სპორტის სასახლე

**შსს-არმია 51:71**

6:18, 18:15, 10:22, 17:16

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე.

კომისარი: რ. ხომერიკი.

| შსს | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლაფანაშვილი | 12 | 9 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 1 |
| ლეჟავა | 34 | 15 | 1 | 2 | 3 | 0 | 4 | 3 |
| ნიკოლაძე | 16 | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1 |
| კოტონი | 33 | 8 | 5 | 1 | 3 | 0 | 2 | 0 |
| მარკოიშვილი | 17 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 |
| ტუჯანი | 29 | 2 | 8 | 0 | 1 | 0 | 2 | 1 |
| დ. ბარბაქაძე | 17 | 5 | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 |
| შერმადინი | 9 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 |
| ნივნივაძე | 24 | 4 | 1 | 4 | 1 | 0 | 3 | 3 |
| ტომარაძე | 9 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| **არმია** | **ნთ** | **ქ** | **მ** | **პ** | **ჩ** | **დ** | **ფ** | **შ** |
| ბებიაშვილი | 17 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 0 | 2 |
| ბოისა | 35 | 11 | 7 | 2 | 1 | 0 | 3 | 1 |
| ბ. ბერიშვილი | 32 | 15 | 7 | 1 | 3 | 0 | 3 | 5 |
| ტულუში | 35 | 8 | 6 | 5 | 2 | 0 | 3 | 2 |
| პირველაშვილი | 6 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 |
| მოსეშვილი | 7 | 5 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| ათანელიშვილი | 20 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 2 |
| საყვარელიძე | 11 | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 |
| შარაბიძე | 37 | 17 | 16 | 3 | 1 | 1 | 4 | 1 |

*შენიშვნა: ნთ - წუთი, ქ - ქულა, მ - მოხსნა, პ - პასი, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, შ - შეცდომა.*



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თავდაცვის სამინისტროს გუნდი „არმია“ პირველ სეზონს ატარებს. მისთვის საქართველოს თასი პირველი ტიტული იყო, რომელიც 1 თებერვალს მოიპოვა.

მთავარი კი ისაა, რომ ამ გამარჯვებით ერთეულებს არ გაუხარიათ: დარბაზში 10 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა, რომელთაგან ნახევარზე მეტი (ზუსტად ნამდვილად ვერ დავითვლიდით) „არმიას“ ქომაგობდა. კალათბურთი გულშემატკივრისთვისაა. კიდევ ერთხელ უნდა განვმეორდეთ - „არმიის“ შექმნით დიდი საქმე გაკეთდა.

*- ბედნიერი ვარ რომ ამდენი ქომაგი გავახარეთ. ეს თასი მხოლოდ გუნდს კი არა, ყველა ქომაგს ეკუთვნის,* - თქვა ნამატჩევს **ანატოლი ბოისამ.** მაყურებელთა ფაქტორზე ილაპარაკა **კოტე ტულუშმაც:**

*- „არმიამ“ და გულშემატკივარმა თასი ერთად მოვიგეთ, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ. ვფიქრობ, სადღეისოდ ჩვენი გუნდი შსს-ზე ძლიერია და ამიტომაც გავიმარჯვეთ.*

კოტე ძალთა თანაფარდობასაც შეეხო. თასის ფინალში დაფიქსირებული 20-ქულიანი სხვაობა (71:51 „არმიას“ სასარგებლოდ) თანაფარდობას რეალურად ასახავდა: ერთ გუნდს ყველაფერი გამოუვიდა, მეორეს - არაფერი. მაგრამ თუ შემადგენლობების სიძლიერით ვიმსჯელებთ 20-ქულიანი სხვაობა სულაც არ უნდა ყოფილიყო. მაშ რა მოხდა, როგორ მოახერხა „არმიამ“ ასეთი უპირატესობით მოგება.

ამ კითხვას ერთი კონკრეტული პასუხი არ აქვს - მიზეზები მძივივითაა ერთმანეთზე აკინძული.

„არმიას“ მთავარმა მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმაც** აღნიშნა, რომ მისმა გუნდმა ამ სეზონში საუკეთესო დაცვა ითამაშა. უამრავი სნაიპერით გაჯერებული შსს 51 ქულაზე მეტს რომ ვერ ჩააგდებს, დაცვას კომპლიმენტი ნამდვილად ეკუთვნის. რადგან შსს-ს ჩამგდები მეფარე **დავით იმნაძე** ტრავმირებულია, ხოლო **ჟულივეტ ტუჯანი** დაცვაში უფრო ძლიერია ვიდრე შეტევაში, არმიელებმა იცოდნენ, რომ მათი მეტოქე აქცენტს უკანახაზელებზე გადაიტანდა. ამიტომაც **ბუბა ბერიშვილმა, კოტე ტულუშმა, ანატოლი ბოისამ** და სხვა დაბლებმა მაქსიმალურად შეუზღუდეს სივრცე **ტროი კოტონს, ბესიკ ლეჟავას, ბექა ნივნივაძეს** და სხვა მსროლელებს. შედეგიც ოქმში ვიხილეთ: საწყის სამ პერიოდში შსს-ს მხოლოდ ორი სამქულიანი ჰქონდა ჩაგდებული (40 წუთში 34-დან 4). დაცვაზე რომ ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ **გიორგი შარაბიძე,** რომელიც სივრცეებსაც კარგად ავსებდა და საკუთარ ფარქვეშ ბურთს არავის უთმობდა (11 მოხსნა საკუთარ ფარზე). საბოლოოდ გიორგის ეფექტური სტატისტიკა მოუგროვდა: 17 ქულა, 16 მოხსნა. საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ მიერ მატჩის ბომბარდირისთვის დაწესებული თასიც სწორედ შარაბიძეს ერგო.

*- მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ. საქართველოში, დიდებში პირველ სეზონს ვატარებ და პირველი ტიტულიც მოვიგე,* - აღნიშნა შარაბიძემ, რომელსაც უახლოეს დღეებში უკეთესად გაგაცნობთ.

პირველ ტაიმში შეტევაში ორივე გუნდს ძალიან გაუჭირდა - 20 წუთის შემდეგ „არმია“ 33:24-ს იგებდა. გადამწყვეტი მესამე პერიოდი აღმოჩნდა: ბუბა ბერიშვილმა ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ ორქულიანი (40:28) და შსს-ს მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი** იძულებული გახდა წუთშესვენება აეღო. „არმია“ ამაზე არ შეჩერდა: ბოისამ, ბერიშვილმა და **ბაბიაშვილმა** თითო სამქულიანი ჩააგდეს და ტაბლოზეც 20-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა - 51:31. „არმია“ იმდენად მობილიზებული თამაშობდა, რომ წარმოუდგენელი იყო 20-ქულიანი ფორა გაენიავებინა. საბოლოოდ ასეც მოხდა.

ბერიშვილის მიერ ჩაგდებული რამდენიმე საკვანძო ქულაზე უკვე მოგახსენეთ. მან სულ 15 ქულა მოაგროვა და დაცვაშიც უშეცდომო იყო. ამიტომ მატჩის შემდეგ მას ფინალის საუკეთესო კალათბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** გადასცა.

მთავარი თასი კი კაპიტანმა კოტე ტულუშმა აღმართა. გუნდმაც გაიხარა, გულშემატკივარმაც და უფროსობამაც. კლუბის პრეზიდენტი **ბესო ბერულაშვილი** თასიანად ხელში აიტაცეს.

დასრულდა თასის გათამაშებაც, მაგრამ ქომაგს მოწყენის საშუალება არ ექნება - სუპერლიგის მეორე წრე 4 თებერვალს დაიწყება.

### კომენტარი

#### ლევან მოსეშვილი (არმია):



*- ყველაფერი კარგად გამოგვივიდა. მართალია, მატჩამდეც დარწმუნებულები ვიყავით გამარჯვებაში, მაგრამ ასეთი უპირატესობით მოგებას არ ველოდით. ამის მიზეზი უამრავი ფაქტორია, რომელთა შორის უმთავრესი დაცვაა. ვულოცავ ყველა არმიელს, გულშემატკივარსა და უფროსობას. ახლა საქართველოს ჩემპიონატზე უნდა ვიფიქროთ. ტემპი არც იქ უნდა დავაგდოთ.*

#### დავით უსტიაშვილი (შსს):



*- ასეთი ანგარიშით ნაგება ჩვენთვის მოულოდნელი იყო. შეიძლება გუნდი ცოტა გადაიღალა კიდეც, რადგან ბოლო 6 დღეში 3 მატჩი ჩავატარეთ, თუმცა ამის გამო თავის მართლებას არ ვაპირებთ. საკუთარ კალათში 71 ქულა მივიღეთ, რაც მაღალი მაჩვენებელი არ არის, მაგრამ შეტევაში ძალიან გაგვიჭირდა. განსაკუთრებით პერიმეტრიდან ტყორცნებში: პირველ ტაიმში 18-დან მხოლოდ ერთი სამქულიანი ჩავაგდეთ. თამაში უკეთესედ რომ შეგვიძლია, წინა მატჩებშიც დავამტკიცეთ.*






# მაქაბიდან მაქაბიმდე

*დღიურის წერა ოთხშაბათს, 26 იანვარს დავიწყე. დღეს 1 თებერვალია. ზუსტად 7 დღეა, რაც ჟურნალისტობა შევითავსე და ამ დროის განმავლობაში ძალიან მაინტერესებდა საზოგადოების აზრი ჩემი დღიურის შესახებ. ფორუმებიც გადავათვალიერე და მივხვდი, რომ ხალხი კითხულობს. თუ მკითხველს მიჩნია, რომ ჩემი მონათხრობი საინტერესოა, ძალიან გამიხარდება. მაგრამ ამავე დროს არ მავიწყდება, რომ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, არ მინდა, ისე გამიგრძელდეს წერა, რომ ვინმეს მოსაწყენად მოეჩვენოს.*

*ამიტომ, ვფიქრობ, 7 დღე ჩემი სლოვენიური ცხოვრების გასაცნობად საკმარისია და ამით დავამთავროთ. გაზეთ „ლელოს“ მადლობას მოვახსენებ, რომ ჩემს დღიურს ადგილი დაუთმო.*

■ ■ ■

საერთოდ, ჟურნალისტებთან კარგი ურთიერთობა მაქვს. პრესასთან ურთიერთობა კალათბურთის ნაწილია. „ოლიმპიას“ საევროლიგო მატჩების შემდეგ უამრავი ჟურნალისტი მოდის, უპირველესად კაპიტანსა და მწვრთნელს ესაუბრება. „ბარსელონასთან“ თამაშის მერე მეც არაერთი კითხვა დამისვეს. პრესის წარმომადგენლებსაც ველაპარაკე და ტელეკამერის წინაც: ერთი კორესპონდენტი გოგონა მოვიდა ოპერატორიანად. მითხრა, თუ შეიძლება ჩვენი ტელევიზიისთვის ჩაგწეროო. ვუპასუხე: ტელეჟურნალისტებს არ ველაპარაკებიმეთქი. გაუკვირდა, თუმცა იქვე განვუმარტე - ინგლისურად იმდენად კარგად ვერ ვლაპარაკობ, რომ ტელევიზიით გადასცეთ-მეთქი. არა უშავსო, მითხრა და მეც ვილაპარაკე. გვერდით მეუღლე იდგა და კამერისთვის შეუმჩნევლად მეხმარებოდა. ბოლოს ჟურნალისტს გაუკვირდა: რატომ მიგაჩნია, რომ ინგლისურად კარგად ვერ ლაპარაკობ? შესანიშნავი იყოო.

სლოვენიელები ძალიან თბილი ხალხია. ასეთები არიან ჟურნალისტებიც - მორიდებით მოდიან და გვეკითხებიან, თუ შეიძლება, ორი სიტყვა გვითხარითო.

„ბარსელონასთან“ მატჩამდე ყურადღებით განებივრებული არ ვიყავი. თუმცა სლოვენიაში ჩამოსვლისთანავე, ერთმა ჟურნალისტმა საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა და ძალიან გამაკვირვა: ჩემზე ყველა დეტალი იცოდა სტატისტიკიდან დაწყებული ნატახტარის შესახებ ინფორმაციით დამთავრებული...

■ ■ ■

შეიძლება, გაინტერესებთ წილისყრისშემდგომი ამბები, სლოვენიელ თანაგუნდელებთან ამის შესახებ აღარ მილაპარაკია. „ოლიმპიას“ კაპიტან გორან იაგოდნიკს ადრე აქვს ნათქვამი, ნაკრებში აღარ ვითამაშებო. სლოვენიელებს იმდენი მაღალი კლასის მოთამაშე ჰყავთ, იაგოდნიკის არყოფნა არ დაეტყობათ. მე და ბოისამ მეტოქეები არაერთხელ განვიხილეთ. დანარჩენს თამაშები გვიჩვენებს.

■ ■ ■

ორშაბათიდან „მაქაბისთან“ საევროლიგო მატჩისთვის ვემზადებით. ერთი სული მაქვს, ისრაელში როდის წავალთ, რადგან იქ საინტერესო მეტოქე მელის: სოფოკლის შორცანიდისი. იგი ფიზიკურად იმდენად ძლიერია, რომ პანათინაიკოსელ ნიკოლა პეკოვიჩსაც (ახლა „მინესოტაშია“) უჭირდა გამკლავება. პეკოს სხვებიც ეხმარებოდნენ. შორცანიდისის წინააღმდეგ ერთხელაც არ მითამაშია. დახმარება, ალბათ, მეც დამჭირდება.

ევროლიგის მეორე ეტაპზე ორი მატჩიდან ერთი გვაქვს მოგებული და თელავივში გამარჯვება ძალიან გვჭირდება. ისიც ვიცით, რომ ურთულესი მატჩი გველის. „მაქაბიმ“ იტალიურ „რომას“ დიდი სხვაობით მოუგო. ისრაელში ოთხშაბათს გავფრინდებით.

■ ■ ■

ისე, ჩემთვის ცოტა უცნაური იქნება „მაქაბის“ წინააღმდეგ თამაში, რადგან ამ გუნდის ყვითელი ფორმა რამდენიმე წელი მეცვა. „მაქაბის“ მწვრთნელ ჯამლეტ ხუხაშვილისადმი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მან ჩემს კალათბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა.

თბილისის „მაქაბი“ აღებულ გეზს არ ღალატობს და მასში ახლაც იზრდებიან ნიჭიერი კალათბურთელები. მაგალითად, ძმები რევაზიშვილები, რომლებიც ჯამლეტ ხუხაშვილს მე და ჩემმა ძმამ მივუყვანეთ. გიორგი რევაზიშვილი ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამორჩეული ფიგურაა და ვიმედოვნებ, ისიც წარმატებულ კარიერას აიწყობს. ასევე „მაქაბიშია“ ტანმაღალი გიორგი ფერიაშვილი...

■ ■ ■

არ ვიცი, მომავალში სად ვითამაშებ, მაგრამ გპირდებით, თუ დაგაინტერესებთ, დღიურს კიდევ დავწერ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ერთა თასი




# უკრაინით ვიწყებთ, რუსეთით დავამთავრებთ

საქართველოს ეროვნული ნაკრები შაბათს, 5 თებერვალს 2011 წლის ერთა თასის გათამაშების პირველ შეხვედრას უკრაინის ეროვნულ გუნდთან ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართავს. „ბორჯღალოსნები" გუშინ სრული შემადგენლობით სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" დაბანაკდნენ და „შევარდენის" სანაკრებო ბაზაზე ივარჯიშეს.

**რიჩი დიქსონის** განკარგულებაში 24 მორაგბეა. ტრავმირებულები არიან და გუნდს ვერ დაეხმარებიან მეორეხაზელი **გიორგი ნემსაძე** (მონტობანი), **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **ილია ზედგინიძე** (სენ რაფაელი) და **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი). „ბორჯღალოსანთა" რიგებში სხვადასხვა მიზეზის გამო არ არიან **მალხაზ ურჯუკაშვილი** (ფიჟაკი), **ირაკლი ჩხიკვაძე (აია), გოდერძი შველიძე** (მონპელიე) და **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი).

ერთა თასის გათამაშებაში დებიუტი ექნება შერკინების ბურჯ **ვასილ კაკოვინს** (ბრივი), მეორეხაზელ **ვახტანგ მაისურაძეს** (სენ ნაზერი) და გარემარბ **ბექა ურჯუკაშვილს** (ფიჟაკი). დიქსონმა **დავით ზირაქაშვილის** (კლერმონი) დუბლიორად **ანტონ ფეიქრიშვილი** (კასტრი) იხმო, აქვსენტი გიორგაძის ნაცვლად კი ჯაბა ბრეგვაძე (ვისოლი/ყოჩები) გამოიძახა.

საკმაოდ სერიოზული პრობლემებია ჩვენი მეტოქის, უკრაინის ნაკრების ბანაკში. ამ ქვეყნის რაგბის კავშირის პრეზიდენტი **ოლექსანდრ ოკისი** ორიოდ თვის წინათ აირჩიეს და ახლახან, 27 იანვარს თანამდებობიდან გადადგა. უკრაინული რაგბის ხელმძღვანელობა ყოფილმა პრეზიდენტმა **გეორგი ჯანგირიანმა** და ხსენებულ ყრილობაზე პრეზიდენტობის კანდიდატებმა **ვლადისლავ ბულგაკოვმა** და **ვლადიმირ კლაპატიუკმა** იკისრეს.

გადაწყდა, რომ რიგგარეშე ყრილობა 20 მარტს გაიმართოს, სადაც ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. მმართველმა ტრიომ საქართველოში გამოსამგზავრებლად ფული უკვე იშოვა და პირობას დებენ, რომ ერთა თასს ბოლომდე ჩაამთავრებენ.

უკრაინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა **ვალერი კოჩანოვმა** საწვრთნელ შეკრებაზე 33 მორაგბეს უხმო. მათ შორისაა წარმოშობით ქართველი **ზურაბ კიკაჩეიშვილიც**. უკრაინელთა გუნდის ძირითად ბირთვს კი ჩემპიონის, ხარკოვის „სპარტაკის" მორაგბეები შეადგენენ.

## საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი), ვასილ კაკოვინი, დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ჯაბა ბრეგვაძე (ვისოლი/ყოჩები).

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი).

მესამე ხაზი: გია ლაბაძე (ლა სეინი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ბესო უდესიანი (მაკონი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი).

№9: ბიძინა სამხარაძე (ფარული), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი).

№10: ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი)

№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), ირაკლი გიორგაძე (ლავორი).

№11-14: ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი).

№15: ბესიკ ხამაშურიძე (აია).

## უკრაინის ნაკრები

ზურაბ კიკაჩეიშვილი, სერგეი იანჩიი, ვიტალი კრასნოდემსკი, მიკოლა ალექსანდრიუკი, ვიტალი ორლოვი (ყველა-კიევი), სერგეი მონასტირიოვი, დენის მასიუკოვი, ევგენი ჩაიკა, რუსლან რადჩუკი, პავლო მასიუკოვი, **რომან კულაკივსკი, ოლექსეი ნოვოკრეშჩენოვი (ყველა-ოდესა), იგორ ლემკივსკი, ევგენი ზაპოლსკი, ოლექსანდრ დურნოვი, ბოგდან ვოლოშინი, ვლადისლავ გრაბოვსკი (ყველა-ლვოვი), ნაზარი ზოზულია (ხმელნიცკი), ოლექსანდრ გოლუბენკო, ოლეგ შევჩენკო (ორივე-ტირასპოლი), ივან ზალიზნიაკ, სერგეი გარკავი, დიმიტრო მანჟოსი, ოლექსანდრ ლომაკინი, მიკოლა კირსანოვი, მაქსიმ კრავჩენკო, ვიაჩესლავ კრასილნიკი, ოლექსანდრ ცაპენკო, სერგიი სუხიხი, ვიაჩესლავ პონომარენკო, სერგეი ცერკოვნი, ანდრეი გოლიშევი, ოლეგ კოსარევი (ყველა-ხარკოვი).**

საკმაოდ საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი ლისაბონში, სადაც პორტუგალიის ნაკრები, მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქეს, რუმინეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან. პორტუგალიელები, რომელთა რიგებშიც მრავლად გამოჩნდნენ საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერები „სტეჟარის" თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით დაუხვდებიან.

„ლობუშებისგან" განსხვავებით, საკადრო პრობლემები აქვს რუმინეთის ნაკრებს. ტრავმების გამო გუნდს ვერ დაეხმარებიან ვეტერანები, შერკინების კვაჭი **მარიუს ტინკუ** და ცხრა ნომერი **ლუჩან სირბუ**. „ლობუშებთან" ვერ ითამაშებს გუდის კაპიტანი **სორინ სოკოლიც**, რომელსაც საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაში, არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა და დისკვალიფიცირებულია.

სხვადასხვა მიზეზის გამო სტეჟარის დააკლდებიან: **ვალენტინ ურსაკე, ალექსანდრუ მანტა, დრაგოშ დიმა** და **იონუც დიმოფტე**.

## რუმინეთის ნაკრები

პირველი ხაზი: ცეზარ პოპესკუ (მაკონი), ბოგდან ბალანი (ლიონი), მიჰაი ლაზარი (ექსი), სამუელ მარისი (ტიმიშოარა), კატალინ ბეკა (ბუქარესტი), ბოგდან ზებეგა (სტიაუა).

მეორე ხაზი: კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), მარიან დრენკეანუ (ტიმიშოარა), ვალენტინ პოპირლანი (ბუქარესტი), მარიუს სირბე (ტარბი)

მესამე ხაზი: სტელიან ბურეა (ტიმიშოარა), დანიელ კარპო (ფარული), მიჰაი მაკოვეი (ბაია მარე), ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი), დანიელ იანუსი (სტიაუა), ვიორელ ლუკაკაი (სტიაუა).

№9: ვალენტინ კალაფეტეანუ (ტიმიშოარა), ფლორინ სურუგუი (ბუქარესტი).

№10: დან დუმბრავა (სტიაუა), გაბრიელ კონაკე (ტიმიშოარა)

№12-13: ჩაბა გალი (ბაია მარე), რობერტ დესკალუ (სტიაუა), კონსტანტინ გეარა (ფარული), იონელ კაზანი (სტიაუა).

№11-14: კატალინ ფერკუ, მადალინ ლემნარუ (ორივე-ტიმიშოარა), კატალინ ნიკოლაე (ფარული), იონუც ბოტეზატუ (ბაია მარე).

№15: ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა), იულიან დუმიტრაში (ლურდი).

## პორტუგალიის ნაკრები

პირველი ხაზი: ჟოაო ჟუნიორი (კდული), ჟორჟე სეგურადო (დირეიტო), კრისტიან სპაშუკი (კოლომიე), ჟუან მურე (ელ სალვადორი), ენტონი ალვესი (მონტობანი), ჟოაო მატეუში (კოიმბრა), ჟოაო კორეია, ნუნო ტაფული (დირეიტო), ლიონელ კამპერნე (პო), ბერნარდო დუარტე (აგრონომია).

მეორე ხაზი: გონსალო უვა (მონპელიე), ჟუან სევერინო (აგრონომია), ედუარდო აკოსტა, რუი დორეი (დირეიტო).

მესამე ხაზი: ჟუკიენ ბარდი (კლერმონი), ლორან ბალანგო (კოლომიე), ვასკო უვა (დირეიტო), ტიაგო გირაუ (კდული), ჟაკ ლე რუ (აგრონომია).

№9: ჟოზე პინტი (დირეიტო)

№10: ჯო გარდნერი (ობენა), ლედრო კაბრალი (კდული)

№12-13: პედრო სილვა (ბელენენსეში), ფრანსისკო მირა (აგრონომია), ფრანსისკო სერა (კოიმბრა), ფრედერიკო ოლივეირა, კარლ მურეი (ორივე-კდული).

№11-14: გონსალო ფორო, ბერნარდო სილვეირა (ორივე-კდული), ჟოზე ლიმა (აგრონომია), ადერიტო ეშტევეში (დირეიტო).

№15: პედრო ლეალი, ანტონიო აგილარი (ორივე-დირეიტო).

უშელავათო ბრძოლაა მოსალოდნელი მადრიდშიც, სადაც ამბიციამოძალებული ესპანეთის ეროვნული გუნდი რუსებს უმასპინძლებს. რუსთა ნაკრების მწვრთნელმა **ნიკოლაი ნერუშმა** საესპანეთოდ 24 კაცი შეარჩია. შემადგენლობაში ორი ქართული წარმოშობის მოთამაშეა, **კარლო მალლაკელიძე** და **ვალერი ცნობილაძე**. ნერუშის გუნდში მოხვდა მგეზავი **კონსტანტინ რაჩკოვიც** (სტად ფოსიენი, საფრანგეთი), რომელსაც ეროვნული ნაკრების კვართი 2006 წლის ოქტომბრის შემდეგ არ მოურგია.

ტრავმის გამო, სავარაუდოდ, ერთა თასს გამოტოვებს ფრანგული „აჟენის" მეორეხაზელი **კირილ კულემინი**. ჯანმრთელია და ესპანეთში ითამაშებს კიდევ ერთი ლეგიონერი, ფრანგული „ორიაკის" მეორეხაზელი **ანდრეი ოსტრიკოვი**.

შეიკრიბა და მომავალი ბატალიებისთვის ემზადება ფრანგი მწვრთნელის, **რეჯის სონეს** ხელმძღვანელობით ესპანეთის ნაკრები. ფრანგმა რუსეთისა და საქართველოს ნაკრებთან მატჩისთვის 31 მორაგბეს უხმო. ამათგან 14 ლეგიონერია, რომლებიც საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონის გუნდებში ასპარეზობენ. აღსანიშნავია, რომ 14 „ფრანგიდან" რვას ესპანეთის ნაკრებში არასდროს უთამაშია და, სავარაუდოდ, მათი დებიუტი ხუთ თებერვალს რუსეთის ნაკრებთან მატჩში შედგება.

## რუსეთის ნაკრები

შერკინება: კარლო მალლაკელიძე, ვალერი ცნობილაძე, ალექსანდრ ვოიტოვი, ანდრეი გარბუზოვი, ვიქტორ გრესევი, ვლადისლავ კორშუნოვი, კირილ კუშნარიოვი, ევგენი მატვეევი, ანდრეი ოსტრიკოვი, ევგენი პრონენკო, ალექსეი ტრავკინი, არტიომ ფატახოვი, ალექსანდრ ხროკინი.

უკანა ხაზი: ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი, კონსტანტინ რაჩკოვი, ვლადიმირ ოსტროუშკო, ალექსეი მაკოვეცკი, იური კუშნარიოვი, ანდრეი კუზინი, იგორ კლუჩნიკოვი, იგორ გალინოვსკი, მიხაილ ბაბაევი, ვასილი არტემევი.

## ესპანეთის ნაკრები:

მარტინ ერედია (კოსტა დელ სოლ), ალეხანდრო კრუსი, ლეანდრო არამბურუ (კახასოლი), იგნასიო გუტიერსი, ალეხანდრო გუტიერსი, ანიბალ ბონანი (ენტრპინარესი), ვიქტორ გომესი (მადრიდი), რაფაელ მატი (კისენეროსი), რამონ ნარვაესი (მახადაჰონდა), ხავიერ ასევედო (სანტაბოიანა), ხაიმე კუკი, როდრიგო მარტინესი, მარკოს პოჯი (ლა ვილა), ედუარდო რამირესი (ვალენსია), ფედერიკო ნეგრილო (ბიზკაია), მატიას ტუდელა, პედრო მარტინი (ორდიზია), ანდონი ხორახურია, ადრიენ აიესტარანაი (ბიარიცი), მარტინ ეტჩეპარე (დაქსი), სტეფან ლა პუასოტე, რემი დელგადო (ოლორონი), ბენატ ეტჩეპარე, მაქსიმ სამსონი (ტიროსი), დამიენ სანჩესი (სენ მედარი), სებასტიან პიფარდი (ლურდი), დავით გურგენიძე, სილვაინ ანტეკუერა (ორტეზი), მატიო ამორო (ბეზიე), სერხიო სევილია (კლერმონი), გაუტიერ გიბუინი (ბორდო).

## ერთა თასი

**I ტური. 5 თებერვალი**

საქართველო-უკრაინა
ესპანეთი-რუსეთი
პორტუგალია-რუმინეთი

## 2 თებერვალი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

### 1890 წელი

ლეგენდარული უელსელი ფულბეკის **ბილი ბენკროფტის** დებიუტი კარდიფში, შოტლანდიის ნაკრებთან მატჩში შედგა. მან ეროვნულ გუნდში 33 კეპი მოიხვეჭა და რაგბიდან 1901 წელს წავიდა.

### 1930 წელი

შოტლანდიის ნაკრებმა უელსის ეროვნულ გუნდს „მერიფილდზე" 12:9 მოუგო. „სკოტებს" გამარჯვება მატჩის ბოლო წუთზე არეკნით მოუტანა **გერბერ უოდლმა**.

### 1958 წელი

ინგლისის ნაკრებმა „თვიქნემზე" ავსტრალიის ეროვნული გუნდი 9:6 დაამარცხა. გამარჯვების მომტანი ლელო **პიტერ ჯექსონმა** მატჩის ბოლო წუთზე გაიტანა.

### 1969 წელი

უელსის ნაკრებმა მზადების მოძველებული სისტემა შეცვალა და შედეგიც მიიღო. ხუთი ერი პირველ შეხვედრაში უელსელებმა სტუმრად, „მერიფილდზე" დაამარცხეს შოტლანდიის ეროვნული გუნდი - 17:3. უელსელთა რიგებში დებიუტი ჰქონდათ **მერვინ დევისს** და **ჯი პი არ ვილიამსს.**

### 1975 წელი

საფრანგეთის ნაკრებმა „თვიქნემზე" ინგლისის ეროვნული გუნდი 27:20 დაამარცხა. ამ მატჩში შედგა ლეგენდარული ფრანგი მორაგბის **ჟან-პიერ რივის** დებიუტი. მან „ლე ბლეს" შემადგენლობაში 59 კეპი მოიხვეჭა და ფრანგული რაგბის ვარსკვლავებთან, **ჟან-კლოდ სკრელასთან** და **ჟან-პიერ ბასტიასთან** ერთად, მსოფლიო რაგბიში ეპოქა შექმნა.

მხარის ტრავმის გამო ჟან პიერი 1984 წელს რაგბის გამოეთხოვა და მოქანდაკის შესანიშნავი კარიერა შექმნა. მისი ნახელავია „ჯუზეპე გარიბალდის თასი", რომელიც საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებებს შორის მატჩში თამაშდება.

### 1986 წელი

უელსის ნაკრების ფულბეკმა **პოლ ტორბერნმა** საჯარიმო ყველაზე შორი მანძილიდან გაიტანა. უელსელებმა, იმ დღეს კარდიფში, შოტლანდიის ეროვნულ გუნდს 22:15 მოუგეს. პოლმა ხუთი საჯარიმო მიითვალა, ამათგან ერთი 70 იარდიდან დაარტყა.

### 2009 წელი

ახალი ზელანდიისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი **დენ კარტერი**, რომელიც ფრანგული „პერპინიანის" ღირსებას იცავდა, „სტად ფრანსესთან" მატჩში დაშავდა, როცა ანგარიში 13:13 იყო. კარტერი, შედეგად, ექვსი თვის განმავლობაში მკურნალობდა. არადა, კატალონიურ კლუბთან მას საკმაოდ სარფიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული. კარტერს წელიწადში 700 ათასი ევრო უნდა მიეღო. მან „პერპინიანის" შემადგენლობაში ხუთი მატჩის თამაში მოასწრო.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ჟან-პიერ რივი

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. რეიტინგები



# თამაში ყველამ ისწავლა

ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ATP-იმ და WTA-მ ახალი რეიტინგები გამოაქვეყნეს. ყველაზე საინტერესო ფაქტი ქალების კლასიფიკაციაში დაფიქსირდა. პირველად WTA-ის რეიტინგის ისტორიაში, საუკეთესო ათეულში ათი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი შედის. უფრო მეტიც, საუკეთესო 11 ჩოგბურთელი 11 სხვადასხვა ქვეყანას წარმოადგენს.

*„საუკეთესო ათეულში ათი ქვეყნის მოთამაშის ხილვა იმაზე მიგვითითებს, რომ ჩოგბურთმა მთელ მსოფლიოში გლობალური მნიშვნელობა შეიძინა“*, - განაცხადა WTA-ის შეფმა **სტეისი ელასტერმა**.

ერთი საინტერესო ფაქტია მამაკაცთა რეიტინგში. პირველად მრავალი წლის განმავლობაში საუკეთესო ათეულში წარმომადგენელი არ ჰყავს რუსეთს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც **მიხაელ იუჟნიმ** მესამე წრეში წააგო ავსტრალიის ღია პირველობაზე და მე-11 პოზიციამდე ჩამოქვეითდა. ათეულში მისი ადგილი ავსტრიელმა **იურგენ მელცერმა** დაიკავა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**, რომელმაც შარშან ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალამდე მიაღწია, წელს კი მეორე წრეში დამარცხდა და ბევრი სარეიტინგო ქულა დაკარგა, ამის გამო აშშ-ის ღია პირველობის ყოფილი ჩემპიონი 249-ე ადგილიდან 485-ე ადგილამდე დაეშვა.

**ATP-ის რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 12 390 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7 965 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 7 880 |
| 4(4). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 5 955 |
| 5(5). ენდი მიურეი (ბრიტ) | 5,760 |
| 6(7). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 570 |
| 7(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 270 |
| 8(8). ენდი როდიკი (აშშ) | 3 385 |
| 9(9). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 3 240 |
| 10(11). იურგენ მელცერი (ავსტრია) | 2 955 |
| 11(10). მიხაილ იუჟნი (რუს) | 2 920 |
| 12(12). გაელ მონფილსი (საფ) | 2 560 |
| 13(14). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 160 |
| 14(19). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 2 125 |
| 15(16). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1 965 |
| 16(17). მარდი ფიში (აშშ) | 1 956 |
| 17(18). სემ კუერი (აშშ) | 1 860 |
| 18(13). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 715 |
| 19(19). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1 655 |
| 20(15). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 1 600 |

**ფულადი მოგებარი**

| | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2 199 340 |
| 2. ენდი მიურეი (ბრიტ) | 1 099 670 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 596 874 |
| 4. დავიდ ფერერი (ესპ) | 493 524 |
| 5. რაფაელ ნადალი (ესპ) | 288 787 |
| 6. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 279 837 |
| 7. ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ) | 239 139 |
| 8. ბობ ბრაიანი (აშშ) | 233 331 |
| 8. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 233 331 |
| 10. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 229 577 |
| 11. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 165 972 |
| 12. ენდი როდიკი (აშშ) | 132 537 |
| 13. ტომი რობრედო (ესპ) | 126 657 |
| 14. ვიქტორ ტროიცკი (სერ) | 126 458 |
| 15. მაეშ ბჰუპატი (ინდ) | 124 590 |
| 15. ლეანდერ პაესი (ინდ) | 124 590 |
| 17. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 121 620 |
| 18. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 120 963 |
| 19. ჟილ სიმონი (საფ) | 120 158 |
| 20. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 113 244 |

**WTA-ის რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 8655 |
| 2(3). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 8515 |
| 3(2). ვერა ზვონარევა (რუს) | 7405 |
| 4(7). ფრანჩესკა სიკავონე (იტა) | 5055 |
| 5(6). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 4862 |
| 6(5). ვენუს უილიამსი (აშშ) | 4645 |
| 7(11). ნა ლი (ჩინ) | 4450 |
| 8(8). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 4385 |
| 9(9). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 3935 |
| 10(14). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 3340 |
| 11(12). შაარ პეერი (ისრ) | 3225 |
| 12(4). სერენა უილიამსი (აშშ) | 3035 |
| 13(16). მარია შარაპოვა (რუს) | 2936 |
| 14(18). ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 2645 |
| 15(17). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2595 |
| 16(25). ფლავია პენეტა (იტა) | 2535 |
| 17(21). კაია კანეპი (ესტ) | 2460 |
| 18(28). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 2418 |
| 19(20). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2405 |
| 20(15). ნადია პეტროვა (რუს) | 2362 |

**ფულადი მოგებარი**

| | |
|---|---|
| 1. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2,197,645 |
| 2. ნა ლი (ჩინ) | 1,174,323 |
| 3. ვერა ზვონარევა (რუს) | 425,826 |
| 4. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 417 550 |
| 5. ფლავია პენეტა (იტა) | 328 876 |
| 6. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 249 801 |
| 7. ხისელა დულკო (არგ) | 242 505 |
| 8. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 233 503 |
| 9. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 219 864 |
| 10. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 218 213 |
| 11. ფრანჩესკა სიკავონე (იტა) | 217 451 |
| 12. მარია კირილენკო (რუს) | 164 087 |
| 13. კატერინა სრებოტნიკი (სლოვენ) | 129 713 |
| 14. შუაი პენგი (ჩინ) | 126 314 |
| 15. ივეტ ბენეშოვა (ჩეხ) | 125 764 |
| 16. ნადია პეტროვა (რუს) | 119 106 |
| 17. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 109 200 |
| 18. ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 103 501 |
| 19. ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) | 101 751 |
| 20. ანასტასია სევასტოვა (ლატ) | 98 851 |

ჩოგბურთი

# სერენას ფეხს მოაჭრიან?

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს **სერენა უილიამსს**, რომელიც ნახევარ წელზე მეტია ვერ ახერხებს კორტზე გასვლას, ტრავმირებულ ფეხთან დაკავშირებით ახალი პრობლემები შეექმნა. როგორც ირკვევა, გაჭიანურებული მკურნალობის მიზეზი შეიძლება იყოს ძვლის ანთება - ოსტეომელიტი.

ამ ინფორმაციას საკუთარ ვებგვერდზე ავრცელებს ცნობილი ჟურნალისტი **სანდრა როუზი**. ის წერს, რომ სერენამ წონა დაკარგა და ძალიან დასუსტდა. არ არის გამორიცხული, ჩოგბურთელმა ფეხიც კი დაკარგოს. ოსტეომელიტი ადრეულ სტადიაზე იოლად იკურნება. ამ შემთხვევისთვის იყენებენ პრეპარატ ვანკომიცინს, რომლის გვერდითი მოვლენებია - ყელის ტკივილი და სიმშრალე.

ამასთან დაკავშირებით, როუზმა გაიხსენა „ტვიტერზე“ სერენას ერთ-ერთი შეტყობინება: *„წყლის დალევისას ისეთი ტკივილი მაქვს, თითქოს დანა გადამეყლაპოს“*. სწორედ ამის შემდეგ „დასვა“ ჟურნალისტმა ოსტეომელიტის დიაგნოზი.

ამასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება ჯერ არ გავრცელებულა. არც სერენას დაუწერია თავის ვებგვერდზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

კრივი

# ადამეკმა ტაისონის მძლეველი აირჩია

პოლონელმამძიმეწონოსანმა **ტომაშ ადამეკმა** ირლანდიელ **კევინ მაკბრაიდთან** ბრძოლის კონტრაქტი გააფორმა. ეს შეხვედრა ერთ-ერთ **კლიჩკოსთან** ჩხუბის რეპეტიცია უნდა გახდეს - შეგახსენებთ, რომ ადამეკმა უკრაინელი ჩემპიონების გუნდთან დადო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, 2011 წლის სექტემბერში ვიტალის ან ვლადიმერ კლიჩკოს წინააღმდეგ მოუწევს რინგზე გასვლა.

ჯერჯერობით უცნობია ადამეკისა და მაკბრაიდის ბრძოლის თარიღი და ადგილი. მაკბრაიდმა სახელი იმით გაითქვა, რომ 2005 წელს ნოკაუტით დაამარცხა ლეგენდარული **მაიკ ტაისონი**. თუმცა 37 წლის ირლანდიელს ბოლო ხუთი ბრძოლიდან ოთხი აქვს წაგებული და პოლონელთან აუტსაიდერად მიიჩნევა. სულ მაკბრაიდს პროფესიულ რინგზე 44-ჯერ უჩხუბია, მოიგო 35 შეხვედრა (29 - ნოკაუტით) და რვაჯერ დამარცხდა. კიდევ ერთი ბრძოლა ფრედ დასრულდა. რაც შეეხება ადამეკის სტატისტიკას, ის ასე გამოიყურება: 43 ბრძოლა, 42 მოგება (27 - ნოკაუტით) და ერთი წაგება.

პოლონელმა კლიჩკოებთან მოლაპარაკება იანვრის ბოლოს დაასრულა. ხელშეკრულების თანახმად, ადამეკმა უკრაინელებთან შეხვედრამდე ერთი საშუალედო ბრძოლა უნდა მოიგოს, ერთმა კლიჩკომ კი წარმატებით დაიცვას საჩემპიონო ქამარი.

მაკბრაიდთან ბრძოლა ბოლო იყო ტაისონის კარიერაში. მაშინ ირლანდიელმა ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა. მსაჯებმა მიიჩნიეს, რომ ტაისონს აღარ შეეძლო ბრძოლის გაგრძელება და მოგება მაკბრაიდს მიაკუთვნეს.

■ ■ ■

ამერიკელი მოკრივე **ენტონი ჯონსი** პროფესიულ რინგზე თავისი პირველი ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა. 29 იანვარს 28 წლის მოკრივემ ნოკაუტით წააგო **ქვინსი პალმერთან**, შემდეგ ორი დღე ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. ეს ინფორმაცია ამერიკულ პრესაში ორი დღის დაგვიანებით გავრცელდა.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, ჯონსის ბრძოლა პალმერთან არკანზასის შტატის ქალაქ ბენტონში გაიმართა და მეორე რაუნდში დასრულდა. სხვათა შორის, პალმერიც გამოუცდელი მოკრივე გახლდათ: მისი ბრძოლა ჯონსთან მხოლოდ მეორე იყო პროფესიულ რინგზე.

სკოლაში ჯონსი ამერიკული ფეხბურთით იყო დაკავებული. იმავე გაზეთის ცნობით, ბრძოლის წინ პალმერმა სამედიცინო შემოწმება გაიარა.



მაკბრაიდი ტაისონთან ბრძოლაში

სამთო-სათხილამურო სპორტი

# ავსტრიელი კომიდან გამოიყვანეს

ავსტრიელი სამთო მოთხილამურე **ჰანს გრიუგერი**, რომელმაც 20 იანვარს სწრაფდაშვებისას მძიმე ტრავმა მიიღო, კომიდან გამოვიდა. ამის შესახებ სააგენტო „როიტერი“ იტყობინება. ავსტრიელს აღარ სჭირდება ხელოვნური სუნთქვის აპარატი. დღეს სპორტსმენი კიდევ ერთ სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც გახდება ცნობილი გრიუგერის აღდგენითი პროცესის ზუსტი ხანგრძლივობა.

ექიმებმა გრიუგერის კომიდან გამოყვანა ექვსი დღის წინ დაიწყეს, მაგრამ 29 წლის მოთხილამურეს დიდი ხანი რეაგირება არ ჰქონდა ექიმების მოქმედებაზე.

ავსტრიელი კიტცბუელის ტრასაზე 20 იანვარს, ვარჯიშის დროს დაშავდა. იმავე დღეს მან თავზე ხუთსაათიანი ოპერაცია გადაიტანა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გრიუგერი გახდა მესამე მოთხილამურე, ვინც კიტცბუელის ტრასაზე სერიოზული დაზიანება მიიღო. 2008 და 2009 წლებში იქ ტრავმებით დაასრულეს გამოსვლა ამერიკელმა **სკოტ მაკარტნიმ** და შვეიცარიელმა **დანიელ ალბრეხტმა**. მოგვიანებით ორივემ შეძლო კარიერის გაგრძელება.

რაც შეეხება გრიუგერს, მას ოთხჯერ აქვს მოგებული მსოფლიოს თასის ეტაპი. მთელი კარიერის განმავლობაში ავსტრიელს ტრავმები აწუხებდა - ოთხჯერ გაიწყვიტა მუხლის მყესები და ერთხელ ბარძაყის ძვალი მოიტეხა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. თებერვლის კალენდარი

**1 თებერვალი**
ატლანტა-აილენდერსი
კაროლინა-ბოსტონი
კოლამბუსი-ჩიკაგო
ნიუ ჯერსი-ოტავა
რეინჯერსი-პიტსბურგი
ტორონტო-ფლორიდა
ვაშინგტონი-მონრეალი
ტამპა ბეი-ფილადელფია
მინესოტა-ლოს ანჯელესი
ნეშვილი-კალგარი
სტ. ლუისი-კოლორადო
დალასი-ვანკუვერი
სან ხოსე-ფინიქსი

**2 თებერვალი**
ოტავა-დეტროიტი
პიტსბურგი-აილენდერსი
მონრეალი-ფლორიდა
ფინიქსი-ვანკუვერი
ედმონტონი-ლოს ანჯელესი
ანაჰაიმი-სან ხოსე

**3 თებერვალი**
ატლანტა-კალგარი
ბოსტონი-დალასი
რეინჯერსი-ნიუ ჯერსი
ფილადელფია-ნეშვილი
ტორონტო-კაროლინა
კოლორადო-მინესოტა

**4 თებერვალი**
დეტროიტი-კოლამბუსი
ნიუ ჯერსი-ფლორიდა
პიტსბურგი-ბაფალო
ტამპა ბეი-ვაშინგტონი
სტ. ლუისი-ედმონტონი
ვანკუვერი-ჩიკაგო

**5 თებერვალი**
ბოსტონი-სან ხოსე
მონრეალი-რეინჯერსი
კოლორადო-ანაჰაიმი
ბაფალო-ტორონტო
კაროლინა-ატლანტა
კოლამბუსი-ედმონტონი
აილენდერსი-ოტავა
ფილადელფია-დალასი
ნეშვილი-დეტროიტი
ფინიქსი-მინესოტა
კალგარი-ლოს ანჯელესი

**6 თებერვალი**
ვაშინგტონი-პიტსბურგი
მონრეალი-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-სტ. ლუისი

**7 თებერვალი**
დეტროიტი-რეინჯერსი
ტორონტო-ატლანტა
ნეშვილი-ედმონტონი
კალგარი-ჩიკაგო
ფინიქსი-კოლორადო
ვანკუვერი-ოტავა

**8 თებერვალი**
ნიუ ჯერსი-კაროლინა
აილენდერსი-ტორონტო
პიტსბურგი-კოლამბუსი
ვაშინგტონი-სან ხოსე
ფლორიდა-სტ. ლუისი
ტამპა ბეი-ბაფალო

**9 თებერვალი**
ბოსტონი-მონრეალი
კოლამბუსი-სან ხოსე
დეტროიტი-ნეშვილი
მინესოტა-კოლორადო
დალასი-ფინიქსი
კალგარი-ოტავა
ედმონტონი-ჩიკაგო
ვანკუვერი-ანაჰაიმი

**10 თებერვალი**
ფილადელფია-კაროლინა
პიტსბურგი-ლოს ანჯელესი
ტორონტო-ნიუ ჯერსი
ფლორიდა-ბაფალო
მონრეალი-აილენდერსი

**11 თებერვალი**
ბოსტონი-დეტროიტი
კოლამბუსი-კოლორადო
ნიუ ჯერსი-სან ხოსე
აილენდერსი-პიტსბურგი
ატლანტა-რეინჯერსი
სტ. ლუისი-მინესოტა
დალასი-ჩიკაგო
კალგარი-ანაჰაიმი

**12 თებერვალი**
ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი
ედმონტონი-ოტავა
მონრეალი-ტორონტო
ტამპა ბეი-კაროლინა
ნეშვილი-კოლორადო
ფინიქსი-ჩიკაგო
მინესოტა-სტ. ლუისი
ვანკუვერი-კალგარი

**13 თებერვალი**
ბაფალო-აილენდერსი
დალასი-კოლამბუსი
რეინჯერსი-პიტსბურგი
ატლანტა-კაროლინა
დეტროიტი-ბოსტონი
ფლორიდა-სან ხოსე
ფილადელფია-ლოს ანჯელესი
ედმონტონი-ანაჰაიმი

**14 თებერვალი**
სტ. ლუისი-ვანკუვერი
კოლორადო-კალგარი
ფინიქსი-ვაშინგტონი

**15 თებერვალი**
ბოსტონი-ტორონტო
მონრეალი-ბაფალო
ოტავა-აილენდერსი
ტამპა ბეი-ფილადელფია
მინესოტა-ვანკუვერი
ნეშვილი-სან ხოსე
ედმონტონი-დალასი

**16 თებერვალი**
ბაფალო-ტორონტო
კოლამბუსი-ლოს ანჯელესი
ნიუ ჯერსი-კაროლინა
ფლორიდა-ფილადელფია
ჩიკაგო-მინესოტა
კოლორადო-პიტსბურგი
კალგარი-დალასი
ანაჰაიმი-ვაშინგტონი

**17 თებერვალი**
აილენდერსი-ბოსტონი
რეინჯერსი-ლოს ანჯელესი
ტამპა ბეი-დეტროიტი
ნეშვილი-ვანკუვერი
ედმონტონი-მონრეალი
ფინიქსი-ატლანტა
სან ხოსე-ვაშინგტონი

**18 თებერვალი**
კაროლინა-ფილადელფია
ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
ბაფალო-სტ. ლუისი
ფლორიდა-დეტროიტი
ოტავა-ბოსტონი
მინესოტა-ანაჰაიმი
ჩიკაგო-კოლამბუსი

**19 თებერვალი**
ედმონტონი-ატლანტა
კაროლინა-ნიუ ჯერსი
აილენდერსი-ლოს ანჯელესი
ტორონტო-ოტავა
ტამპა ბეი-ფლორიდა
ნეშვილი-ფინიქსი
სტ. ლუისი-ანაჰაიმი
ვანკუვერი-დალასი
სან ხოსე-კოლორადო

**20 თებერვალი**
ბაფალო-ვაშინგტონი
რეინჯერსი-ფილადელფია
ჩიკაგო-პიტსბურგი
კალგარი-მონრეალი
მინესოტა-დეტროიტი

**21 თებერვალი**
აილენდერსი-ფლორიდა
სტ. ლუისი-ჩიკაგო
პიტსბურგი-ვაშინგტონი

**22 თებერვალი**
კაროლინა-რეინჯერსი
კოლამბუსი-ნეშვილი
დეტროიტი-სან ხოსე
ფილადელფია-ფინიქსი
ტორონტო-აილენდერსი
მინესოტა-ედმონტონი
დალასი-ნიუ ჯერსი
ვანკუვერი-მონრეალი

**23 თებერვალი**
ბაფალო-ატლანტა
ოტავა-ფლორიდა
პიტსბურგი-სან ხოსე
ტამპა ბეი-ფინიქსი
კალგარი-ბოსტონი
კოლორადო-ედმონტონი
ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი

**24 თებერვალი**
დეტროიტი-დალასი
ფილადელფია-აილენდერსი
მონრეალი-ტორონტო
ნეშვილი-ჩიკაგო
ვანკუვერი-სტ. ლუისი
ლოს ანჯელესი-მინესოტა

**25 თებერვალი**
კაროლინა-პიტსბურგი
კოლამბუსი-ფინიქსი
ვაშინგტონი-რეინჯერსი
ატლანტა-ფლორიდა
ბაფალო-ოტავა
ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი
კალგარი-სან ხოსე
ედმონტონი-სტ. ლუისი
ანაჰაიმი-მინესოტა

**26 თებერვალი**
დალასი-ნეშვილი
ლოს ანჯელესი-კოლორადო
ბაფალო-დეტროიტი
მონრეალი-კაროლინა
აილენდერსი-ვაშინგტონი
ოტავა-ფილადელფია
ტორონტო-პიტსბურგი
ვანკუვერი-ბოსტონი

**27 თებერვალი**
რეინჯერსი-ტამპა ბეი
ნეშვილი-კოლამბუსი
ატლანტა-ტორონტო
ფლორიდა-ნიუ ჯერსი
ჩიკაგო-ფინიქსი
ანაჰაიმი-კოლორადო
კალგარი-სტ. ლუისი
ედმონტონი-ბოსტონი

**28 თებერვალი**
მინესოტა-ჩიკაგო
ლოს ანჯელესი-დეტროიტი

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ანტირეკორდების მოლოდინში

რეგულარული ჩემპიონატის მორიგი დღის მიმოხილვაში ყურადღებას გავამახვილებთ აუთსაიდერებზე, რომლებიც თანდათან უახლოვდებიან აბსოლუტურ ანტირეკორდებს. ერთ-ერთი მათგანია - „ვაშინგტონ უიზარდსი". დედაქალაქელებმა გასვლაზე ზედიზედ 24-ე მატჩი წააგეს და მიუახლოვდნენ ყველა დროის რეკორდს - სტუმრად ზედიზედ 29 წაგებას. სხვათა შორის, ეს ანტირეკორდი ეკუთვნის გუნდს, რომელმაც გუშინ „ვაშინგტონი" დაამარცხა. ეს არის - „დალას მავერიქსი".

ალსანიშნავია, რომ მატჩის მსვლელობისას აუთსაიდერი 12 ქულით იყო წინ, მაგრამ ყველაფერი მეორე ტაიმში შეიცვალა. როგორც ყოველთვის, კარგად ჩაერთვნენ მატჩში სათადარიგოები - **ჯეისონ ტერი** და **შონ მერიონი**. სწორედ მათ შეიტანეს გარდატეხა თამაშში, მალე კი გუნდის ლიდერები დაეხმარნენ. **დირკ ნოვიცკიმ** 24 ქულა დააგროვა, **ჯეისონ კიდს** ერთი მოხსნა არ ეყო სამმაგ დუბლამდე, **ტაისონ ჩენდლერმა** კი 18 ქულას 18 მოხსნა დაუმატა.

გაცილებით უარესად აქვს საქმე „კლივლენდს". ამ გუნდმა თავისი საშინელი სერია ზედიზედ 21 წაგებამდე აიყვანა და ერთ სეზონში მიჯრით წაგებათა ანტირეკორდამდე სულ ორი დამარცხება აკლია (ამ რეკორდს „ვანკუვერი" (1995-96) და „დენვერი" (199798) ფლობენ). გუშინ არავის ჰქონდა იმის ილუზია, რომ „კავალერისტები" თავიანთი ყოფილი ლიდერის - **ლებრონ ჯეიმსის** „მაიამის" მოუგებდნენ, თანაც სტუმრად. მესამე მეოთხედში ფლორიდელებმა მეტოქეს ანგარიშის მინიმუმამდე შემცირების საშუალება მისცეს, თუმცა ლებრონმა 19:5 გაქცევას დაუდო სათავე და ამით ყველაფერი დასრულდა.

წარმატებით დაიწყო „ინდიანას" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულება **ფრანკ ვოგელმა**. მან ზუსტად ის გააკეთა, რაშიც გუშინ გათავისუფლებულ **ო'ბრაიენს** ადანაშაულებდნენ - საკმარისი სათამაშო დრო მისცა **პოლ ჯორჯს**, ხელფეხი გაუხსნა **როი ჰიბერტს** და საერთოდ, 10-კაციანი როტაცია გამოიყენა. ამან შედეგი მოიტანა. ჰიბერტმა ორმაგი დუბლით დაასრულა შეხვედრა, **ჯორჯმა** 16 ქულა მიითვალა, ჰენსბრომ - 15 (14 წუთში). „ინდიანამ" მოიგო და 12 მატჩამდე გაზარდა კანადელების წაგებათა სერია.

ბოლო დროს არასტაბილურ თამაშს აჩვენებს „ორლანდო". გუშინ ფლორიდელებმა სტუმრად წააგეს „მემფისთან". არადა, „მეჯიქისთვის" ყველაფერი კარგად დაიწყო. **სტენ ვან განდის** შეგირდებმა პირველ მეოთხედში შთამბეჭდავი გაქცევა მოაწყვეს. **დუაიტ ჰოვარდი** თავის სტილში დომინირებდა ორივე ფართან და შანსს არ უტოვებდა **მარკ გასოლსა** და **ზაკ რენდოლფს**. მაგრამ დიდი შესვენებისთვის „გრიზლისმა" მაინც შეძლო ანგარიშის შემცირება.

მეორე ტაიმი იმით დაიწყო, რითაც პირველი დასრულდა. მასპინძლები თანდათან იღებდნენ ინიციატივას, რასაც გადამწყვეტი სპურტი მოჰყვა. **მაიკ კონლისა** და გასოლის მონდომებით „მემფისმა" მესამე მეოთხედში სოლიდურ უპირატესობას მიაღწია. „ორლანდომ" პასუხი მხოლოდ მეოთხე მეოთხედის ბოლოს გასცა „მემფისს", მაგრამ მეტოქის დაწევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. და მაინც, სტუმრებმა ბოლო წამებზე მიიღეს ანგარიშის გათანაბრების შანსი, თუმცა **ჯეისონ რიჩარდსონმა** სამქულიანი ვერ ჩააგდო.

### კვირის მოთამაშეები

„მაიამი ჰიტის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „მემფის გრიზლისის" მძიმე ფორვარდი ზაკ რენდოლფი გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეიმსი გასულ კვირას საშუალოდ 33.0 ქულასა და 2.3 ჩაჭრას აგროვებდა. „მაიამის" ერთ-ერთი ლიდერი ბოლო 12 მატჩში მინიმუმ 20 ქულას უყრის თავს.

დასავლეთში საუკეთესო რენდოლფის ანგარიშზე საშუალოდ 20.8 ქულა და 15.0 მოხსნა მოდის. 29 იანვარს მემფისელმა „ვაშინგტონის" წინააღმდეგ შთამბეჭდავი ორმაგი დუბლი შეასრულა - 24 ქულა და 20 მოხსნა.

### ჯეიმსის კვირა

**27 იანვარი. ნიუ იორკი-მაიამი 93:88.** 24 ქულა, 11 მოხსნა.

**28 იანვარი. მაიამი-დეტროიტი 88:87.** 39 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა.

**30 იანვარი. ოკლაჰომა-მაიამი 103:108.** 23 ქულა, 13 პასი, 4 ჩაჭრა.

### რენდოლფის კვირა

**24 იანვარი. ტორონტო-მემფისი 98:100.** 17 ქულა, 12 მოხსნა.

**26 იანვარი. ნიუ ჯერსი-მემფისი 93:88.** 20 ქულა, 16 მოხსნა.

**28 იანვარი. ფილადელფია-მემფისი 94:99.** 22 ქულა, 12 მოხსნა.

**29 იანვარი. მემფისი-ვაშინგტონი 107:93.** 24 ქულა, 20 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **სტივენ ჯექსონი** („შარლოტი"), **კრის პოლი** („ნიუ ორლეანი"), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა"), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა"), **დუაიტ ჰოვარდი** („ორლანდო"), **დემარკუს კაზინსი** („საკრამენტო") და **მანუ ჯინობილი** („სან ანტონიო").

**ინდიანა-ტორონტო 104:93**

32:21, 19:24, 24:25, 29:23

ი: ჰიბერტი (24+11 მოხსნა), კოლისონი (16+6 პასი), ჯორჯი (16), ჰენსბრო (14+6 მოხსნა), გრეინჯერი (11+9 მოხსნა+5 პასი).

ტ: ჯონსონი (18+8 მოხსნა), დევისი (13+7 მოხსნა), კალდერონი (13+7 პასი), ბარნიანი (12+5 მოხსნა), უიმსი (12), ბეილესი (11), დეროზანი (10+5 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-დენვერი 115:99**

31:21, 32:29, 22:28, 30:21

ნ-ჯ: ლოპესი (27), აუთლო (21), მოროუ (18), ჰემფრიზი (15+9 მოხსნა), ჰარისი (9+18 პასი).

დ: ენტონი (37+9 მოხსნა), ბილაპსი (19+5 პასი), ნენე (16), სმიტი (10).

**მაიამი-კლივლენდი 117:90**

35:20, 31:37, 23:15, 28:18

მ: უეიდი (34+7 მოხსნა+5 პასი), ჯეიმსი (24+8 პასი), ილგაუსკასი (12+14 მოხსნა), ჰაუსი (12), მილერი (10+11 მოხსნა), ბოში (10+7 მოხსნა).

კ: ჯეიმისონი (21+10 მოხსნა), ჰარისი (20+5 მოხსნა), ჰიქსონი (14+9 მოხსნა), სეშენსი (11+7 პასი).

**მემფისი-ორლანდო 100:97**

21:28, 33:30, 32:16, 14:23

მ: კონლი (26+11 პასი), გასოლი (19+8 მოხსნა), არტური (14), გეი (13+7 მოხსნა), რენდოლფი (10+9 მოხსნა), იანგი (10).

ო: ჰოვარდი (25+14 მოხსნა), რიჩარდსონი (18), თურქოგლუ (13), ბასი (13), ანდერსონი (10+7 მოხსნა), არენასი (10).

**დალასი-ვაშინგტონი 102:92**

21:25, 29:24, 24:19, 28:24

დ: ნოვიცკი (24), ჩენდლერი (18+18 მოხსნა), მერიონი (14+9 მოხსნა), ტერი (14+8 პასი), კიდი (11+11 პასი+9 მოხსნა).

ვ: ლუისი (18+6 მოხსნა), იანგი (18), უოლი (17+10 პასი), ბლეტჩი (16+13 მოხსნა), იანლიანი (14+11 მოხსნა).

**იუტა-შარლოტი 83:78**

24:18, 19:23, 19:21, 21:16

ი: ჯეფერსონი (21+11 მოხსნა), მაილზი (20), მილსეპი (14+12 მოხსნა), კირილენკო (13+11 მოხსნა).

შ: ჯექსონი (24+8 მოხსნა), ოგუსტინი (20+8 მოხსნა+7 პასი), დიაო (10).

**კლიპერსი-მილუოკი 105:98**

26:16, 23:31, 28:26, 28:25

კ: გრიფინი (32+11 მოხსნა+6 პასი), ფოიე (20+5 პასი), დევისი (18+7 პასი+5 მოხსნა), ჯორდანი (16+7 მოხსნა+5 დაფარება).

მ: მაგეტი (25), ილიასოვა (15+6 მოხსნა), ბოგუტი (14+11 მოხსნა), ჯენინგსი (12), დულინგი (11+8 პასი), მბა ა მუტე (10+6 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 47 | 36 | 11 | 76.6 |
| 2. მაიამი* | 48 | 34 | 14 | 70.8 |
| 3. ჩიკაგო* | 47 | 33 | 14 | 70.2 |
| 4. ორლანდო | 49 | 31 | 18 | 63.3 |
| 5. ატლანტა | 48 | 30 | 18 | 62.5 |
| 6. ნიუ იორკი | 47 | 25 | 22 | 53.2 |
| 7. ფილადელფია | 47 | 21 | 26 | 44.7 |
| 8. შარლოტი | 47 | 20 | 27 | 42.6 |
| 9. მილუოკი | 46 | 19 | 27 | 41.3 |
| 10. ინდიანა | 45 | 18 | 27 | 40.0 |
| 11. დეტროიტი | 48 | 17 | 31 | 35.4 |
| 12. ნიუ ჯერსი | 49 | 15 | 34 | 30.6 |
| 13. ვაშინგტონი | 47 | 13 | 34 | 27.7 |
| 14. ტორონტო | 49 | 13 | 36 | 26.5 |
| 15. კლივლენდი | 48 | 8 | 40 | 16.7 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 47 | 40 | 7 | 85.1 |
| 2. ლეიკერსი* | 48 | 33 | 15 | 68.8 |
| 3. დალასი | 47 | 32 | 15 | 68.1 |
| 4. ოკლაჰომა* | 47 | 30 | 17 | 63.8 |
| 5. ნიუ ორლეანი | 49 | 31 | 18 | 63.3 |
| 6. იუტა | 49 | 29 | 20 | 59.2 |
| 7. დენვერი | 48 | 28 | 20 | 58.3 |
| 8. პორტლენდი | 47 | 25 | 22 | 53.2 |
| 9. მემფისი | 49 | 25 | 24 | 51.0 |
| 10. ფინიქსი | 46 | 22 | 24 | 47.8 |
| 11. ჰიუსტონი | 49 | 22 | 27 | 44.9 |
| 12. გ. სტეიტი | 47 | 20 | 27 | 42.6 |
| 13. კლიპერსი | 47 | 19 | 28 | 40.4 |
| 14. საკრამენტო | 45 | 12 | 33 | 26.7 |
| 15. მინესოტა | 47 | 11 | 36 | 23.4 |

**ქულა**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.9 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 26.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 26.0 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 25.7 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 25.5 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 25.2 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 24.4 |
| ერიკ გორდონი (კლიპ) | 24.1 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 23.9 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 23.1 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| კევინ ლავი (მინ) | 15.6 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.6 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 13.2 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 12.7 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 11.7 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.5 |
| ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ) | 10.1 |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 9.8 |
| ლამარ ოდომი (ლეი) | 9.4 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 9.4 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 12.6 |
| სტივ ნეში (ფინ) | 11.1 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 9.7 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.4 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 9.3 |
| რეიმონდ ფელტონი (ნ-იორკ) | 8.9 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.5 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.5 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.4 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 8.1 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.6 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.4 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.3 |
| რეიმონდ ფელტონი (ნ-იორ) | 1.9 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.9 |
| ტაირეკ ევანსი (საკ) | 1.8 |
| მანუ ჯინობილი (ს-ანტ) | 1.8 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.8 |
| ჯავალ მაკგი (ვაშ) | 2.6 |
| დარკო მილიჩიჩი (მინ) | 2.3 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 2.2 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.2 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.0 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.0 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 1.9 |
| მარკუს კემბი (პორ) | 1.9 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 1.9 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| სპორტული-პლზენი | 4:1 |
| ჰაკენი-ოლბორგი | 2:2 |
| აუსტრია-ლუგანო | 1:1 |
| რაპიდი (ბ)-მალმიო | 0:0 პენ. 1:3 |
| სპარტაკი-რუსენბორგი | 0:4 |
| ციურიხი-მიუნხენი | 0:1 |
| ნორდსილანდი-შახტარი | 1:3 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| არსენალი-ევერტონი | 2:1 |
| სანდერლენდი-ჩელსი | 2:4 |
| მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა | 3:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-უიგანი | 2:2 |

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-პრესტონი | 2:0 |
| ბრისტოლი-სუონსი | 0:2 |
| კარდიფი-რედინგი | 2:2 |
| ქოვენთრი-ნოტინგემი | 1:2 |
| დერბი-იფსვიჩი | 1:2 |
| დონკასტერი-ბარნსლი | 1:0 |
| ჰალი-ლიდსი | 2:2 |
| მიდლსბრო-სკანთორფი | 2:0 |
| ნორვიჩი-მილუოლი | 2:1 |
| შეფილდი-ლესტერი | 0:1 |
| უოტფორდი-კრ. პალასი | 1:1 |
| ქუინზ პარკი-პორტსმუთი | 2:0 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-სუინდონი | 3:2 |
| ჩარლტონი-კოლჩესტერი | 1:0 |
| დაგენჰემი-ბრენტფორდი | 4:1 |
| ექსეტერი-საუთჰემპტონი | 1:2 |
| ჰადერსფილდი-კარლაილი | 2:0 |
| ლეიტონი-ბრაიტონი | 0:0 |
| ოლდჰემი-ჰარტლპული | 4:0 |
| პიტერბრო-უენსდი | 5:3 |
| ტრანმერი-როჩდეილი | 1:1 |
| იეოვილი-პლიმუტი | 1:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-მორეკამბი | 1:1 |
| ალდერშოტი-ბარნეტი | 1:1 შეწყდა |
| ბრედფორდი-ლინკოლნი | 1:2 |
| მაკლსფილდი-ბერი | 2:4 |
| ნორთჰემპტონი-ქრიუ | 6:2 |
| პორტ ვეილი-როტერჰემი | 1:0 |
| შრიუსბერი-ბარტონი | 3:0 |
| საუთენდი-ოქსფორდი | 2:1 |
| სტევენეიჯი-ჯილინგემი | 2:2 |
| სტოკპორტი-ჩესტერფილდი | 1:1 |
| ტორკი-ჰერეფორდი | 1:3 |
| უიკომბი-ჩელტენემი | 2:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ისტბურნი-გეიტშიდი | 0:3 |
| ჰისტონი-ფლიტვუდი | 1:0 |
| ლუტონი-დარლინგტონი | 4:0 |
| რაშდენი-კემბრიჯი | 2:1 |
| საუთპორტი-გრიმსბი | 2:2 |
| რექსჰემი-ალტრინჩემი | 2:1 |
| იორკი-უიმბლდონი | 4:1 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მილანი-ლაციო | 0:0 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუე-ფრანქფურტი | 3:1 |

**საფრანგეთის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ანჟერსი-სტრასბური | 2:0 |
| ლორიანი-მეცი | 3:0 |
| რენი-რეიმსი | 3:3 დ.დ. 3:4 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| გრააფსხაპი-უტრეხტი | 0:0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| აბერდინი-სელტიკი | 0:3 |
| სტ. ჯონსტონი-ჰემილტონი | 2:0 |

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ქუინი-როსი | 1:1 შეწყდა |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფორფარი-ისტ ფაიფი | 0:0 |
| ეირდრი-დამბარტონი | 1:2 |
| ლივინგსტონი-ბრეჩინი | 2:0 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანენი-ქუინზ პარკი | 1:2 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ჰიკ-ჰონკა | 1:1 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ლანელი-პრესტატინი | 2:2 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ბუდიველნიკი-ლე მანი | 67:61 |
| პანელინიოსი-ბენეტონი | 75:83 |
| ჰემოფარმი-უნიქსი | 83:84 |
| გალათასარაი-ნიმბურგი | 76:75 |
| არისი-[illegible] | 82:84 |
| ცედევიტა-გრან კანარია | 114:110 (ო) |
| კაზერტა-ესტუდიანტესი | 87:85 |
| სევილია-ალბა | 76:67 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| ლუკოილი-ნეთანია | 84:76 |
| სპარტაკი-მაკაბი (ვ) | 101:60 |
| ზადარი-ოსტენდე | 73:85 |
| პროსტეევი-ლოკომოტივი | 67:66 |
| კრკა-ანტვერპენი | 62:46 |
| პინარი-მონსი | 94:71 |
| გრაველენი-ვენტსპილსი | 74:70 |
| ბენფიკა-ნორჩეპინგი | 83:75 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავტომობილისტი-ტორპედო | 2:3 |
| ს. იულიაევი-ვიტიაზი | 4:0 |
| ტრაქტორი-დინამო (მ) | 4:1 |
| ნეფტეხიმიკი-ლოკომოტივი | 7:5 |
| აკ ბარსი-ატლანტი | 5:2 |
| დინამო (რ)-ცსკა | 1:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-ლინცი | 4:3 (ო) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-ნიურნბერგი | 4:1 |
| ჰამბურგი-შტრაუბინგი | 2:3 (ბ) |
| ჰანოვერი-იზერლონი | 2:5 |
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 4:3 |
| კიოლნი-ვოლფსბურგი | 2:5 |
| მანჰაიმი-აუგსბურგი | 1:4 |

**დანია**

| | |
|---|---|
| როდოვრე-ოლბორგი | 0:1 |
| ესბერგი-სონდერიისკი | 0:9 |
| ფრედრიკშავნი-ჰერნინგი | 0:3 |
| ჰვიდოვრე-ოდენსე | 5:0 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტავანგერი-სტიორნენი | 4:1 |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 0:1 |
| ლორენსკოგი-ლილეჰამერი | 2:6 |
| რუსენბორგი-ფრისკ ასკერი | 4:2 |
| სპარტა-მანგლერუდი | 7:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-კოშიცე | გადაიდო |
| ნიტრა-ჟილინა | 4:1 |
| პოპრადი-სკალიცა | 2:3 (ო) |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 4:1 |
| მარტინი-სლოვანი | 5:6 (ბ) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლუკო-იუვიასკიულა | 2:0 |
| პელიკანსი-კერპეტი | 1:3 |
| ტაპარა-ტპს | 2:3 (ბ) |
| ჰიფკ-საიპა | 4:1 |
| ჰპკ-იოკერიტი | 1:2 |
| ესეტი-ბლუზი | 3:4 (ბ) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ლიტვინოვი | 1:3 |
| ზლინი-სპარტა | 3:0 |
| კლადნო-ლიბერეცი | 0:3 |
| ბოლესლავი-კარლოვი ვარი | 5:3 |
| ბრნო-ბუდეიოვიცე | 2:5 |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 4:0 |
| სლავია-პლზენი | 4:3 (ბ) |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრიუნასი-მოდო | 5:2 |
| სიოდერტალე-ფრიოლუნდა | 3:2 |
| ფერიესტადი-ლულეო | 2:0 |
| ჰ371-ლინჩოპინგი | 4:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ზაგრები**

| | |
|---|---|
| შტეპანეკი-კუბეკი | 6:3, 6:2 |
| კავჩიჩი-ზვერევი | 6:2, 7:5 |
| პეტცშნერი-ჰაიეკი | 6:3, 6:3 |
| ბოგომოლოვი-ვეიჩი | 2:6, 7:6, 7:6 |
| კუნიცინი-პოსპიშილი | 6:3, 6:2 |
| კარლოვიჩი-ბრანდსი | 5:7, 7:6, 6:7 |

**ATP. სანტიაგო**

| | |
|---|---|
| სებალიოსი-ჰოჩევარი | 7:6, 6:4 |
| მონაკო-მ. გონსალესი | 4:6, 6:3, 4:6 |
| ფონინი-კუბოტი | 7:6, 6:2 |
| ხირალდო-ბანისი | 2:6, 6:3, 6:2 |
| მაშადო-რიოსი | 6:2, 6:0 |
| ნალბანდიანი-ბერლოკი | 6:2, 2:6, 6:2 |
| კუევასი-სოუზა | 4:6, 5:7 |

**ATP. იოჰანესბურგი**

| | |
|---|---|
| პრსიეჟნი-ფიშერი | 6:1, 6:2 |
| რაონიჩი-ლუ | 6:3, 6:3 |
| სერა-ბრაუნი | 4:6, 4:6 |
| გრემელმაირი-შოლტცი | 6:4, 7:5 |
| მანარინო-შჩუკინი | 7:6, 7:6 |
| რობერი-ვან დერ მერვე | 3:6, 2:6 |
| ანდერსონი-ბოლი | 4:6, 6:4, 6:2 |

## TV პროგრამა

**2 თებერვალი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

23:40 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ტოტენჰემი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

23:40 იტალიის ჩემპიონატი. კიევო-ნაპოლი (LIVE).
03:55 ლიბერტადორესის თასი. წინასწარი რაუნდი. გრემიო-ლივერპული. განმეორებითი მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

22:55 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეი ოფი. I მატჩი. ბლედი-ზენიტი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კლასიკა)**

23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ბრეშა (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

22:10 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფენერბაჰჩე-ჟალგირისი (LIVE).
04:30 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჟალგირისი (LIVE).

**SPORT+**

23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-იუვენტუსი (LIVE).

**EUROSPORT**

18:00 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. V დღე. ლანელი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კლიგენტალი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

12:00 ბიატლონი. უნივერსიადა. კაცები. რბოლა გამოდევნებით. თურქეთი (LIVE).
14:00 ბიატლონი. უნივერსიადა. ქალები. რბოლა გამოდევნებით. თურქეთი (LIVE).
20:30 ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მოგული. ქალები. დირ ველი. აშშ (LIVE).
22:30 ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მოგული. კაცები. დირ ველი. აშშ (LIVE).
00:45 ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მოგული. ფინალები. დირ ველი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ცურვა



# ტორპი მართლა ბრუნდება

ცნობილი ხდება ლეგენდარული ავსტრალიელი მოცურავის **იან ტორპის** დიდი სპორტში დაბრუნების დეტალები. როგორც ავსტრალიური პრესა წერს, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი დღეს მოიწვევს სპეციალურ პრესკონფერენციას, სადაც ოფიციალურად გამოაცხადებს სპორტული კარიერის განახლების შესახებ.

სახელგანთქმული მოცურავე დიდი სპორტიდან 2006 წელს წავიდა და მას შემდეგ არაერთხელ გავრცელდა ჭორი ტორპის დაბრუნების შესახებ, მაგრამ ეს ინფორმაცია ერთხელაც არ დადასტურებულა. ახლა კი, როგორც ჩანს, ჩემპიონს სერიოზულად აქვს განზრახული ახალი მწვერვალების დაპყრობა.

როგორც ერთ-ერთი ავსტრალიური გაზეთი წერს, ტორპი ლონდონის ოლიმპიადას უმიზნებს. ამისთვის მან ქვეყნის ცურვის ფედერაციაში მაისამდე უნდა გაიაროს რამდენიმე დოპინგტესტი, რათა დაშვებული იქნას 2012 წლის ზაფხულის თამაშების შესარჩევი ტურნირზე, რომელიც მომავალი წლის მარტში გაიმართება.

● კალათბურთი

# ჭორი ყოფილა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანი მცველი **ალენ აივერსონი** ტრავმირებულ ფეხზე ოპერაციას გადაურჩა. თურქეთის „ბეშიქთაშის" კალათბურთელი ამჟამად ამერიკაში იმყოფება, სადაც მკურნალობის კურსს გადის.

როგორც ბოლო გამოკვლევამ აჩვენა, აივერსონს ქირურგიული ჩარევა არ დასჭირდება, რადგან ექიმებმა მუხლის აღდგენის ალტერნატიულ ვარიანტს მიაგნეს. ამასთან, თუ რეაბილიტაციის ეს მეთოდი უახლოეს დროში შედეგს არ მოიტანს, ოპერაცია მაინც ჩატარდება.

კალათბურთელმა ტრავმა დეკემბრის დასაწყისში მიიღო.

შეგახსენებთ, ორი დღის წინ გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ აივერსონს აღარ სურს თურქეთში დაბრუნება და „ბეშიქთაშში" თამაში, მაგრამ მცველმა „ტვიტერის" საკუთარ ბლოგზე დაწერა, რომ ეს ჭორია და თუ ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს, ამ სეზონში აპირებს თურქეთის ჩემპიონატის პლეი ოფში თამაშს.

*„ექიმი ხვალ ჩაატარებს რთულ პროცედურას ფეხში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. მესმის, რომ ეს იოლი არ იქნება, რადგან ძვალია დაზიანებული. იმედია, ყველაფერი წესრიგში იქნება და შევძლებ თურქეთში დაბრუნებასა და „ბეშიქთაშისთვის" პლეი ოფში დახმარებას",* - წერს აივერსონი.

● ამბები

**ჩოგბურთი**

## კანადელი ყველაზე კარგად აწვდის

ავსტრალიის ღია პირველობაზე საუკეთესო მოწოდება ჰქონდა 20 წლის კანადელ **მილოშ რაონიჩს**. მან „მელბურნ-პარკზე" ყველაზე ძლიერი მოწოდება შეასრულა და ყველაზე მეტი ეისი ჩააწოდა. ერთ-ერთი მოწოდებისას ბურთის სიჩქარემ საათში 230 კილომეტრი შეადგინა.

გარდა ამისა, რაონიჩმა ყველას აჯობა ეისების რაოდენობით - 5 მატჩში 94-ჯერ ჩააწოდა ბურთი ისე, რომ მეტოქეებმა დარტყმაზე რეაგირება ვერ მოასწრეს.

**სიჩქარე**

1. მილოშ რაონიჩი - 230
2. ჯონ ისნერი - 227
3. ენდი როდიკი - 222
4. რობინ სიოდერლინგი - 221
4. ფერნანდო ვერდასკო - 221
4. კარსტენ ბოლი - 221
7. სტანისლას ვავრინკა - 220
8. ტომაშ ბერდიხი - 218
8. ფელისიანო ლოპესი - 218
10. ენდი მიურეი - 216

**ეისები**

1. მილოშ რაონიჩი - 94
2. ენდი როდიკი - 76
3. ჯონ ისნერი - 72
4. ალექსანდრ დოლგოპოლოვი - 70
5. ენდი მიურეი - 65
6. სტანისლას ვავრინკა - 55
7. ნოვაკ ჯოკოვიჩი - 51
7. მარინ ჩილიჩი - 51
9. ნიკოლას ალმაგრო - 48
9. ივო კარლოვიჩი - 48

**ოლიმპიზმი**

## ყაზახეთს ოლიმპიადა მოუნდა

ყაზახეთის მთავრობა 2022 წელს ქალაქ ასტანაში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების შესაძლებლობას განიხილავს. ამის შესახებ აზიის ოლიმპიური საბჭოს სხდომაზე გამოაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ**.

*„მაქვს პატივი გამოვაცხადო, რომ ყაზახეთის მთავრობასთან შეხვედრაზე გამოითქვა 2022 წლის ზამთრის ოლიმპიადის ამ ქვეყანაში ჩატარების იდეა. გადაწყვეტილებას 2015 წელს მიიღებენ. ახლა რთულია მათ შანსებზე ლაპარაკი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მადლობა უნდა გადავუხადო ასეთი ინტერესისთვის",* - განაცხადა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა.

● ფორმულა 1

# ფეტელმა პირველობით დაიწყო

გუშინ ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე კიდევ ოთხმა გუნდმა მოაწყო პრეზენტაცია. რა თქმა უნდა, საყოველთაო ყურადღება შარშანდელ ტრიუმფატორ „რედ ბულისკენ" იყო მიპყრობილი. ავსტრიული საჯინიბოს ახალ მანქანას - RB7 ჰქვია. თავდაპირველად მისი ფოტოები გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოფინეს, მოგვიანებით კი „ცოცხალი" მანქანა ჟურნალისტებს საპრიზო პილოტებმა - **სებასტიან ფეტელმა** და **მარკ უებერმა** წარუდგინეს. ცერემონია ვალენსიაში, **რიკარდო ტორმოს** სახელობის ავტოდრომის პიტ-ლეინზე მოეწყო.

გასული წლის მანქანისგან Red Bull RB7-ს უფრო მაღლა აწეული „ცხვირი" განასხვავებს, აგრეთვე შეცვლილია უკანა ანტიფრთის კონცეფცია.

გუშინ მანქანის პირველად გამოცდის პატივი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ფეტელს ერგო.

■ ■ ■

გუშინვე ავტოსამყარომ ბრიტანული „უილიამსის" ახალი ბოლიდი - FW33 გაიცნო. ის ნეიტრალურ ლურჯ ფერშია გადაწყვეტილი. გუნდი ტრადიციულად ამ ფერს იყენებს წინასასეზონო ტესტებისას, საბრძოლო შეფერილობა კი მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი.

ისევე როგორც „რედ ბულს", ახალ „უილიამსსაც" აწეული „ცხვირი" აქვს - როგორც ჩანს, ეს მოდაშია. გუშინ ტესტების პირველ დღეს მანქანასთან ბრაზილიელი ვეტერანი **რუბენს ბარიკელო** მუშაობდა, დღეს კი საჭეს ფორმულა 1-ის დებიუტანტი, ვენესუელელი **პასტორ მალდონადო** მიუჯდება.

■ ■ ■

ვალენსიაში ვიხილეთ „სკუდერია ტორო როსოს" ახალი ბოლიდიც. STR6-ის შასი წარმოადგინეს საპრიზო პილოტებმა - შვეიცარიელმა **სებასტიან ბუემიმ** და ესპანელმა **ხაიმე ალგერსუარიმ**. ხუთდღიან ტესტებზე მათ გუნდის ახალი მესამე პილოტი - ავსტრალიელი **დანიელ რიკარდო** დაეხმარება.

როგორც ცნობილია, „ტორო როსო" მეორე წელია დამოუკიდებელ გუნდად გვევლინება, შესაბამისად, STR6 იტალიელთა რიგით მეორე დამოუკიდებელი ნამუშევარია.

■ ■ ■

ახალი „მერსედესის" ფოტო გუშინდელ ნომერში გაგაცანით - ის გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე იყო წარმოდგენილი, გუშინ კი მანქანის პრეზენტაცია მოეწყო. აქაც ცერემონია ტრადიციულ სტილში ჩატარდა - ბოლიდის გვერდით გუნდის ძირითადი პილოტები - **მიხაელ შუმახერი** და **ნიკო როსბერგი** იდგნენ.

ამ მანქანის შესახებ გუშინ დავწერეთ, ამიტომაც მის მახასიათებლებზე ალარაფერს ვიტყვით.

■ ■ ■

პრეზენტაციების შემდეგ ტესტების პირველი დღე დაიწყო. რიკარდო ტორმოს ტრასაზე 11 გუნდი გავიდა, აქედან შვიდმა ახალი მანქანა გამოიყენა: „რედ ბულმა", „ფერარიმ", „მერსედესმა", „ზაუბერმა", „ლოტუს რენომ", „უილიამსმა" და „ტორო როსომ", ხოლო „მაკლარენმა", „ფორს ინდიამ", „ვირჯინმა" და HRT-მ ვალენიაში შარშანდელი ბოლიდები ჩაიყვანეს.

პირველი დღის შედეგების მიხედვით საუკეთესო დრო აჩვენა მსოფლიოს ჩემპიონმა სებასტიან ფეტელმა. შუადღის შესვენების შემდეგ მან თავისი უსწრაფესი წრე წუთსა და 13.769 წამში დაფარა. ორ მეათედ წამზე ნაკლები წააგო ფეტელთან მისმა თანამემამულემ, „ფორს ინდიას" მესამე პილოტმა **ნიკო ჰიულკენბერგმა**. თუმცა წრეების გრძელ სერიებზე ინდური გუნდის პილოტი დაახლოებით წამით ჩამორჩებოდა მსოფლიოს ჩემპიონს. ლიდერთა სამეულში მოხვდა „მაკლარენის" სარეზერვო პილოტი **გარი პაფეტი** - ბრიტანელი ფეტელს ნახევარ წამზე მეტით ჩამორჩა.

**პოლ დი რესტა**, რომელმაც „ფორს ინდიაზე" ჰიულკენბერგი შეცვალა, მეოთხეზე გავიდა. შოტლანდიელმა მეხუთე ადგილამდე ჩამოაქვეითა **ფერნანდო ალონსო**, არადა, „ფერარის" პილოტი სათავეში დიდხანს ედგა სიას. საბოლოოდ, ესპანელი იძულებული გახდა გაჩერებულიყო „ფერარის" ახალი ბოლიდის ტექნიკური პრობლემების გამო. მიუხედავად ამისა, ფერნანდომ პირველ დღეს ყველაზე მეტი - 97 წრე გაიარა.

მეექვსე ადგილზეა **კამუი კობაიაში**, რომელმაც ამ წლის კიდევ ერთი დებიუტანტი - **ჟერომ დ'ამბროზიო** ჩამოიტოვა უკან. ამ უკანასკნელმა „ვირჯინის" საშუალედო შასით შთამბეჭდავი მეშვიდე დრო აჩვენა.

რამდენიმე გუნდს ახალ მანქანაზე ტექნიკური პრობლემები შეექმნა. დღის პირველ ნახევარში არ გაუმართლა **ნიკო როსბერგს**, რომელსაც ჰიდრავლიკური სისტემის გაუმართაობის გამო მეცხრე წრეზე გაუჩერდა თავისი „მერსედესი" - საბოლოოდ, გერმანელმა დღის ყველაზე უარესი დრო აჩვენა. პაუზის შემდეგ ინჟინრებმა ეს ნაკლი გამოასწორეს და როსბერგი შუმახერმა შეცვალა - მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მხოლოდ 15 წრის გავლა მოასწრო და მეცხრე დრო აჩვენა.

ასევე შეფერხებებით ჩაატარეს პირველი სატესტო დღე „ლოტუს რენომ", „ტორო როსომ" და „უილიამსმა".

**პირველი დღის შედეგები**

| | |
|---|---|
| 1. ფეტელი (რედ ბული) | 1:13.769 (93 წრე) |
| 2. ჰიულკენბერგი (ფორს ინდია) | +0,169 (71) |
| 3. პაფეტი (მაკლარენი) | +0,523 (91) |
| 4. დი რესტა (ფორს ინდია) | +0,692 (28) |
| 5. ალონსო (ფერარი) | +0,784 (97) |
| 6. კობაიასი (ზაუბერი) | +1,852 (68) |
| 7. დ'ამბროზიო (ვირჯინი) | +2,234 (71) |
| 8. პეტროვი (ლოტუს რენო) | +2,582 (28) |
| 9. შუმახერი (მერსედესი) | +2,681 (15) |
| 10. ალგერსუარი (ტორო როსო) | +3,445 (19) |
| 11. ბარიკელო (უილიამსი) | +3,566 (77) |
| 12. კართიკეიანი (HRT) | +4,251 (45) |
| 13. როსბერგი (მერსედესი) | +6,161 (9) |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



რედ ბული



უილიამსი



ტორო როსო



მერსედესი